ვიცაუფცას
ჭეფციავილიანი

პაპიკა ჩაპის თავგადასავალი

ნაკაღლიკ მბილისი · 1974

მოხუც მუხას პატარა რკო ეაუწნდა. მამა ანებივრებდა ერთადერთ შვილს, რკო-ბიჭუნაც უვეულო და თაედაჯერებული იზრდებოდა...

ბავშვებო, ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ რა ძალა აქვს მეგობრობას, მეგობრობაშ მოულბო გული და გააკეთილშობილა რკო-ბიჭუნა.

ცნობილი ლიტველი მწერალი ვიტაუტას პეტკიავიჩუსი ამ მოთხრობა-ზღაპარში დასცინის ზარმაცებსა და ბრიყვებს, ბაქიებსა და უვიცებს, მსდლებსა და ცრუებს.

თარგმნა ასმათ კიკვიძემ

7-6-2
20—74

М—603

ტყის პირას

Იყო და არა იყო რა, ტყის პირას ცხოვრობდა ერთი ბებერი მუხა, ისეთი ბებერი, რომ აღარავინ იცოდა, რა ხნისა იყო. ბებერ მუხას არც თავად ახსოვდა, როდის გაჩნდა ამ ქვეყანაზე. ზოგჯერ ცნობისმოყვარენი რომ დაეკმაყოფილებინა, ტოტებს ააშრიალებდა და მოყვებოდა თავის ამბებს: მე რომ დავიბადე, იმ ზაფხულს ყვავილებიც ჩემზე მაღლები იყვნენო, თან იმასაც დაამატებდა ხოლმე, იმ შემოღგომაზე მინდორში მთელი თალგამი დალპაო.

ეს მუხა ერთი ჩვეულებრივი ბებერი მუხა იყო, თუმცა ყველა ტყის მბრძანებელს ეძახდა. რა ხანია მუხა აღარ აყვავებულა, მისი ტოტები რკოებს აღარ დაუფარავს. გადაავიწყდა კიდეც რამდენი შვილი ჰყავდა...

— ას-ს-სობით... ას-ს-ობ-ითი, ას-ს-ს-ობ-ი-ით...—ჩურჩულებდა იგი, ქარი კი არხევდა სიბერისაგან დაკოჟრილ და დახავსებულ ტოტებს.

მუხის კენწეროში ყორანი ბუდობდა, ცოტა ქვევით მტრედს დაედო ბინა. იქვე, ფუღუროებში კი სამი ძმა ცხოვრობდა: შოშია, ჭიკ-

ჭიკა და ჭარტალა. ყველაზე მსხვილი ტოტის ქვეშ მერცხალს თავისი თიხის სახლი მიეშენებინა. მეზობელ პატარა ფუღურეოს ჭივჭავი დაჰპატრონებოდა, ხოლო ყველაზე დიდ ფოთოლს ლოკოკინა მიჰკვროდა.

ასე ცხოვრობდნენ ყველანი ერთად: გაზაფხულზე სტვენა-გალობით დანავარდობდნენ, ზაფხულობით შვილებს ზრდიდნენ, შემოდგომაზე კი ზოგი თბილ ქვეყნებში მიფრინავდა, ზოგი ფუღურეებში იზამთრებდა. შეეჩვია მუხა თავის მდგმურებს, დაუმეგობრდა და ასე ეგონა, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა მარტო.

მაგრამ ერთ ზაფხულს მუხის ყველაზე ნორჩ ტოტზე, სულ რაღაც სამას ოცდაათი წლისა რომ იყო, ყვავილი გაიშალა და მალე გაჩნდა რკო. მუხა სიხარულით ცას ეწია. დღე და ღამე თვალს არ აცილებდა ვაჟიშვილს, თვალისჩინივით უვლიდა, ფოთლებს აფარებდა წვიმასა და სიცხეში, ბუზებსა და ქინქლებს ტოტებით უგერიებდა. ეზრდებოდა რკო, წოვდა ყველაზე ტკბილ წვენს, ირწეოდა მოქნილ ტოტზე, დღითი დღე იმატებდა, ღონიერდებოდა და მალე წითელლოყება, ჯან-ღონით სავსე ყოჩაღი ბიჭი გახდა.

მაგრამ, რაც უფრო ანებივრებდა მუხა შვილს, მით უფრო მოწყენილი იყო რკო. მობეზრდა შამის წუწუნი, დღეიადაგ სიჯიელეს რომ მისტიროდა, მობეზრდა ჩიტების ზღაპრები, ბებერი მუხის ცნობა. დაქანაობდა ტოტზე, ყველას დასცინოდა და ეჯავრებოდა.

ერთ საღამოს ბაყაყმა მუხის ქვეშ გუბეში კოღო დიჭირა, ვახშამი მოუმზადა რჯახს და თავის გოგონას გასძახა:

— ყუოტრე, ყუოტრე, ყუოტრე!

— ო-აყ, ო-აყ, ო-აყ! — ზანტად გამოეხმაურა შვილი.

— მო-ომე დანა, მო-ომე დანა, მო-ომე დანა!

— რო-ომელი, რო-ომელი, რო-ომელი?

— მოლო-ო-ოეცილი, მოლო-ო-ოეცილი, მოლო-ო-ოეცილი!

დუმფარეს ფოთოლზე შემომჯდარ ყუოტრეს თვალები გადმოეკარკლა და აღ ინძრეოდა. ცოტა აცალა დედამ და ისევ გასძახა:

— ყუოტრე, ყუოტრე, ყუოტრე!

— ო-აყ, ო-აყ, ო-აყ!

ძლიერ მრუნდა რკოს შეეშინებია ორივე, მოსწყდა ტოტს და

ზედ ცხვირწინ ჩაუხტა წყალში ყუოტრეს, წყლის წვეთებმა შადრევანივით ამოხეთქა.

ბაყაყის მთელმა ოჯახმა თავპირისმტვრევით ჩაიყურყუმელავა გუბეში და შლამში გაუჩინარდა. რკომ კი ხელში ჩაიგდო დუმფარას ფოთოლი, შეხტა ზედ და სიცილ-კისკისით გაქანდ-გამოქანდა — თავი მოჰქონდა, ბაყაყებს ასე რომ ეშინოდათ მისი.

ბებერი მუხა ალბათ ცოტა შეჯორავდა შფოთისთავს, მაგრამ თითქოს განგებ, ქარი ჩადგა და ფოთოლიც არ ინძრეოდა, არავის ამოუღია ხმა. მხოლოდ შარიანი შოშია ვერ ისვენებდა, ძმები შეაგულიანა, ფრთები ააფართხუნა და აღშფოთებული აყივყივდა:

— ფიუ! ფიუ! ფიუ! ვინ დაგაძინებს, ვინ დაგაძინებს!

მას მხარი აუბა ჭარტალამაც:

— რა საშიშია, რა საშიშია, რა საშიშია!

მხოლოდ ჭიკჭიკა ამშვიდებდა მათ:

— რას იზამთ! რას იზამთ!

ნამძინარევმა ჭივჭავმა ფუღუროდან თავი გამოყო და გამოლანძღა ძმები:

ჭყივ-ჭყივ!
ჭყივ-ჭყიველა,
მოგვენატრა,
ძილი ყველას.
თქვენ კი აბა
რა გიჭირთ:
დილით — ჭყივ!
ღამით — ჭყივ![1]

შოშიამ, ჭარტალამ და ჭიკჭიკამ უკან არ დაიხიეს და ეცნენ ჭივჭავს. მან საშველად ცოლი მოიხმო და ერთი აურზაური ატყდა ხეზე.

ამ დროს ანცმა რკომ, მთელი ამ ალიაქოთის თავმა და ბოლომ, ნაპირზე გაცურა, ბორცვაკს ამოეფარა და უცდიდა, ვნახო ერთი როდემდე გაძლებს ყუოტრე წყალში უჰაეროდო. მერე იქვე დუმფარას ფოთოლზე შეხტა და ზედ არ გადააწყდა შიშისაგან ენაჩავარდნილ

[1] ლექსები თარგმნა გ ი ვ ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ.

საწყალ ყუოტრეს! დიდხანს ეძახდა დედა ბაყაყი შვილს, მაგრამ ყუოტრემ დილამდე ხმა ვერ ამოიღო.

მეორე დღეს თვალები დააჭყიტა თუ არა რკომ, მაშინვე ტრაბახს მოჰყვა, იცით, მეზობლის ბიჭებს გუშინ რა ოინი ვაჩვენეო! თავი მოჰქონდა, მასზე სუსტებს და მშიშრებს რომ აწვალებდა. შუადღისას მერცხლის ბუდეში შეძვრა და მარტო დარჩენილ მშიერ ბარტყებს დედის ხმაზე ჩაუჭიკჭიკა:

ვაცხობ-ვხარშავ,
ვხარშავ-ვაცხობ,
დამშეულნი რომ
გაგაძღოთ.
აბა სხარტად
უნისკარტე!

საწყალმა ბარტყებმა პირი დააფჩინეს, ეგონათ, დედამ საჭმელი მოგვიტანაო, ანცი რკო კი ხის პატარა ქერქებს ესროდა პირში.

მოფრინდა დედა მერცხალი და კინწისკვრით ისროლა ბუდიდან რკო. შფოთისთავი ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა და ბალახებზე მოადინა ზღართანი. კიდევ კარგი, დაცემამდე მრავალძარღვას ფოთოლს წამოედო, თორემ ვინ იცის, რა დაემართებოდა. მრავალძარღვას ფოთოლი ზამბარასავით დაიჭიმა, რკო ჩამოხტა და გაუჩინარდა. გაავებული მერცხალი უკან მისდევდა და მუხას შესჩიოდა:

როგორც ქურდი
და უქნარა,
გააძევეთ
ჩქარა, ჩქარა!

მუხამ დააშოშმინა დედა მერცხალი, შავ დღეს დავაყრი ჩემს ანც შვილსო. მაგრამ მაშინვე დაავიწყდა თავის შეპირება — ადრინდულად მშვიდად აშრიალებდა ფოთლებს.

ერთხელ რკო ბალახებში მიძვრებოდა, უცებ მუხუდოსავით მრგვალი კენჭები იპოვნა. ბერეტი მოიხადა, კენჭები აკრიფა და შიგ ჩაყარა. მერე დაიწყო აქეთ-იქით სროლა. ამიტომაც გაუხარდა კენჭების პოვნა, აბა ფაფის მოხარშვას კი არ აპირებდა.

სწორედ ამ დროს მტრედი მთელი ოჯახით სასეირნოდ გამოსულიყო. თავის კატუნით დარბოდა აქეთ-იქით მსხვილ ტოტზე და დვრინავდა:

ხალხი ველარ
გაუგებს
საქმეს თავს და ბოლოს
და სუყველგან
მუხუდოს
დათესავენ მხოლოდ...

რკომ დაუმიზნა და კენჭი შიგ ზურგში მოარტყა. მტრედს მუხუდო ეგონა და დაიღუღუნა:

ძლიერ მომწონს ნათესი,
ძლიერ მომწონს ნათესი...

რკომ კიდევ ესროლა ქვა, მტრედმა ჰაერშივე დაიჭირა:

ვუნისკარტებ დათესილს,
ვუნისკარტებ დათესილს...

დაიტრაბახა და როცა გადაყლაპა, მაშინ კი მიხვდა, რაც იყო.

რკოს კიდევ უნდოდა ესროლა კენჭი, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მტრედმა დაიჭირა და იცოცხლე, 'მავი დღე აყარა. თავის მაგარ კანს უნდა უმადლოდეს, თორემ მტრედის ნისკარტს რას გადაურჩებოდა! გული რომ იჯერა ცემით, მტრედი ცოლ-შვილთან დაბრუნდა, მსხვილ ტოტზე გაგოგმან-გამოგოგმანდა და ყველას უამბობდა:

მივადექი ნათესს,
სხარტად ვუნისკარტე
და რაც იყო უცებ
ყლაპ! და გადავყლაპე!

ბებერი მუხა მხოლოდ თავს აქნევდა, თითქოს კვერს უკრავსო.

რკოს ოინებს ბოლო არ უჩანდა. ერთხელ აბლაბუდაზე ჩამოეკიდა, გააბრიყვა პატარა ლოკოკინა და რქებით მიაკრა ქსელს, მერე ისე დაატრიალა, საწყალმა ყვირილით იქაურობა აიკლო. ხმაურზე შაშვი

მოფრინდა და ის იყო უნდა ჩაეყლაპა პატარა ლოკოკინა, რომ გადა-
იფიქრა და ტრაბახს მოჰყვა:

რა კარგია,
რა კარგი,
დავიპირე ბაყაყი!
განა ტანმორჩილი:
დიდი,
დიდი გოქიენთ.
ეს რა ხორცი
ჰქონია!
ცარიელი ქონია.
ვეპამ,
ვეპამ,
ვეპამ და —
მემატება მადა.

სწორედ სულზე მოუსწრო ყორანმა, შაშვი გააგდო, მოჰგლიჯა ქსელს ლოკოკინა და დედას მიუყვანა.

ყველას მოაბეზრა თავი რკომ. ბოლოს გადაწყვიტეს ჭკუა ესწავლებინათ. ჭარტალას მეთაურობით აირჩიეს მშობელთა კომიტეტი. ჭარტალამაც ხელად გააშანშალა მოხსენება და წარდგა კრების წინაშე. ძმებმა მხარი დაუჭირეს ძმის კანდიდატურას.

მთელი დღე თათბირობდნენ მშობლები, მაგრამ ვერა და ვერ შეთანხმდნენ: ერთნი ითხოვდნენ, კინწისკვრით გავაგდოთ აქედან, თავში ქვა ეხალოს და სადაც უნდა, იქ წავიდესო, ზოგს ებრალებოდა ბებერი მუხა, ზოგი კიდევ ამბობდა, სხვანაირად დავსაჯოთო. მაგრამ ერთი კი იყო, არავის ეცოდებოდა ჩხუბისთავი.

— გავაგდოთ, გავაგდოთ! — ვერ ივიწყებდა მერცხალი რკოს ოინებს.

— ტყავი გავაძროთ, ტყავი გავაძროთ! — მხარი აუბა მერცხალს მტრედმა.

— მივტყიპოთ, მივტყიპოთ! — ფრთები აუფართხუნა ყორანმა.

უეცრად ქარმა დაბერა და მუხის ჩურჩული გაისმა:

— რა ვაქკაცობაა ბავშვის ასე დასჯა, აბა რა ვაქკაცობაა...

ეს რომ მერცხალმა გაიგო, გული მოულბა:

— ჭკუა ვასწავლოთ მაინც, ჭკუა ვასწავლოთ მაინც!

— ვასწავლოთ, ვასწავლოთ! — მხარი აუბა მერცხალს მტრედმაც.

მშობლებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება. ბებერი მუხა მადლიერი დარჩა.

რკოს სწავლა-განათლება

მეორე დღეს ყორანმა სადღაც მოძებნა შვილების გადაგდებული კინოს ბილეთი, შუაზე გაკეცა, ჩინებული რვეული გამოვიდა. ადგა და რკოს მიუტანა. ჭივჭავმა ფრთა აჩუქა, შოშიამ კი ძახველის რამდენიმე მარცვალი დაჭყლიტა და მშვენიერი წითელი მელანი გამოწურა. ბატარა ლოკოკინამ სამელნედ თავისი ნიჟარა ითხოვა, მერცხალმა თიხისაგან მაგიდა და სკამი გამოუძერწა, მტრედმა კი ტოტებისაგან მშვენიერი ჩარდახი დაუწნა.

ყველაფერი რომ მოუმარაგეს, რკომ სახელოები დაიკაპიწა, და სწავლას შეუდგა. პირველ გაკვეთილზე ყორანმა წერა-კითხვა დაწყებინა. რკო თავით ფეხებამდე ამოითხუპნა წითელ მელანში, მაგრამ შრომას უქმად არ ჩაუვლია, ბოლოს მაინც ჩამოუსვა რამდენიმე დაბრეცილი ხაზი. მასწავლებელმა აუხსნა, ესენი ერთიანებიაო.

რკო იჯდა მერხზე და ყველაფერზე თავს უკანტურებდა, ამასობაში მოშივდა კიდეც და ბლითების ხატვა დაიწყო. მასწავლებელმა დახედა თუ არა ბლითებს, მაშინვე აუხსნა, დღეიდან ეს ბლითი კი არა, ციფრი „0“ არისო.

ეს რომ გაიგო რკომ, სულ გაუფუჭდა გუნება და ამოიწრიპინა:

— აბა, რა ვქამო ახლა?

ყორანმა დამშვიდა, საშინაო დავალება მისცა და ცოტა ხნის მერე შეასვენა კიდეც.

არითმეტიკის გაკვეთილი მტრედმა ჩაუტარა და დაუმტკიცა, ერთი ხაზი და ბლითი ათიანი არის და თუ კიდევ ერთ ბლითს მიუხატავთ, ასი გამოვაო.

მესამე გაკვეთილზე მერცხალი ასწავლიდა ხატვას და ძერწვას. სანამ მოწაფეს თიხის ზელისაგან ხვითქი გადასდიოდა, მერცხალი უხსნიდა, თუ ორ რგოლს შეაერთებ პატარა რკალით, მოხუცი ყვავის სათვალე გამოვა და აარა ათი და ასიო.

ძმები შოშია, ჭარტალა და ჭიკჭიკა ასწავლიდნენ ლექსთაწყობას, სიმღერასა და მუსიკას. ისინი აოც ერთ მასწავლებელს არ ეთანხმებოდნენ და ამტკიცებდნენ, თუ ამ პატარა რგოლებს მარჯვნივ და მარცხნივ ჩხირებს მიაწებებ, სულ მარტივ ნოტებს მიიღებო.

როცა საწყალი რკო საშინაო დავალებას ასრულებდა, სულ აერია ერთმანეთში რგოლები და ხაზები და აღარ იცოდა, რომელი რომლისთვის მიეწერა. მაგრამ იმდენი იმტვრია გოროხა თავი და ღრღნა ჭივჭავის ფრთა, რომ ბოლოს მაინც მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა. გულდაგულ დახატა ერთი დიდი ბლითი და იმდენი ჩხირი მიახატა ზედ, რამდენიც მისცეს დასაწერად თითოეულმა მასწავლებელმა ცალ-ცალკე. როცა მეცადინეობა დაამთავრა, სიხარულით ახტა და დახტა, ეს რა კარგი მზე გამომივიდაო.

მეორე დღეს ყორანმა ჩახედა თუ არა რვეულს, განრისხებულმა შეჰყვირა:

— არ-რ-რ-ვარგა.

მტრედმა არც კი გადაშალა რვეული, წინ და უკან მოჰყვა ტოტზე სირბილს, თან იმუქრებოდა:

— ერთიანს მიიღებს, ერთიანს მიიღებს!

სამმა მუსიკოსმა ძმამ კი ერთდროულად დაუსტვინა:

— ფიუ, ფიუ, ფიუ! — და ფრთების ფართხუნით ქაქანებდნენ, როგორ მოვექცეთ ასეთ უნიჭო მოწაფესო.

მხოლოდ მერცხალმა შეაფასა ღირსეულად რკოს გულმოდგინე შრომა და ხუთიანი დაუწერა ცხრათვალა მზის დახატვისათვის.

სამი დღე ტრაბახობდა ხუთიანით რკო მეზობელ ბიჭებთან, მოხუცი მუხა კი სიყვარულითა და ფოთლების შრიალით უნანავებდა პირშშოს:

— მშ-შ-შ-შვენიერია, მშ-შ-შ-შვენიერია, ოჰ, რა მშ-შვენიერია...

ყველაზე ძალიან რკოს ფიზკულტურის გაკვეთილები მოსწონდა, რომელსაც ჰივჰავი უტარებდა. აქ წერას და კითხვას არავინ აძალებდა. მასწავლებელი გაკვეთილზე ხან ერთ შვილს მოიყვანდა, ხან მეორეს, რკოს დაუყენებდა წინ და ბრძანებდა, იჩხუბეთო.

— ეგრე, მიდი, არ ააცდინო! — დარბოდა მოჩხუბრების ირგვლივ ჰივჰავი და ასწავლიდა, სად და როგორ დაერტყათ ერთმანეთისათვის, — მაგრად დაარტყი, მისცხე-მისცხე! ღრმად ისუნთქე! მისცხე-მეთქი! აი ეგრე, ეგრე, ეგრე!

როცა ორივე მოწაფეს ქანცი გაეცლებოდა, ჰივჰავი მზეს ახედავდა, დროს შეამოწმებდა და გაკვეთილს დაამთავრებდა:

ჰეეი! სიცხისაგან
ხულსა ვღაფავთ,
ვიბანაოთ აბა,
სწრაფად!

ჩაცვივდებოდნენ გუბურაში სამივე ერთად, ჯერ კუნთებს იმაგრებდნენ, მერე კი ნაპირზე ცხელ სილაში გორაობდნენ.

მიუხედავად ამისა, სწავლა სულ უფრო და უფრო უჭირდა რკოს. ორიანებს ორიანებზე იღებდა. ისევ ფიზკულტურა შველოდა, თორემ წმინდა წყლის ოროსანი იქნებოდა. ხანდახან ჰივჰავი თუ შეიცოდებდა და ჩხუბში სამიანს დაუწერდა.

დრო გადიოდა და მასწავლებლებმა გამოცდებზე დაიწყეს ლაპარაკი. რკოს ისე შეეშინდა, რომ გადაწყვიტა, სადღაც გადაკარგულიყო. ალბათ მართლაც გაიქცეოდა, ერთ ამბავს რომ არ შეეშალა ხელი.

ერთ პაპანაქება დღეს. შებინდებისას მუხასა და მის ბინადართ თავს დაატყდა ბოროტი ქარიშხალი. ტყის მბრძანებელს სიცილად არ ეყო ეს ამბავი, ტოტები დაჭიმა და ადვილად მოიგერია იერიში.

მაგრამ ქარიშხალმა ფარ-ხმალი არ დაყარა, გადაწყვიტა, მოეშალა მგალობელთა ბუდე და საშველად მთელი ქვეყნის ქარბორიებს და ქარაშოტებს მოუხმო. ერთად შეყარა ლეგა ღრუბლები, ეკვეთა მუხაწ, დაულეწა ტოტები და სულ ერთიანად დააყრევინა ფოთლები. მაგრამ ათასწლოვან გოლიათს რას დააკლებდა! იდგა მუხა ძლიერი

და ქედმოუხრელი, უმკლავდებოდა მტერს, რადგან იცოდა, მისი დალუპვა დალუპავდა ყველა მასზე მცხოვრებ მეგობარს.

ალაგამოლეული ყორანი ძლივს იკავებდა თავს ხის კენწეროზე, ეიეპავს შიშისაგან ენა ჩაუვარდა, ხოლო მტრედი უკვე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. მხოლოდ რკოს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, როცა ხედავდა, როგორ ეხეთქებოდა აქეთ-იქით მერხიან-სკამიანი თავისი საკლასო ჩარდახი. ეპვი არ ეპარებოდა, რომ სკოლა დაინგრეოდა და სწავლასაც ბოლო მოეღებოდა. იგი კარგა ღრმა ფულეროში ჩამჯდარიყო, იცინოდა, გულზე ხეთქავდა ქარაშოტებს და ორიანებით აჭრელებული რვეულის ფურცლებს თავში ახლიდა. გააფთრებული ქარაშოტები კი ჩამოქუფრული ცისკენ მიაქროლებდნენ რვეულის ნაფლეთებს.

— ყორანს სტაცეთ ხელი, ყორანს! — უყვიროდა ქარაშოტებს რკო.

ესა თქვა თუ არა, იმ წამსვე თვალისმომჭრელი ელვა დაეცა მუხას; მერე გრძნობამიხდილს ქარაშოტები მთელი ძალით ეკვეთნენ და ნელ-ნელა გვერდზე გადახარეს. როცა ბუმბერაზის ფესვებმა დაიხრიჭიალეს და ტოტებმა დაიტკაცუნეს, შიშით აკანკალებულმა რკომ ცხვირი გამოყო, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა გარეთ, მაგრამ ვინ დაიცალა, სწვდა ქარბორია, ერთი მაგრად დაატრიალა ჰაერში და სქელ, შავ ღრუბლებში ისროლა.

— მამიკო, მეშველე! — ამის დაძახებაღა მოასწრო ყაჩაღანამ.

შვილის ყვირილი გაიგონა თუ არა მუხამ, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, და თვალებით დაუწყო რკოს ძებნა. ამასობაში ქარაშოტებსაც ძალა გამოელიათ და ცოტა მიწყნარდნენ.

როცა გრიგალი ჩადგა, ყორანმა გაასწორა გადალრეცილი ბუდე, და ტყის მეუფის თხოვნით დაკარგული ყაჩაღანას საძებრად გაეშურა. მხოლოდ მესამე დღეს იპოვნა: რბილ ხავსიან ლოგინზე ეგდო და ზედ ტოტებისა და ფოთლების მთელი გორა ეყარა.

მთელი გზა ტიროდა და კანკალებდა რკო; ახლა კი მაგრად მიმხვდება, რვეული რომ დავხიე და გრიგალიც წავაქეზეო, — ფიქრობდა გულგახეთქილი. მაგრამ მუხა ისე გააბარა შვილის პოვნამ, რომ საკუ-

ვედურიც არ დასცდენია. ის კი არა, შეაქო, რა გულადი მყოლიხარო და ჭიკჭიკას შეეხვეწა, ჩემს შვილს ერთი მხიარული სიმღერა მიუძღვენიო.

— ნაადრევი ხომ არ არის რკოსთვის ხოტბის შესხმა? — შეყოყანდა პოეტი.

— არაფერია, დეე, ყველამ იცოდეს, რა თიხისაგანაც ვართ გამოძერწილნი! — ამაყად გამოაცხადა შვილის თანდასწრებით მამამ.

სამი დღე და ღამე იმტვრია თავი ჭიკჭიკამ, ცოლი და ძმებიც მოიშველია და აი ასეთი ლექსი შეთხზა:

აბა, მე დღეს
ვინ ვარ, ვინა?!.
რკოკაცუნა
პაწაწინა.
მაგრამ ამას
როდი ვწუხვარ,
ხვალ ვიქცევი
ძლიერ მუხად.

შოშიამ ლექსს სიმღერა მიუსადაგა, ყორანმა რამდენიმე რვეული შეკერა ტექსტის ჩასაწერად, მერცხალმა ახალი, უფრო მკვრივი მაგიდა და მოხერხებული სავარძელი გამოძერწა, ხოლო მტრედმა ყველაფერი კარგად გაითვალისწინა და წინანდელზე სამჯერ უფრო დიდი და სამჯერ უფრო მჭიდრო ჩარდახი დაწნა. როცა ყველაფერ ამას მოუყარეს თავი, შეიკრიბნენ ტყის ბინადარნი და რკოსადმი მიძღვნილი სიმღერა დააგუგუნეს. ოღონდ პატარა ლოკოკინამ ვერ მოუსწრო მათ ზეიმს: აბა რა დაემართებოდა, ზურგზე იმხელა, ბაბუასეული სამელნე შეედგა და ძლივს მოღოღავდა გზაზე.

ასე გაუცრუვდა უკანასკნელი იმედი რკოს და ვერ დაიძვრინა თავი გამოცდებიდან. თუმცა ყველა ამ ამბის შემდეგ, უფრო აიპრიხა ცხვირი. ასე ეგონა, მის ირგვლივ ყველა მხდალი და უმეცარი იყო. ახლა მამასაც კი უყვიროდა:

— ჰაიტ, შე გამოფუტურებულო ბებერო! წლობით რომ გაშტერებულხარ ერთ ადგილას და არაფერი გაგეგება.

მარტო მამასთან როდი უხეშობდა ასე, დასცინოდა თავის მასწავლებლებსაც.

— ერთი რამე გამიბედოს მამათქვენმა! — ეყოყლოჩინებოდა მტრედის ხუნდებს.

— ყორანი ვინღა მიგდია! — აშინებდა ბახალებს.

— რას მიქვია რაღაც გამოცდები! თვალდახუჭული ჩავაბარებ! — ბაქიობდა მერცხლის ბარტყებთან.

გამოცდების დღეც დადგა. რკომ ყურები ჩამოყარა. გადაწყვიტა, ისევ სადმე გადაკარგულიყო. მაგრამ ვერ მოასწრო. ფუღუროდან გამოყო თუ არა თავი, ცნობისმოყვარეთა მთელი გუნდი შემოერტყა.

— რკო კიდევ დაამტკიცებს, რა ბიჭიცაა!—გაიძახოდნენ ერთნი.

— სანაძლეოს დავდებ, რომელიმე მასწავლებელი ექვსიანს თუ არ დაუწერს! — გაჰყვიროდნენ მეორენი.

რკომ აღარ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ცნობისმოყვარეთაგან, გუბეში ჩაყვინთა, წყალმცენარეებში სცადა გაუჩინარება.

ჭყივ-ჭყივ-ჭყივ-ჭყივ!
ქარმა ჩამოგვირეკა სკოლის ზარი,
ვაშა! მალე ეს ჩვენი რკო
დაამთავრებს პირველ კლასს.

ყღურტულებდა ჭივჭავი.

წელმოწყვეტილმა რკომ ნაპირზე გამოცურა და შინ დაბრუნდა.

— ახლა კი დადგა ჩემი აღსასრულის დღე! — თქვა, როცა საგამოცდო მაგიდას მიუჯდა და იგრძნო, გული სადღაც ეპარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა, კალამი მოიმარჯვა, მელანში ჩააწო და კარნახისთვის მოემზადა.

— ყვა, ყვა... გაფრინდნენ ყორნები ეზოდან, — კარნახობდა ყორანი.

რკო ყურადღებით უსმენდა ყორანს, წერდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ მთელი გაკვეთილი გავიდა და მხოლოდ ერთი სიტყვა დაწერა. როცა ყორანმა სათვალის ზემოდან დახედა რვეულს, ჰკითხა:

— რატომ დაწერე მხოლოდ „ყვა“?

— იმიტომ... იმიტომ, რომ ყორნები უკვე გაფრინდნენ, — უპასუხა რკომ.

— სწორია! — აყვირდნენ ირგვლივ უსწავლელები, — სწორია, დაუწერე ექვსიანი!

მაგრამ ყორანი უდრეკი იყო და მხოლოდ ბებერი მუხის ხათრით დაუწერა დიდი სამიანი, ისიც დიდი მინუსით.

არითმეტიკის გამოცდაზე მტრედმა ორი კენჭი მოიტანა. ჯერ ცალ-ცალკე დადო, მერე ერთად და რკოს შეეკითხა:

— რამდენია?

რკომ თითები მომუჭა. მერე კეფა მოიფხანა, სულ დაღრღნა კალმისტარი და როგორც იქნა ამოღერღა:

— ერთი ესაა და ერთი ეს.

მტრედი აიბუზა და უკმაყოფილოდ მოჰყვა წინ და უკან გოგმანს ტოტზე.

— „ორი“ იქნება, „ორი“ იქნება! — დაუყვირა მოწაფეს.

— იქნება ორი, — გაიმეორა შეშინებულმა რკომ.

მტრედმა კმაყოფილებით დაუქნია თავი, ორ კენჭს მესამე მიუმატა, ცოტა შეფიქრიანდა და ისევ უკან წაიღო.

— იქნება ორი, — წინანდებურად ამტკიცებდა რკო.

მტრედი გაოცებისაგან იქვე ჩაჯდა, არ ეგონა. რკო ასე სწრაფად თუ უპასუხებდა. მერე ოთხ კენჭს გამოაკლო ორი, ხუთს სამი, ექვსს — ოთხი და ასე იფიქრეთ, ათს რვა. რკო კი შეუცდომლად პასუხობდა:

— იქნება ორი.

რკოს გულშემატკივრები და ცნობისმოყვარე მეგობრები აღტაცებულები დარბოდნენ.

— ექვსიანი დაუწერე! — უყვიროდნენ მტრედს.

— ვწერ, ვწერ... აჰა! — ბუტბუტებდა მტრედი, მაგრამ მაინც ოთხიანი დაუწერა.

მხოლოდ ჭიკჭიკამ გაახარა ცნობისმოყვარენი. ნება დართო რკოს თავად აერჩია სიმღერა და ყველას თანდასწრებით ემღერა.

— ყველაზე ძალიან ის სიმღერა მომწონს, თქვენ რომ ჩემზე დაწერეთ, — უპასუხა რკომ.

მოწაფის მუყაითობით გულაჩუყებულმა ჭიკჭიკამ თავი ვეღარ შეიკავა, თვითონ წამოიწყო სიმღერა და ყველამ ერთხმად აიტაცა.

ხო! ხო! ხო! ხო!
ხა! ხა! ხა! ხა!
რამდენ სისულელეს
ჩაეახავ!
სისულელეს ვინა ჩივის,
როცა
უსირცხვილოცა ხარ.

ოკო მიხვდა, ტყუილებით ფონს ვერ გავიდოდა, და გაპარვა დააპირა, მაგრამ ყარყატი ქეჩოში სწვდა:

— რადგან ლექსების ასეთი მოყვარული ხარ, უნდა მოგასმენინო, რას ყიყინებენ შენზე ჭაობის ბულბულები.

ბევრს ეცადა რკო თავი დაეხსნა. წიხლებს ისროდა, იკაწრეპოდა, მაგრამ არაფერმა უშველა. ყარყატმა მახლობელ ჭაობთან მიათრია. ნისკარტი კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა და უბრძანა, ყური მიუგდეო.

მალე ყუოტრეს ბიძაშვილებმა ერთხმად წამოიწყეს სიმღერა რკოზე:

ვინ არ იცნობს
ება ვინა
რკოს — ზარმაცს და
ყოყლოჩინას.
ვინც ბერმუხას,
გვჯერა ბალე,
სიბერის წლებს
გაუმწარებს.

ორც ამ სიმღერამ გასჭრა, რკო ქვას დასწვდა და ჭაობში გადაისროლა.

— ხმა გაკმიდეთ, თქვე თვალებდაკუსულებო! — დაუყვირა ბაყაყებს. — იცოდეთ, მამაჩემს ვეტყვი და შავ დღეს დაგაყრით.

ბაყაყებმა ყურიც არ ათხოვეს: ეტყობა, გადაწყვიტეს, ყაჩაღანას მთელი ოინები დაემღერებიათ, ეთქვათ, როგორ ეჩხუბებოდა და დასცინოდა თავისზე პატარებსა და სუსტებს, რა გაუგონარი იყო და როგორ უბზეკდა ყველას ცხვირს. რკომ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და საიდანაც შემოესმოდა ბაყაყების ხმა, იქით ისროდა ქვებს.

მთელი ნახევარი საათი გაგრძელდა ეს ბრძოლა. მაგრამ აბა რას გახდებოდა რკო, ბაყაყი ბევრი იყო. ერთი რომ ჭაობის თავში აყაყანდებოდა, მეორე ბოლოში აძლევდა ბანს. დაიღალა ქვის სროლით.

— ყვა-ყვა! — გაისმა ისევ.

რკომ ქვა ესროლა, მაგრამ ახლა სულ სხვა მხრიდან შემოესმა:

— ყვავ, ყვავ, ყვავ, ხელმრუდი და სულელი!

რკომ ისევ ისროლა ქვა.

ჭაობის მესამე კუთხიდან ხმამაღალი ხარხარი გაისმა:

— ყი, ყი, ყი, რკოა ნაღდი ყეყეჩი!

მაჩხუბარას ძალაც გამოელია და მოთმინებაც, ბაყაყები კი გაჩუმებას არ აპირებდნენ, ისე იჭაჭებოდნენ, მათი ხმა ერთ კილომეტრზე ისმოდა და ახლა სადღაც დასაკარგავიდან გამოეხმაურნენ ნათესავები ერთმანეთს. ასეთი ერთსულოვანი შემოტევა რკოს სიზმრადაც არ უნახავს. გაბოროტებულმა თვალები დახუჭა და ყურები თითებით დაიცო.

— რაო, არ მოგწონს? — ჰკითხა წითელფეხებამ.

— მომწონს, რატომაც არ მომწონს! — უპასუხა უტიფარმა. — გამიმეორე ახლა!

— რადგან შენს გამოსწორებას საშველი არ ადგება, სხვანაირად გასწავლი ჭკუას, — თავი გადააქნია დარბაისელმა ყარყატმა.

— შენ ვინ გეკითხება! — დაუყვირა რკომ.

ყარყატმა ყური არ ათხოვა, მიწას მოწყვიტა, ძლიერი ფრთების ფაციხუნით მაღლა აიტაცა, სულ მაღლა ღრუბლებამდე. მალე ანცს თავბიუ დაესხა და თვალთ დაუბნელდა, ახლა ვერც ვერაფერს ხედავდ და ვეღარც ვერაფერს გრძნობდა. ყარყატი კი მიფრინავდა სადღაც შორს, შორს, გადაატარა ტყეები და მთები, მდინარეები და ტბები და მიიყვანა გაუგონარსა და თვალითუნახავ ცრუთა ქვეყანაში.

„ჭამა არ მინდა“

რკო გოხს ერთ პატარა კორდზე მოვიდა. თვალები მოიფშვნიტა და რგვლივ მიმოიხედა. ყველაფერი პირქუში და უცნობი ეჩვენა. უცე! ყარყატი გაახსენდა და ბრაზისა და სიმწრისაგან ატირდა. იტი-

რებდა, იტირებდა და ცოტა ხანს მიყუჩდებოდა, მერე უფრო ხმამაღლა ატირდებოდა, მაგრამ მომფერებელი რომ არავინ გამოუჩნდებოდა, მაშინ კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მორთავდა ღრიალს. იმდენ ხანს იტირა, სანამ ზედ ფეხებთან დიდი მარილიანი გუბე არ გაჩნდა. შეეშინდა, საკუთარ ცრემლებში არ დავიხრჩოო, ადგილი მოინაცვლა და ისევ აღრიალდა. მაგრამ თითქოს ჯიბრზე, ცრემლი გაუშრა. ერთ ხანს კიდევ სცადა ტირილი, მერე თვალები ამოიწმინდა და ჭიანჭველების გაკვალულ ბილიკს დაადგა.

ნელა მიდიოდა, თან ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას. ალბათ რომ თქვას, სანახავი არაფერი იყო: ირგვლივ მხოლოდ გადახრუკული ვაკე მოჩანდა. ბინდდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, ღია ცის ქვეშ გაათია. დილით იგრძნო, შიმშილით კუჭი უხმებოდა. ირგვლივ სანთლით რომ გეძებნათ, არაფერი მოიძებნებოდა.

მეორე დღეს მუცელი თითქოს მიუყუჩდა, ოდნავღა ესმოდა კუჭის საწყალობელი ბუტბუტი: „იქნებ ვერრ-თი წვეთი ცვა-რრ-რი, მაინც იყოს სადმე!“

მესამე დღეს კუჭი მიელასტა, ფერდებზე მიეკრა და გაყუჩდა. საწყალ რკოს თვალთ დაუბნელდა, ბილიკი ორად ეჩვენებოდა, მუხლები ეკვეთებოდა. პატარა მოგზაურმა დაღამებას აღარ აცალა, იქვე მრავალძარღვას ფოთოლქვეშ მიწვა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა. დილით აღარსად წასვლის თავი არ ჰქონდა. ჭამაც კი აღარ უნდოდა.

— მამიკო, მამიკო, ყოველთვის შენი მორჩილი ვიქნები, — საცოდავად მოთქვამდა.

მრავალძარღვას შეეცოდა რკო.

— ადექი მტირალა, ადექი. თორემ დაიღუპები, — უთხრა ნინ.— სულ პირდაპირ, ტყე-ტყე იარე ღა ერთ ძველ ბაღთან მიხვალ. იმ ბაღში ჩიტის რძესაც კი ნახავ. მხოლოდ იცოდე, იქიდან ბევრი ვერ ბრუნდება ცოცხალი.

— ეჰ, სულ ერთია. მაინც აღარ შემიძლია სიარული, — ხელი ჩაიქნია რკომ.

— რა გაქვს მაგ ნიკარაში?

— ბელანია, ამის დალევა არ შეიძლება.

— შენ იცი, — უპასუხა მრავალძარღვამ.

რკო სანამ ერთი-ორ წუთს დალევდა, კარგა ხანს ატრიალა ხელში სამელნე. დადუღებულმა ძახველის მელანმა სულ გააცოფა, ისე მოაწყურა.

ძლივს წამოდგა და სვენებ-სვენებით მილასლასდა ასკილის ღობემდე, რომელიც ბაღს ეკრა. მერე ასკილის ღეროს მოეჭიდა და მიწაზე გახოხდა. ბაღიდან ვიღაცის კივილი მოისმა.

— არ მშია, არ შევჭამ! მირჩევნია მოვკვდე! მომეცით, „ჭამა-არ-მინდა"!

ეს ვინაა, ჭამაზე რომ ლაპარაკობს? რკომ ყური მიუგდო, უკანასკნელი ღონე ბოიკრიბა და ცოცხალ ღობეში შეყო თავი.

დიდი, ძველი ბაღის შუაგულში სხვადასხვაფერი სადაფის ნიჟარებისა და ქვისაგან ნაგები საოცარი სასახლე იდგა. ეზოში გადმოსჩქეფდა ტკბილი გაზიანი წყლები. სასახლის ღია ფანჯრებიდან მადისაღმძვრელი სურნელი ვამოდიოდა და საწყალ რკოს პირი ნერწყვით აევსო.

ამ დროს სასახლის ფანჯრიდან ბურთივით მრგვალი რაღაც გადმოხტა და იქვე ხორაგით სავსე მაგიდისაკენ მოკურცხლა. მას უკან გაჩხიკული გირჩი და ფეხებდაბრეცილი სქელი გირჩა მოსდევდნენ.

— გირჩუნა, შვილიკო, მხოლოდ ერთი კოვზი შეჭამე! — მისძახოდა ორივე.

— „ჭამა-არ-მინდა" მინდა! — ღრიალებდა გირჩუნა და მაგიდას გარს უვლიდა.

რკო ღაოკვირდა და მიხვდა, ბურთი კი არა პატარა გირჩი იყო. მშობლები გირჩუნას რომ ეძახდნენ.

უცბად მამა გირჩი გაჩერდა. დედა გირჩა კი ისევ დასდევდა შვილს. გირჩუნამ არც აცივა, არც აცხელა. შეხტა მაგიდაზე და თავიდან რომ მოეცილებია დედ-მამა, ნამცხვრების, მურაბებისა და ათასგვარი ტკბილეულის აქეთ-იქით სროლა დაიწყო.

— გირჩუნა, გაჩერდი, შვილო, აბა მიყურე, რა ვქნა! — უთხრა მამა გირჩმა და რამდენჯერმე ყირაზე გადავიდა. მერე თავდაყირა დადგა და ხელებით გაიარ-გამოიარა.

მეომარ მყვირალას მოეწონა ეს თამაში და ეუღლანად გადაიხარ-

ხარა. მამას მეტი რაღა გაეკეთებია, ოთხზე დაფოფხავდა და ცხვირით კენჭებს აგროვებდა.

— ახლა კი ერთი კოვზი შეჭამე, შვილო! — უთხრა გირჩამ გაღიმებულ ბიჭს.

— არ მინდა, არ მინდა! — ისევ აღრიალდა გირჩუნა და ფეხები ააბაკუნა. მერე უზარმაზარ ტორტს დასწვდა და ზედ ცხვირ-პირში მიათხლიშა დედას.

— ნუ ანერვიულებ ბავშვს! — გაუწყრა ცოლს გირჩი. — არ უნდა და ნუ ჭამს, თავი დაანებე.

— კარგი, ნუ ჭამს, — უცებ დაეთანხმა გირჩა.

— გვონიათ, არ ვიცი თქვენი ხრიკები, მატყუებთ, ახლავე დაგდებ ჭიქა ძირს! — დაუყვირა ანცმა დედას.

— მაგიდაზე დავდგამ, — უთხრა დედამ.

— არა, არა, ახლავე გატეხე!.. — ფეხებს აბაკუნებდა გირჩუნა და მანამ არ მოისვენა, სანამ არ გაატეხინა ჭიქა.

საჭმლის გემრიელმა სურნელმა ცოტა მოასულიერა რკო. მაგრამ გული დაწყდა: რა უბედური ვარ, მე შიმშილით ვკვდები, ეს ვიღაც ოხერი კი აქეთ-იქით ისვრის გემრიელ ნამცხვრებსო. რკომ ველარ მოითმინა, გირჩუნასთან მიიჯრა, სწვდა ფეხებში, მაგიდიდან გადმოათრია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნჯღრევა დაუწყო:

— როგორ ბედავ, როგორ ბედავ, როგორ იმეტებ? — სიტყვებს ველარ პოულობდა, მერე ძირს დაანარცხა გირჩუნა და მიაძახა: — ესეც შენ. ესეც შენ ყველაფრისათვის.

გირჩამ დაინახა თუ არა დაუპატიჟებელმა სტუმარმა მისი ერთადერთი შვილი ძირს დააგდო, რკოსთან მიიჯრა. მაგრამ ჭივჭავის გამოზრდილმა რკომ ერთი ისეთი სთხლიშა, რომ გოდორა ბილიკზე დაეპერტყა. მიწას სულ ზანზარი გაჰქონდა.

სანამ რკო ჩხუბობდა, გირჩი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა:

— გუშაგებო, გუშაგებო! მოკლეს!..

რკოს არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა, შეხტა მაგიდაზე და რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი პირში იტაკა. ამ დროს

ერთ-ერთი მცველი მივარდა და ხელები დაუჭირა. რკომ ისიც მიწაზე დაანარცხა. ამ აურზაურში რკოს ლუკმა ყელში გაეჩხირა და ის იყო წვნიან სურას დასწვდა, რომ მცველები მივარდნენ და ხელები გადაუგრიხეს. წვნიანი სურა ძირს დავარდა და დაიმსხვრა. რკოს უნდოდა კიდევ დაეთრია რამე, მაგრამ მცველებმა მოასწრეს და მაგრად გაკოჭეს.

გონსმოსულმა გირჩმა ბრძანა, ბორკილები დაედოთ ჩხუბისთავისთვის, მერე რკო რომ ვერ მიწვდომოდა, ხუთი ნაბიჯი გადათვალა. დაჯდა და დაკითხვა დაიწყო:

— ვინა ხარ, ყაჩაღი თუ ქურდი?

— მე უმეცნიერესი მეცნიერების დოქტორი და უმსხვილესი გაზეთის კორესპონდენტი გახლავართ.

გირჩი დაიჯღანა და ფეხები დააბაკუნა.

— ყური მიგდე, ძვირფასო, აქ მხოლოდ ჩემი მონები, ჯარისკაცები და მსახურები ცხოვრობენ. სხვა დანარჩენები ლტოლვილები, ქურდები და ყაჩაღებია. შენ ვინღა ხარ, ყაჩაღი თუ ქურდი?

რკოს ბევრჯერ უთამაშია ყაჩაღობანა, უოცნებია კიდეც, ნეტავ ყაჩაღთა ბელადი გამხადაო, მაგრამ ის მხოლოდ თამაში იყო!..

რკო ხმას არ იღებდა.

— მიბეგვეთ მაგრად! — ბრძანა გირჩმა. — ჩვენი შვილისათვის კარგი გაკვეთილი იქნება.

რამდენიმე მსახური მივარდა რკოს, მიწაზე დააგდო, თავსა და ფეხებზე წეაჯდა და როზგები დაუშინა.

— იცოდე, შენც ეს დღე დაგადგება, თუ არ ჭამე. — ეუბნებოდა გირჩა თავის ერთადერთ შვილს.

რკო ითმენდა, კბილს კბილზე აჭერდა და ხმას არ იღებდა. თავის სიცოცხლეში პირველად ისჯებოდა ასე უსამართლოდ. გირჩუნა არ ჭამდა, გირჩუნა ანცობდა, მსახურები კი მას სცემდნენ, სცემდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ შეეშინებიათ ეს უკეთური, და შეურაცხყოფილი რკო ჩუმად ატირდა.

გირჩმა მსახურებს ანიშნა თავი ანებეთო და რკოს მიუბრუნდა:

— დღეს ჩემს ბიჭუნას დაესიზმრა უგემრიელესი უცხოური

კერძი, რომელსაც „ჭამა-არ-მინდა“ ჰქვია. იქნებ შენ იცოდე მისი დამზადება?

— რომც ვიცოდე, არ გეტყვით! — მიახალა რკომ. — ნამდვილი მხდლები და სალახანები ხართ. ცხრა კაცი ერთზე მოდიხართ და ისიც ბორკილებიანზე.

— სცემეთ, იმიტომ რომ არ იცის კერძის დამზადება და არც გვეუბნება როგორ დავამზადოთ, — ბრძანა გირჩმა.

მსახურებმა სტაცეს ხელი რკოს და იმდენი ურტყეს, რომ სულ ოფლად გაიღვარნენ.

— იცოდეთ, თქვენც ეს დღე მოგელით, — აშინებდა მსახურებს გირჩი, — წუხელ მშიერი დააძინეთ ჩემი შვილი, დაესიზმრებოდა არაჩვეულებრივი კერძი, აბა რა იქნებოდა!

რკო ხმას არ იღებდა, მხოლოდ ტუჩებს იკვნეტდა. ეს რომ გირჩუნამ დაინახა, ისე შეეშინდა, მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ნამცხვარი მიირთვა.

სადილი მთელი ოჯახისათვის დღესასწაულად იქცა. ბორკილებგაყრილი რკო კი კედელთან მიაბეს და მცველები დაუყენეს. ლუკმა ოა არის, ისიც არ მიუგდეს. რომ არ დაენახა, როგორ ნთქავდა ოჯახი საჭმელს, რკო კედლისკენ მიბრუნდა და მაგრად დახუჭა თვალები.

— ხედავ, ძვირფასო, როგორ ჭამს ჩვენი გირჩუნა? სხვა გზა არ არის, ყოველი ჭამის წინ უნდა გავროზგოთ ეს ავაზაკი, — ხარობდა გირჩი.

— რაღა თქმა უნდა, უნდა გავროზგოთ! — დაემოწმა გირჩა, — თორემ ისევ დაეკარგება მადა ჩვენს ბიჭუნას

ამის გაგონებაზე საწყალ რკოს თავით ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა.

„ერთი უბრალო ოჟროცერცვა გახლავართ“

ჭირჩს ძველისძველი ბაღის კედელზე ჰყავდა რკო გამობმული. ყოველი საუზმისა და სადილის წინ მისი ბრძანებით ურტყამდნენ. ურტყამდნენ, რომ მათი პატარა ბიჭუნა მადაზე მოსულიყო. უფრო-

სებს გირჩუნაც არ ჩამორჩებოდა: საწყალ ტყვეს ცხვირ-პირში ეს-
როდა სადილის ნარჩენებს, გამოხრულ ძვლებსა და კურკებს. ხან კი,
თუ ხელში ვერაფერს მოიხელთებდა, აფურთხებდა.

რკოს მსახურებიც არ ინდობდნენ. როგორც კი დროს იხელთებ-
დნენ, ბატონებზე უარესად ეპყრობოდნენ მიჯაჭვულ ტყვეს და უმ-
ვერი სიტყვებით ლანძღავდნენ.

რკო ითმენდა დამცირებას და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ
დაეღწია თავი ამ საშინელებისაგან. როგორც კი სასახლე მიიძინებდა
და მცველებს რული მოეკიდებოდათ, მაშინვე წვეტიანი ქვით ჯაჭვე-
ბის გადახეხვას იწყებდა. მაგრამ აბა რას დააყლებდა ქვა რკინას!
მცველების უფროსმა კვრინჩხამ ეს რომ დაინახა, ბრძანა, ძველი
ბორკილები ახლით შეეცვალათ, ხოლო თავის მცველ-კვრინჩხუნებს
დაავალა, გააგებინეთ მაგ აბეზარს, რომ აქ „ყველა ცხოვრობს და
კვდება მხოლოდ და მხოლოდ ბატონი გირჩის წყალობითო“.

მცველ-კვრინჩხუნებს ეკლის შუბები გადაეკიდათ მხარზე და წინ
და უკან დადიოდნენ, ხოლო დღეში რამდენჯერმე აფურთხილებდნენ
რკოს. ხომ იცი ვისი გულისთვისაც უნდა ითმინო ამდენი ტანჯვაო.
რკო მაინც არ ფიქრობდა. დამორჩილებოდა გირჩებს და ქვიტკირზე
მიმაგრებულ რგოლს. რომელზედაც თავად იყო გამობმული, რყევა
დაუწყო. არც ეს გამოპარვია კვრინჩხას და ბრძანა, ახალ რგოლზე
გამოაბითო.

ერთხელ რკო ახალ გეგმებს აწყობდა; უცებ ვიღაც ღრიალით
გამოვარდა სასახლის ფანჯრიდან, რამდენჯერმე გადავიდა ყირაზე და
ზედ რკოს ფეხებთან დაეხეთქა. რკო დაიხარა და ბინდბუნდში რაღაც
მრგვალი ცოცხალი არსება გაარჩია. მას ყალყზე დასდგომოდა ყვი-
თელი თმა. უცნობი ძლივს სუნთქავდა და დედას უხმობდა.

მუხის შვილს დიდხანს არ უფიქრია, ხელი სტაცა ხვართქლის
ფოთოლს და უცნობს თავზე კარგა მოზრდილი ნამის წვეთი დააპ-
კურა.

როცა უცნობი გონს მოვიდა, რკომ ჰკითხა:

— ვინა ხარ?

— ხტუნია ოქროცერცვა.

— ფანჯრიდან რას მოხტოდი, კარიდან ვერ გამოხვედი მშვიდად?

— გირჩუნამ მისროლა.

— რას აკეთებ ამ საზიზღარ სასახლეში?

— მიწას ვხნავდი და ამ დროს შემიპყრეს კვრინჩხუნებმა. აქ მოგიყვანეს რომ გავართო ტრაბახა და უსაქმური გირჩუნა.

— მე კი ტყავს მაძრობენ, რომ შეაშინონ გირჩუნა, — შესჩივლა თავის მხრივ რკომაც.

— მათგან სხვას რას უნდა მოელოდე: ყველას ასე ეპყრობიან. ის სალახანა ხელ-ფეხს მიგრეხდა, მიწაში მფლავდა და ჩხარუნა სათამაშოსავით მანჯღრევდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, წესიერი ბავშვები სათამაშოებს ასე არ ეპყრობიან. შენ ვინღა ხარ?

— მე რკო გახლავარ, მუხის შვილი, ცნობილი მთხზველი და სუფთა წერის დოქტორი.

— მე კი ერთი უბრალო ოქროცერცვა ვარ, — მწარედ ამოიკვნესა ხტუნიამ და ჩაჰკიდა თავი. — სოფელში მამაჩემსაც ხტუნიას ეძახდნენ.

— სპორტსმენი ხომ არა ხარ?

— არა. განა რასაც ბედი გაიძულებს...

რკოს მოეწონა ოქროცერცვას გულახდილობა და უთხრა:

— თუ გინდა, სირბილში ჩემპიონს დაგიძახებ.

— აბა რაში მჭირდება ეგ ტიტული. ოჰ, როგორი ქუდი გახურავს?!

— იცი, რა გითხრა, ქუდი იმიტომ მახურავს, რომ ბრძნული აზრები არსად გამიფრინდეს, — წაიტრაბახა რკომ.

— ოჰო! — გაიკვირვა ხტუნიამ და ისევ მწარედ ამოიოხრა. — გეტყობა, ძალიან ჭკვიანი ხარ და ბევრი რამეც იცი.

— რაღა თქმა უნდა, მაგრამ ბევრი დამავიწყდა კიდეც, — წარბიც არ შეხარა ისე უღმერთოდ იცრუა რკომ. — თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჭაბუკო, თუ არ ვცდები, ბორკილები არ გადევს?

— დიახ, ჯაჭვებისაგან თავისუფალი გახლავართ.

— აგაშენა ღმერთმა! მაშ გაქცევაში ჭიშველი და ისაა!

— არა, არაფრის გულისთვის! გეტყობა, ჯერ კიდევ კარგად არ

იცი გირჩის რისხვა. სულ ნაკუწნაკუწად გვაქცევს და ქათმებს გადაუყრის საკენკად ჩვენს ძვალსა და რბილს.

— ვინ? ეგ ბებერი ბირკავა? ეგ კოჭლი ბღენძი? უნდა გენახა, რას ვაბურთავე ჰაერში თავდაყირა!

— ჰოდა, იმიტომაც გადევს ბორკილები.

— შენ იკითხე თორემ, მე ის მაინც ვიცი, რისთვის ვზივარ.

დამეგობრება ვერ მოასწრეს, უკვე გაიბუტნენ და გაბერილები ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. ოქროცერცვამ ვერ მოითმინა და პირველი გამოელაპარაკა:

— შენთვის ადვილი სათქმელია. არც კი იცი, რომ გირჩი ურჯულოთა ქვეყნის საზღვრების მთავარი მცველია. თავისი კვრინჩხუნების წყალობით შენი მოკვლა ხომ შეუძლია და შეუძლია, მაგრამ ამას არ გაკმარებს! ისე შემოგარბენინებს მთელ საზღვრებს, სანამ ფეხები არ დაგაწყდება. არაფრად უღირს ჩვენი მაგრად დამქავება. ჰო, ჰო, ყოვლისშემძლეა! მხეცია, მხეცი!

— მით უმეტეს, უნდა გავიქცეთ.

— რამდენჯერ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა: ერთ მხარეს ზღვაა, მეორე მხარეს — მდინარე, მესამე მხარეს კი მთები...

— მეოთხე მხარეს რაღაა?

— ოჰ, ნუ მკითხავ. მეოთხე მხარეს ყველაზე საშინელება — ტყეა! თანაც ისეთი დაბურული და გაუვალი, მასზე ფიქრიც კი მზარავს.

— მე ტყის შვილი ვარ! საითაა ტყე?

— სამხრეთით. იქ უამრავი ჩიტი ბუდობს.

—მაინც უნდა გავიქცეთ.

— კარგი, გავიქცეთ, — წამოდგომა ვერ მოასწრო ხტუნიამ, რომ ისევ მიწას დაასკდა. რკოც ზედ დააწვა.

— აქ ყველა ბატონი გირჩის წყალობით ცხოვრობს, — ჩაილაპარაკა მცველმა და გვერდზე ჩაუარა მათ.

— რა გაუფრთხილებელი ხარ... — წასჩურჩულა შეშინებულ მეგობარს რკომ. — ვინ მომხსნის ბორკილებს?

— შენ ხომ დოქტორი ხარ, თვითონვე მოიფიქრე, — მხრები აიჩეჩა ოქროცერცვამ.

— უკვე მოვიფიქრე. ფრთხილად შეძვერი გირჩის საწოლ ოთახში და გასაღები მოპარე, ბალიშის ქვეშ ინახავს.

— არ გაეღვიძება?

— ნუ გეშინია! — გაამხნევა რკომ. — აქ ისმის მისი ხვრინვა.

რკომ ხელში აიყვანა მეგობარი, ისიც ხვართქლის ბოლოს მოეჭიდა და მაღლა აცოცდა. მალე ჩაბნელებულ სარკმელში გაუჩინარდა. რკოს ოქროცერცვას მოლოდინში გული ელეოდა. ყურდაცქვეტილი იყო და უბრალო ფაჩუნიც არ ეპარებოდა. გული ისე უცემდა, დროზე რომ არ მოეჭირა ხელი, ალბათ გააღვიძებდა იქვე მთვლემარე კვრინჩხუნებს.

— მკვდარივით სძინავს, — გაისმა ჯერ ოქროცერცვას ხმა, მერე მისი სასაცილო ქოჩორი გამოჩნდა და მალე თვითონაც რკოსთან ამოყო თავი.

რკო გადაეხვია მეგობარს და გახარებულმა ისე მაგრად ჩაიკრა გულში, გეგონებოდა უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულნი.

— აჰა, გასაღები, — ძლივს მოასერხა ამის თქმა ხტუნიამ.

— არაფერი არ გესმის, არაფერი არ გაგეგება, — ეუბნებოდა რკო და ხელს არ უშვებდა მეგობარს, — ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიპოვე მეგობარი, გესმის პირველად!

— კარგი, კარგი, გეყოფა!

ხტუნიამ თვალისდახამხამებაში მოხსნა ბორკილები რკოს და ისის იყო იქვე უნდა მიეგდო, რომ რკომ გამოგლიჯა ხელიდან და მხარზე გადაიკიდა.

— რა ჯანდაბად გინდა? — გაუკვირდა ხტუნიას. — ამის ჩხარუნიღა გვაკლია!

— როგორ გგონია, ახლა, როცა ხელები თავისუფალი მაქვს და ასეთი მეგობარი მყავს, შურს არ ვიძიებ იმ ბოროტ გირჩზე? შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ.

— დაგვიჭერენ, — შიშის ქარმა აიტანა ოქროცერცვა.—ჩემზეც იფიქრე ცოტა.

— მაშ ისევ დამადე ბორკილები, — უთხრა რკომ.

— აბა რა გითხრა, შენ ხომ დოქტორი ხარ, უკეთ იცი,—დაუთმო მეგობარმა.

ამ დროს გამოძინებულმა მცველმა გვერდზე ჩაუარა და გააფრთხილა:

— აქ ყველა ბატონი გირჩის წყალობით კვდება.

შეთქმულებმა სადაფის საფეხურები აიარეს, ქარვის დერეფანს გაუყვნენ და ფრთხილად შევიდნენ სასახლეში. გირჩის საძინებელი ოთახი დიდხანს არ უძებნიათ, ან კი რა ძებნა უნდოდა, ისეთი ხვრინვის ხმა გამოდიოდა, ჭერი ირყეოდა, დერეფანში მთვლემარე მცველი-გირჩუნები ჩუმ ბანს აძლევდნენ თავიანთ მბრძანებელს.

მეგობრები საძინებელ ოთახში შეძვრნენ. ერთ საწოლზე გულაღმა გაშხლართულიყო გირჩი, მეორეზე — გირჩა მოკუნტულიყო. რკო ფრთხილად მიუახლოვდა მათ, ბორკილებით გადაუბა ფეხები ერთმანეთზე და გასაღებით ჩაკეტა. მერე მეორე ოთახში გავიდნენ. აქ გირჩუნას ეძინა. რკომ ცოუნებას ვერ გაუძლო, უნდოდა ესეც გაემწარებია. სწრაფად მოძებნა თავისი რვეული, სამელნე და კალამი. თითი ჩააწო მელანში და პატარა უქნარას წითელი ულვაშები მიახატა.

— გავიქცეთ! — ეწეოდა გულგახეთქილი ხტუნია მეგობარს.

ეზოში რომ გამოვიდნენ, გაზიან წყაროსთან მიირბინეს და რკინის გასაღები ჩააგდეს, მერე ცოცხალ ღობეში გაძვრნენ და ვარდისფერი ცის მიმართულებით გაიქცნენ.

მზე ამოიწვერა თუ არა, დარაჯმა შეამჩნია რკო გაპარულიყო და ერთი ამბავი ატეხა.

— გაიქცა! გაიქცა! — გაჰკიოდა იგი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შუბის ტარს ურტყამდა იქვე ჩამოკიდებულ ტაფას.

ხმაურზე გიჟივით წამოვარდა გირჩი, კარს ეცა, გირჩა კი ფანჯრისკენ გაიქცა და ორივემ იატაკზე მოადინეს ზღართანი. ძილბურანში იყვნენ და ასე ეგონათ, ვიღაც გვეწევა ფეხზეო. ახლა გირჩი ფანჯრისკენ გაიქცა, გირჩა — კარისაკენ და ისევ მოცელილებივით დაეხეთქნენ იატაკზე.

— გუშაგნო! — გაჰყვიროდა გირჩა.

— შეგვიბრალეთ! — ღრიალებდა გირჩი.

ხმაურზე ოთახში პატარა უქნარა გირჩუნა შემოვარდა. მისი წითელი ულვაშები რომ დაინახეს, მშობლებს სისხლი ეგონათ და შვილს

შივარდნენ. მაგრამ ორივე ისევ გადაკოტრიალდა, ფეხები ილრძეს, შუბლები დაიხეთქეს და ცხვირები დაიჩეჩქვეს.

ასე იატაკზე გაშხლართულებს მიუსწრო კვრინჩხუნების უფროსმა.

— დაედევნეთ! — გაჰყვიროდა სიბრაზისაგან გაყვითლებული გირჩიც.

— ბორკილები აგვყარეთ! — გაჰკიოდა გალურჯებული გირჩაც.

— დაედევნეთ! — ბრძანა კვრინჩხამ.

დაბნეულმა კვრინჩხუნებმა იმდენი ირბინეს ეზოს ერთი ბოლოდან მეორემდე, ვიდრე ფეხები არ დააწყდათ.

— ბორკილები აგვყარეთ! — დაიყვირა გირჩამ, რომელიც გირჩის თმებს მოეჭიდა და როგორც იქნა წამოდგა.

ყველა გასაღებს დაეძებდა, მაგრამ ვერსად იპოვეს. ან კი როგორ იპოვიდნენ, როცა იგი ნელ-ნელა ეშვებოდა გაზიანი წყაროს უძირო ფსკერზე.

რკოს მოტაცება

არ გეგონოთ ხტუნია ბაქიობდა რკოსთან, თუ დამჭირდა სირბილში ვერავინ მაჯობებსო. გირჩის სასახლიდან გამოცვივდნენ თუ არა, ისე გარბოდა, ფეხებს სულ ზურგზე ირტყამდა. რკო ვერ ეწეოდა, მაგრამ არ უნდოდა მეგობარს მისი სისუსტე შეემჩნია და თავს იმართლებდა:

— შენ რა გიჭირს... აბა მე მკითხე, ხან რვეული მივარდება, ხან შელანი მექცევა... კალამიც გამომივარდა ყურიდან...

ოქროცერცვა ყურს არ უგდებდა და უკანმოუხედავად გარბოდა. და როცა მისი ქოჩორი ბალახებს მიეფარა, მუხის შვილმა ვეღარ მოითმინა და შეჰყვირა:

— და-ვი-სვე-ნოთ!

— რა დროს დასვენებაა, საცაა გათენდება! — უპასუხა ოქროცერცვამ და უფრო ღრმად შეძვრა ბალახებში.

თუმცა ძალიან ჩქარობდნენ, აღმოსავლეთით ცა თანდათან სულ

უფრო და უფრო ნათდებოდა. მზის პირველმა სხივებმა ცისკაბა-ლონზე მონანავე ღრუბლები გაასხივოსნა და მიწაზე დაეშვა.

უცბად რომელიღაც ჩიტმა ფრთები ააფართხუნა და ისე აჭიკ-ჭიკდა, რომ შიშისაგან გულგახეთქილი ოქროცერცვა შვიდჯერ გადა-კოტრიალდა და ბალახებში გაგორდა: მას ხომ სიკვდილივით ეშინოდა ჩიტების.

ამ დროს რკომაც მოირბინა, ზედ წააწყდა ოქროცერცვას და ისიც იქვე გადაკოტრიალდა.

— რაც გინდა ის მიქენი, ოღონდ არ დამკორტნო! — თავზე ხე-ლები დაიფარა და აწრიალდა ოქროცერცვა.

— მე... ჩიტი არა ვარ... — სულს ძლივს ითქვამდა რკო. — ნუ გეშინია.

მზე ცალი თვალით დაჰყურებდა დედამიწას და ეს ამბავი რომ დაინახა, გაეცინა. გაშლილ მინდორზე, ფოთლის ქვეშ მამაცი ოქრო-ცერცვა იწვა, ის ოქროცერცვა გაბედულად რომ შევიდა გირჩის ოთახში და ახლა ერთი ციდა მოჟღურტულე ტოროლას წინაშე ში-შით კანკალებდა. ოქროცერცვას გვერდით სუნთქვაშეკრული მეორე ვულადი გორაობდა, რომელიც სულ იმას ტრაბახობდა, თუ დამჭირ-და მთელ ქვეყანას ასკინკილით შემოვივლიო. ახლა ორივე მიწას გაჰ-კვროდა და განძრევაც კი ვერ გაებედნათ.

— რას კანკალებ? — პირველად გონს მუხის შვილი მოვიდა.

— შენ რა გიჭირს, გრძელი ხარ და ადვილად იმალები, მე კი რა ვქნა, გინდა დავწვე, გინდა ავდგე, მაინც ერთნაირად ვჩანვარ.

— ამ ჩიტის ნუ გეშინია, იგი მზეს უმღერის საგალობელს, — დაამშვიდა მეგობარი რკომ.

— სიმღერას რომ გაათავებს და ჩემი შეჭმა მოუნდეს?

— ხომ ხედავს, ერთი უწყინარი მოგზაურები ვართ!

— უცბად უზმოზე რომ დაავიწყდეს ყველაფერი? არ გესმის, როგორ გაჰყვირის? გვაშინებს.

— არა, კი არ გვაშინებს, გახარებულია. ჩიტების ენაზე აი რას ამღერის:

გაზაფხულის დილა გრილი,
უჭმელობით დაოსილი,
გამოვლალე გზად წვრილშვილი,

ცარიელი ჩიჩახვებით,
ცარიელი ჩიჩახვებით
ფეხზე ძლივსღა ვდგებით.

ჩხიკ-ჩხიკ! ჩხიკ-ჩხიკ!
ზაფხულში
მინდორში თუ ველად
იმდენია საკენკი,
რომ გაგვწვდება ყველას
ოღონდ სხარტად
უნისკარტე,
ოღონდ უნისკარტე
სხარტად!

— ახლა ბარტყებიც თუ მოასხა აქ, მაშინ უყურე ჩემს სეირს! — ისევ შიშის ქარმა აიტანა ოქროცერცვა და აკანკალდა.

— თუ ასეთი მხდალი ხარ, ისევ გირჩთან დაბრუნდი. იქ ეზოში რძის მდინარეები მოედინება, მე წყურვილით ვიხრჩობოდი და ერთი წვეთი წყალი ვერ გაიმეტა.

— მარტო შენ არ ყოფილხარ მაგ დღეში, — ამოიოხრა ხტუნიამ. — იცი, ყველაზე დიდი ლომიც ვერ მაფრთხობს, ჩიტის კი, რაც არ უნდა ციცქნა იყოს, სიკვდილივით მეშინია. ტყეში რაღა მეშველება?

— კარგი ერთი, ყურები ნუ ჩამოყარე, მუხის შვილს ხეები რას შემაშინებს! აბა, გავუდგეთ გზას! — გაამხნევა მეგობარი რკომ.

— გავუდგეთ! — ძლივს წამოდგა ხტუნია. — მამაჩემიც წნელზე გაიზარდა. ხეების არც მე მეშინია, შენ ისა თქვი, მათზე რომ სხედან, იმათ რა ვუყო.

თუმცა ოქროცერცვამ გული ცოტა გაიმაგრა, მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზე უკან იხედებოდა და კარგა მანძილით ჩამორჩა მეგობარს. ხოლო როცა ტყის თავში ჩიტების ჟივილ-ხივილი შემოესმა, საცოდავს პირს კატა ეცა, მკვდრის ფერი დაედო და რკოს შეევედრა:

— იქნებ ცოტა კიდევ შევისვენოთ?

— სიამოვნებით, — უთხრა რკომ. — აი, აქ დავსხდეთ და გიამბობ, ერთხელ რა დღე დავაყარე ყორანს. იცი რა გითხრა, ძამია; არ-

ფიცსაც ადვილად მოვერევი, მაგრამ ეშინია და არ გამოდის საჩხუბრად.

ოქროცერცვას ის იყო სიტყვა უნდა შეეწყვეტინებია ბაქიასთვის, რომ უცებ, სად იყო და სად არა, ხიდან საშინელი ურჩხული ჩამოხტა. ქეჩოში სწვდა რკოს და ისევ ხეზე ავარდა.

— მიშველეთ, — ერთი კი შეჰყვირა რკომ და ურჩხულთან ერთად ფუღუროში გაუჩინარდა.

თუმცა ოქროცერცვას შიშის ქარმა დაუარა, მუხლები აუკანკალდა და კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ გაქცევა მაინც არ უფიქრია — უპატრონოდ ჩავარდნილ მეგობარს შველა უნდოდა.

ხტუნია ფოთოლს ამოეფარა და ფრთხილად ათვალიერებდა ფუღუროს. მალე საშინელი გრძელუდა ურჩხული ისევ გამოხტა ფუღუროდან და სადღაც გაიქცა. ეს ციყვი გახლდათ, მაგრამ ხტუნიას თავის სიცოცხლეში არ ენახა და აბა საიდან ეცოდინებოდა?! მალე ურჩხული ისევ დაბრუნდა, კბილებით რაღაცას მოათრევდა.

„ასეთი შემაზრზენი და დიდი რომაა, ეს არაფერი, საქმე ისაა როგორ მივაღწიო ფუღუროამდე?“ — ფიქრობდა ოქროცერცვა და იარაღს დაეძებდა.

როგორც იქნა იპოვა ფიჭვის ერთი გრძელი წიწვი და მეგობრის გამოსახსნელად გაემართა.

არც ხელი ახლო, არც უსუნო

რამდენჯერმე შემოურბინა ხტუნიამ იმ ხეს, ურჩხული რომ ცხოვრობდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. ძალიან მოიქანცა და სულის მოსათქმელად იქვე ერთ მოყავისფრო ბორცვაკზე ჩამოჯდა. უცებ ბორცვაკი შეინძრა და შიშისაგან გულგახეთქილი ოქროცერცვა მაღლა აიტაცა. ხტუნია თვალისდახამხამებაში გადმოხტა და საბრძოლველად მოემზადა, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა.

უცებ ხავსი გაიწ-გამოიწია და ხტუნიამ თავის თვალით დაინახა, როგორ გადაიქცა ყავისფერი ბორცვაკი ყავისფერ ქუდად. მალე კი ამ ქუდის პატრონის ლამაზად აშოლტილი ტანი გამოჩნდა.

— გამარჯობა, — მოკრძალებით გაუწოდა ხელი ხტუნიამ. — ჯერ არ ვიცნობთ ერთმანეთს...

— მე ხარიფაშვა ვარ. უჰ, როგორ ცივა!

სანამ ერთმანეთს ეცნობოდნენ, ხარიფაშვა ოქროცერცვასხელა გახდა.

— როგორა ხარ? — საუბარი გააგრძელა ხტუნიამ.

— ძლივს ვდგავარ ფეხზე. ხავსქვეშ კინალამ დავიხრჩვი, აქ კი სიცივისაგან ალბათ მალე ფეხებს გავფშიკავ,—წუწუნებდა ნაზიბროლა სოკო. — ვილაცამ ქუდიც გვერდზე მომიქცია.

— მეგობარი საშინელმა მზეცმა მომტაცა და მე არ ვკრუსუნებ. საომრად ვემზადები. შენ რაღა მოგივიდა, მოითმინე ცოტა.

— ვერ ვითმენ!

— კარგი ერთი, ნუ ინაზები. ცოტა წაივარჯიშე, გახურდები და კანკალიც გაგივლის.

— ვაოფლიანების მეშინია. ნიავი დამკრავს და სურდო შემეყრება. ოჰ, როგორ მეშინია სურდოსი.

ამ ლაპარაკში ხარიფაშვა კიდევ გაიზარდა. ეს თვით სოკოების პოლკოვნიკმა, ფიჩვის სოკომაც შენიშნა. თვალები მოიფშვნიტა, ულვაშებში ჩაიცინა და ბოხი ხმით ჩაიბურდღუნა:

— ამას დამიხედეთ, რა დღეშია!

პოლკოვნიკის ხმაზე გამოღვიძებული ღვინიონები, მანჭკვალები, მწადა სოკოები ხარიფაშვას შემოეხვივნენ. ოქროცერცვა გვერდზე მიაგდეს, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და ფერხული გააჩაღეს, თან გაჰყვიროდნენ:

— გაუმარჯოს ხარიფაშვას, ეეშმარიტ ფიჩვის სოკოს!

— ვაშა ხარიფაშვას!

— თუმც დღეს ხარიფაშვაა, ხვალ ფიჩვის სოკო გახდება!

ამ ქათინაურებმა ნაზიბროლა უმალ მოალბო.

— კიდევ შეუძლია გაზრდა, თუმცა... — დაიწყო პოლკოვნიკმა, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა და ფშვინვა ამოუშვა.

— შეუძლია, შეუძლია, როგორ არ შეუძლია! — ერთხმად შესძახეს სოკოებმა, ყურში სწვდნენ და აქაჩეს.

— ვერ გავუძლებ, წავიქცევი, — იგერიებდა სოკოებს ხარიფაშვა.

— მხრებით დაგიჭერთ! — ხმას არ აღებინებდნენ მჭადა სოკოები.

— თავბრუ მეხვევა, — ბუტბუტებდა საცოდავი.

— საყელო კბილებით დაიჭირე! — რჩევას აძლევდნენ მჭადა სოკოები.

— ვერ ვიჭერ, ძალა არ მყოფნის! — წრიპინებდა წვრილფეხა ხარიფაშვა.

— ნუ გეშინია, ჩვენ აქ არა ვართ! — გულს უკეთებდნენ მანჭკვალები.

ხარიფაშვა საფუარივით იზრდებოდა. მჭადა სოკოები, ღვინიონები და მანჭკვალები თუმცა ყურებამდე ვეღარ წვდებოდნენ, მაინც ერთმანეთს ეხლებოდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მაღლა ეწეოდნენ.

ხარიფაშვა სულ უფრო და უფრო აიწოწა და მალე წვრილფეხა სოკოები ყურებამდე კი არა, მუხლამდეც ვეღარ წვდებოდნენ, მაგრამ მაინც ისევ ისე გაჰკიოდნენ:

— გაიზარდე, გაიწელე, ჩვენ აქ არა ვართ!

ოქროცერცვა გაძვრა ამ ბრბოში და ხარიფაშვას ახედა.

— აი, მესმის, ძმაო, გაზრდაც ამას ჰქვია! იქნებ ხის ტოტზე შემსვა?

— არ შემიძლია, ღონე არა მაქვს.

— შენ ხომ ასი ჩემხელა ხარ!

— იმიტომაც არ შემიძლია: გავინძრევი თუ არა, ფეხი მომტყდება.

ოქროცერცვას გული კი მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა. ან კი რა დროს წყენაა, როცა ყოველი წუთი ძვირფასია და კაცმა არ იცის, როდის გადასანსლავს მეგობარს საშინელი ურჩხული. ხტუნია ეხვეწებოდა ხარიფაშვას, როგორმე ამსვი ხეზეო, ის კი კვნესოდა, იგრიხებოდა და არ უნდოდა თავის შეწუხება. საოცარი ის იყო, რომ სულ არ ინძრეოდა, მაგრამ თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. ერთ წუთს რომ ერთი გოჯი იყო, მეორე წუთს ორი გოჯი ხდებოდა, თანაც გვერ-

ლზე გავიდა, გაიბერა და ყველა დაჩრდილა. ოქროცერცვას განცვიფ-
რებისაგან პირი დაეღო და ფიქრობდა, აი, თურმე ერთ დღეში ხარი-
ფაშვა რამხელა იზრდება!

— ყური მიგდე. ობოროდო, ხომ ხედავ უკვე ათასჯერ დიდი ხარ
ჩემზე. შენთვის რაა ჩემი ხელში აყვანა, ერთი თითი გაანძრიე და მე-
გრიბარს დავიბანი განსაცდელისაგან.

— არ შემიძლია, ისედაც ძლივს ვიმაგრებ ქუდს, ღონე [illegible]
[illegible]

— ამხელა ხარ და ღონე არა გაქვს?!

— [illegible] ვარ დიდი, რომ [illegible] მე მეხმარებავ, [illegible] ხვის-
თვის ხელს არ ვანძრევ.

— [illegible] ერთი [illegible] რას [illegible] ! — [illegible]
[illegible] ხელი [illegible] [illegible]
[illegible]

— აბა ხელი ახლა ჩვენ აქ არა ვართ! — მისძახოდნენ წვრილ-
წვრილი სოკოები.

მიხტის ოქროცერცვა, მიხტის და რასა ხედავს: ორ ნაძვს შუა
სათვალიანი ობობა ბადეს არა ქსოვს!

— ყური მიგდე, ფეიქარო, შენი შველა მჭირდება! — შეეხვეწა
ხტუნია. — ოღონდ, გეთაყვა, ძალიან მეჩქარება.

— ბუზი თუ არ ხარ, სიამოვნებით დაგეხმარები, — ჩამოსძახა
კუზიანმა.

— მე ოქროცერცვა ვარ. ჩემი მეგობარი რკო განსაცდელშია,
ვიღაც მწითურმა და თვალებგადმოკარკლულმა ურჩხულმა მოიტაცა.

— ეგ ურჩხული ფუღურაში ხომ არ ცხოვრობს?

— ჰო, ფუღურაში ცხოვრობს.

— ხეებზეც დაცოცავს ხომ?

— ღიახ, ღიახ.

— მაშ ვერ დაგეხმარები.

— რატომ?

— იმიტომ რომ, მეც ხეებზე დავცოცავ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ოქროცერცვას თვალთ დაუბნელდა.
აღარ იცოდა. რა ეღონა, როგორ შეეედრებოდა ამ უსულგულო გან-

დეგილს, რომელიც მზაკვრულ ქსელს ჩხლართავდა. ხტუნიას მწვანე ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— რა გატირებს?

— მეგობარი მეღუპება, — შესჩივლა ოქროცერცვამ.

— მერე შენ ხომ არ იღუპები?

— მერე რა, მე მაინც უნდა ვუშველო.

— [illegible] მაგ გეტყვი: შენი მეგობარი ციყვის კლანჭებშია.

— მე მაინც უნდა ვუშველო [illegible]

— ნეტავ აუტკივარ [illegible] ჩაეჭნია ობობამ. [illegible] ოქროცერცვა. — [illegible] ობობამ [illegible]

— ვინ გუბნება [illegible] ადეო. იქამდე იმდენ მეგობარს გაიჩენ!

ამ სიტყვებმა სულ გააცოფა ხტუნია. თოფის წამალივით იფეთქა. ჯერ ობობას შეხედა, მერე ფიჭვის წვეტიანი წიწვი მოიმარჯვა და წინ გადადგა ნაბიჯი. ობობას ცოტა არ იყოს შეეშინდა. სათვალე შეისწორა და დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ხტუნია.

— მართლა არა ხარ ბუზი? — ისევ შეეკითხა ოქროცერცვას.

— აი საბუთები, — ძლივს შეიკავა თავი მწვანელოყებამ.

ობობამ პასპორტი გამოართვა ოქროცერცვას, ყურადღებით წაიკითხა და უკან დაუბრუნა.

— პასპორტში წერია, რომ ოქროცერცვა ხარ და ხტუნია, მაგრამ არსად არ არის აღნიშნული, ბუზი რომ არა ხარ.

— დამიჯერე, ოქროცერცვა ვარ, მეტი არაფერი.

— ეშმაკმა იცის, ვინა ხარ. ახლა ყველა რაღაცას მიჰქარავს...

— როგორ დაგიმტკიცო, რომ ბუზი არა ვარ?

— ეგ უკვე შენი საქმეა.

— ბუზი რომ ვიყო, არცა გთხოვდი დახმარებას, ჩემით შევფრინდებოდი ფუღუროში.

— მართალს ამბობ! რისი შეჭმაც შეიძლება, ყველაფერი დაფრინავს, რისიც არა და, დგას: რომ დაფრინავდე, იცოცხლე. მაშინ კი ვიცი რასაც გიზამდი, მაგრამ ახლა რა ვქნა, რომ არ დაფრინავ? აქეთ მოიწი, სანამ ჩემი ხელით არ გაგსინჯავ, მაინც არ დაგიჯერებ.

— აჰა, გამსინჯე!—ოქროცერცვამ პერანგი გადაიღეღა.—ოღონდ ჩქარა.

— შენს ამხანაგს ვინღა გასინჯავს? — მშვიდად იკითხა ობობამ.

— აძვერი ხეზე და შენვე გასინჯე, — შესძახა მოთმინებადაკარგულმა ოქროცერცვამ, მიხვდა ტყუილად კარგავდა დროს და ფიჭვის წიწვი მოიმარჯვა, — ჩქარა, გაინძერი, თორემ ბაყაყივით მიგახრჩობ.

კუზიანს შიშისაგან სათვალე ჩამოუვარდა ცხვირიდან, სასწრაფოდ სტაცა თოკს ხელი, ზურგზე გადაიკიდა და უთხრა:

— ახლა კი დავრწმუნდი, ბუზი რომ არა ხარ!

ოქროცერცვამ ეს ურწმუნო თომა ციყვის ხესთან მიიყვანა და გაკვირვებისაგან გახევდა: ხარიფაშვა მთვრალივით ქანაობდა და ვეღარ იკავებდა თავზე ვეებერთელა ქუდს, ერთად შექუჩული წვრილ-წვრილი სოკოები აქეთ-იქით შესდგომოდნენ მხარში, ყველას პირი დაეღო, სიტყვას ვერ სძრავდნენ, — ყვირილისაგან ხმა ჩახლეჩოდათ.

ამ უჩვეულო სიჩუმემ ფიჭვის სოკო გამოაღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და მის გვერდით ამოზრდილი მელიყურა დაინახა. გაუღიმა პატარას, თვალი ჩაუკრა და ქოქოლა მიაყარა:

— ერთი ამას დამიხედეთ, როგორ იზრდება?! იწოწები და იწოწები ჰა, აი შენ კი გაქრი, შენა!

უცებ ყველამ თავი ანება ხარიფაშვას, მელიყურას მისცვივდნენ, ყურებში ეცნენ და დაიწყეს მის ირგვლივ ცეკვა-თამაში:

დღევანდელი მელიყურა
ხვალ გახდება თეთრა ბიჭი,
ამას თურმე თვითონ ბრძანებს
დიდებული სოკო ფიჭვის.

მარტოდარჩენილი ხარიფაშვა ერთხანს ქანაობდა, მერე მიწას დაასკდა, ქუდი თავიდან მოძვრა, იქვე ფშანს მიეხეთქა და ყოფილი დიდებულებიდან მხოლოდ უსიამო სუნიღა დარჩა.

— სოკოც ამას ჰქვია! — ხელი ჩაიქნია ოქროცერცვამ.

— მთელი სიცოცხლე მეგობრები მიათრევდნენ, ხედავ, რა უდროოდ დაიღუპა, — თქვა ობობამ, — მართალია, ბუზი არ იყო, მაგრამ რად გინდა ასეთი გამოუსადეგარი ქმნილება...

— მადლობა ღმერთს, ხმა ამოიღე! — ფიქვის წიწვი უჩხვლიტა ოქროცერცვამ ობობას. — საიდან იცი, ვინ იყო, აკი არ გაგისინჯავს?

— ეგეთებს სუნითა ვცნობ, — უპასუხა კუზიანმა.

ხესთან რომ მივიდნენ, ობობა წვერზე მოექცა, თოკი ტოტს გამოაბა, თვითონ კი სწრაფად დაეშვა ძირს. როცა მიწამდე დავიდა, ოქროცერცვამ კარგად შეამოწმა თოკი, გამძლებს თუ არაო, და აცოცდა. ობობაც უკან მიჰყვა, თან თავისი ძლიერი მხრებით იჭერდა ხტუნიას.

კერკეტა კაკალი

რკომ თვალები გაახილა, კარგადაც მოიფშვნიტა, მაგრამ მაინც ვერაფერი დაინახა. მალე შეეჩვია სიბნელეს და შეამჩნია, რომ მუხის ფოთლებით მოფენილ უზარმაზარ ფუღურეროში ეგდო.

მოდი და გული ნუ დაგწყდება: ირგვლივ ყველაფერი სახლს აგონებდა. რკოსაც გული აუჩუყდა და ორი მდუღარე ცრემლი გადმოუგორდა თვალებიდან.

უცებ ჩამობნელდა — ციყვმა შემოყო ფუღურეროში თავი და ვიღაც შემოაგდო. ის საცოდავი რამდენჯერმე გადაკოტრიალდა და ზედ რკოს წინ დაეხეთქა. მაგრამ მაშინვე წამოხტა, ტანსაცმელი შეიბერტყა, ხელები დამუშტა და მუქარას მოყვა:

— მე მაგას ვუჩვენებ სეირს!.. აბა მარცხენათი გვერდში, მარჯვენათი ქვევიდან, — ბურდღუნებდა კრივის ილეთებით გართული უცნობი.

რკო რომ დაინახა, გაჩერდა, რამდენჯერმე დააბაკუნა ფეხები, ღრმად ამოისუნთქა, მოკრძალებით მოიხადა მწვანე, კარგა შელანძღული ფარფლებიანი ქუდი და რკოს წარუდგინა თავი:

— კაკალი გახლავართ. ანუ ოთხგზის ჩემპიონი ტოტის „კაკალი ტყისშვილი“. მეგობრებისათვის კი — უბრალო კერკეტა.

— ოჰო, შენ ჯერ სულ მთლად მწვანე ყოფილხარ! — გაიკვირვა რკომ.

— სამაგიეროდ საკმაოდ გამოცდილი გახლავართ! — ამაყად გაიჭიმა კერკეტა.

— მე ობობასიც მეშინოდა, მაგრამ ახლა სასაცილოდაც არ მყოფნის.

— ეჰ, როგორ არსებობენ ასეთი არამზადები! — მწარედ ამოიოხრა მუხის შვილმა.

— ბუზებსაც რომ აჩანაგებენ, — მხარი აუბა მეგობარს ოქროცერცვამ და ძლივს გადაახტა მიწაზე გაწოლილ ბალახის ღეროს.

ფიცხელ ომში

მოგზაურობის მესამე დღეს მეგობრები მინდორზე გავიდნენ. ირგვლივ ისეთი სიწყნარე იდგა, ადვილად გაიგებდით ღრუბლების ჩურჩულს, ბაბუაწვერას ბუსუსების ცვენის ხმას და იმასაც, როგორ იბურებოდა ბურუსით მდინარე.

— ცოტა ხომ არ წაგვეძინა? — ჰკითხა მეგობარს ქანცგაწყვეტილმა ცერცვამ.

— წავიძინოთ, — დაეთანხმა რკო.

ის იყო უნდა წამოწოლილიყვნენ, რომ უცებ მიწა შეირყა, გაისმა ქვემეხების გრიალი და მზე მტვრის კორიანტელმა და კვამლმა დაფარა.

— თავს ვუშველოთ! — შეჰყვირა რკომ, ხელი სტაცა მეგობარს, იქვე რაღაც ორმოში ჩაახტუნა და ზედ გადაეფარა.

— ის იყო სამყურას ფოთოლი გადაიფარეს თავზე და მიიმალნენ, რომ გვერდით კალიებზე ამხედრებულმა ლობიოს პარკების მთელმა არმიამ ჩაუქროლა. ყველა ფიჭვის წიწვებითა და ხმელი ქაცვების მახვილებით იყო შეიარაღებული.

მიწა ზანზარებდა ცხენთა ფლოქვების ქვეშ, მტვრის კორიანტელი ცასა სწვდებოდა. ყვითელ მუნდირებში გამოწყობილ კავალერისტთა რაზმებსა და ლეგიონებს ბოლო არ უჩანდა.

აი, უკანასკნელი რაზმი მეგობრების თავშესაფართან სულ ახლოს შედგა. შუაში ცხენს დააქროლებდა ერთი მხედარი. იგი არაფრით არ გავდა დანარჩენებს. ტანზე შავწინწკლებიანი წითელი მუნდირი ეცვა, ზედ ნაზი ქსოვილის ლაბადა მოეგდო, თავზე კი თეთრი

ყვავილის მუზარადი ჩამოეფხატა. გულმკერდი სავსე ჰქონდა ჩინმედლებითა და ორდენებით. ამდენ ჯვრებსა და ვარსკვლავებში ჩაფლული თითქმის არც ჩანდა.

მხედარმა ბორცვზე შეაგდო ცხენი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა:

— მხედრებო, წინ! აბა, ლომგულებო, კიდევ ერთი შეტევა და გავიმარჯვებთ კიდეც!

რკომ ვეღარ მოითმინა და ხელი წაჰკრა ოქროცერცვას:

— ახლა კი გაგიხარია, ჩემს კალამს შრომა მოუწევს! ნამდვილი ომი უნდა აღვწერო! ხომ სულ გულზე გასკდა ყორანი!

— სხვის ომში ჩვენ რა გვესაქმება? — გაიკვირვა ხტუნიამ.

— დიდი უცნაური კი ხარ! — ალბათ გვასროლინებენ კიდეც.

რკომ ყური აღარ უგდო მეგობარს, ამოხტა თავშესაფრიდან და ახოვან მხედართან მიიჭრა. მხედარმა ფიქვის წიწვის შუბი დაუმიზნა, ცხენს დეზი ჰკრა და კინაღამ იქვე გადათელა რკო.

— ვინა ხართ, აქ საიდან გაჩნდით? — გარს შემოერტყნენ ცხენოსნები მეგობრებს.

— მე ცნობილი სამხედრო კორესპონდენტი და წერის დიდი ოსტატი რკო მეხიშვილი ვარ, ეს ჩემი მეგობარი კი განთქმული პოეტი ოქროცერცვა ხტუნია გახლავთ.

— დიდად სასიამოვნოა. მე კი ჯიხვ-პარკ-პარკუნა გახლავართ, პარკოსანთა სამეფოს ხელმწიფე, ზღვისმიღმელი უძლეველი თურქული მოდგმის შთამომავალი. სანამ პიროში სული მიდგას, სანამ ჩემს მკერდს ერთი მედალი მაინც ამშვენებს, ვერც ერთი უცხოელი, ვერც ერთი თვითმარქვია, ვერ გაიჭაჭანებს ჩემს საბრძანებელში. ყველას განვდევნი, დაე, მთელმა ქვეყანამ შეიტყოს, რომ მე გავუსწორდები ქვეით ჯარს და, ადრე იქნება თუ გვიან, მთელ ქვეყანასაც დავიპყრობ. აბა, წინ, მეომრებო!

— ძალიან კარგი, სიტყვასიტყვით ჩავიწერ! — გაიხარა რკომ და რვეული გადაშალა.

— დაწერე: დღეს ჩემია პარკოსანთა სახელმწიფო, ხვალ ცრუთა ქვეყანას დავიპყრობ, ზეგ კი — მთელ მსოფლიოს. ვიმარჯვებ და

ვიმარჯვებ! შენ კი პოეტო ოქ-რო-ცერ-ცვავ, ჩემს სადიდებლად სიმღერა უნდა შეთხზა. ცხენები მიართვით სტუმრებს!

მბრძანებელმა ლაგამი მოზიდა და ადგილს მოწყვიტა თავისი მერანი.

ამალა უკან მიჰყვა.

რკო გაკვირვით მიჰქროდა, ოქროცერცვა კი ძლივს იკავებდა თავს უნაგირზე. ამ გააფთრებული სრბოლისაგან კბილს კბილზე ურტყამდა, შუბლზე ქოჩორი ჩამოშლოდა და უფრიალებდა. ენას მაინც არ აჩერებდა და მეგობარს საყვედურებით ავსებდა:

— შენ გადამკიდე ამ ოხერ ცრუთა ქვეყანას ვერასოდეს ვერ დავაღწევთ თავს. აი ნახავ როგორ გავებმებით... — სიტყვა შუაზე გაუწყდა, ისე აცემინებდა კბილს კბილზე, კინაღამ ენა მოიკვნიტა.

— ნუ სარ მხდალი. ყური მიგდე და გასწავლი როგორ გამამაცდე, — ბაქიობდა რკო. — წარმოიდგინე, ვითომ ირგვლივ ყველა უვიცია და გულიც გაგიმაგრდება.

— ბევრი ვიფიქრე აგრე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, — გაბრაზდა ხტუნია.

— სიმღერას, სიმღერას როდის შეთხზავთ? — ცხენი შეაყენა, თვალები დაკვესა და დაიღრიალა პარკოსანთა ქვეყნის მეუფემ.

შიშით მეგობრებს თვალთ დაუბნელდათ, ყურები ჩამოყარეს და ტანში უსიამო ჟრუანტელმა დაუარათ. რკო ოქროცერცვას წამოეწია და წასჩურჩულა:

— რაღაც უნდა ვიღონოთ.

— შენ ბაქიობდი და შენვე მოიფიქრე, რაც გინდა.

— შენ ხომ პოეტი ხარ!

— მადლობას მოგახსენებ! იქნებ ერთ მშვენიერ დღეს მითხრა ღორი ხარო და ცხვირით მიწა მაჩიჩქნინო. ერთხელ და სამუდამოდ გაიგე: ერთი უბრალო ცერცვი ვარ და სულაც არ მეპრიანება რაღაც შეთითხნილი სახელები მეძახონ.

რკო ტვინს იყულეტდა, სულ დაღრღნა კალმისტარი, წერდა და ისევ შლიდა. ვერა და ვერ მოიფიქრა სიმღერა. შინ ადვილი იყო, ყველა სიმღერას ჭიკჭიკა თხზავდა, ახლა კი თვითონ უნდა დაეწერა.

გონება დაძაბა, შეიდჯერ გადაწერა ოფლად, ალბათ კიდევ კარგა

ხანს იქნებოდა ამ დღეში, მაგრამ დაინახა, მბრძანებელმა ხმალზე იტაცა ხელი, ის-ის იყო ამოაძრობდა კიდეც ქარქაშიდან, რომ პატარა თვითმარქვიამ წამოიყრანტალა რაც პირზე მოადგა:

წითელლოყა
პარკ-პარკუნა
მშვენივრად სძლებს უმზეოდ.
ამიტომ აქვს შავი ჭორფლი
ცხვირ-პირსა და შუბლზეო.
არის კიდევ თვალჭყეტელა
ჯიხვ-პარკუნი-პარკუნა,
ვისაც ბედმა პარკოსნებში
პირველობა არგუნა.

— როგორ მიბედავ?! — ხმალი მოიქნია ცხენოსანთა მეთაურმა.

— ეს სიმღერა თქვენი მტრებისთვის დავწერე, რომ შიშის ზარი დაეცეთ, — თავს იმართლებდა შეშინებული რკო. — თქვენთვის კი სულ სხვა სიმღერას შევთხზავ.

რკოს ახსნა-განმარტებამ მეტად აამა მთავარი და მალე მთელმა რაზმმა აიტაცა ეს საშინელი მარში, მარში, რომელსაც ვითომ მტრები უნდა დაეფრთხო.

— ჩვენი ბედი, ძვირფასო რკო, რომ ეს ყოყოჩა პარკ-პარკუნა მართლაც ნამდვილი ბრიყვია. სიმართლე გითხრა, ჯერჯერობით შენი ტყუილები მიზანს აღწევს.

მტერი ადგილიდან ფეხს მაინც არ იცვლიდა: მინდვრის გადაღმა აგუგუნდნენ ზარბაზნები, ტყვიების სეტყვა წამოვიდა და დაიწყო ნამდვილი ომი.

დაჭროდნენ უმხედრო ცხენები, მიწაზე დაფოფხავდნენ უცხენო მხედრები, ყვირილისა და კვნესა-გოდების ხმა ისმოდა. ბრძოლის ველი მტრის სულ ახალი და ახალი ლეგიონებით ივსებოდა.

უზარმაზარ ქვაზე პარკ-პარკუნა შემხტარიყო, თვალიდან ბინოკლს არ იშორებდა და იშაჭებოდა:

— წინ, წინ, საბოლოო გამარჯვებისაკენ!

— რას ფიქრობს მთავარსარდალი ომის მსვლელობაზე? — იკითხა რკომ.

— იარაღის ჩხარაჩხურის ხმა ყველა სიმღერას მირჩევნია, ომის ცეცხლი ჯარისკაცისთვის პურზე უფრო საყვარელია, — ერთი ამბით უპასუხა პარკ-პარკუნამ.

უცებ, ზედ მათ თავთან შხამიანი ლენცოფას თესლით გატენილი შრაპნელის ჭურვი გასკდა. დამფრთხალი ცხენები გვერდზე გახტნენ და მხედრები გახურებული ბრძოლის შუაგულისაკენ გაიტაცეს.

— უკან დაიხიეთ! უკან დაიხიეთ! — არაადამიანური ხმით შეჰყვირა პარკოსანთა ქვეყნის მეუფემ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რკო უნაგირიდან გადმოვარდა, ჰაერში ირაო გააკეთა, მიწას დაასკდა და გონება დაკარგა. საღამოს ნამმა მოიყვანა იგი გრძნობაზე. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო, არავინ ჩანდა. მხოლოდ სადღაც ოდნავგასაგონად კვნესოდა დაჭრილი, იქვე ცხენი ჭიხვინებდა. რკომ ერთიორჯერ დაიყვირა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია.

ძალა მოიკრიბა, კვნესის ხმას მიჰყვა და ჭურვისაგან ამოთხრილ ორმოს მიადგა. ორმოში დაჭრილი ოქროცერცვა ეგდო.

— სადა ხარ დაჭრილი? — ჰკითხა რკომ მეგობარს.

ოქროცერცვამ არაფერი უპასუხა და უფრო საწყალობლად აკვნესდა. რკომ თვალი მოკრა მეგობრის გადაყვლეფილ გვერდს, თავი ველარ შეიკავა და მოცელილივით დაენარცხა მიწას.

ტუვე

რკომ თვალი რომ გაახილა, ოქროცერცვა კბილს კბილზე აჭერდა, ეშინოდა, კვნესა არ ამომხდესო და გაღიმებაც კი სცადა.

— ახლა რაღა მომკლავს, — ძლივსგასაგონად წაილუღლუღა ხტუნიამ, — შენ ხომ ცნობილი ექიმი ხარ, სულ ადვილად მომარჩენ.

— რაღა თქმა უნდა, მოგარჩენ, — გაამხნევა რკომ მეგობარი,— მერე თავი ხელებში ჩარგო და ღრმად ჩაფიქრდა.

ამ წუთში ეზიზღებოდა თავი: მეგობრის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და ვერაფერს შველოდა; მიხვდა, ტყუილებისა და ბაქიობის მეტი არაფერი შეეძლო. უცებ მოაგონდა, ერთხელ ადამიანებმა როგორ უექიმეს მამამისს: დამპალ გვერდზე ცემენტის სალბუნი შემოახვიეს

და მაგრად შეუკრეს. მაგრამ ვერაფრით ვერ მოისაზრა სად ეშოვნა ეს უებარი წამალი.

ოპროცერცვა ამასობაში სულ უარესად და უარესად ხდებოდა. რკო გაიქცა და იქვე მდინარიდან წყლით სავსე ბერეტი მოარბენინა.

— გეხვეწები, არ მოკვდე,—ემუდარებოდა მეგობარს,—ოღონდ არ მოკვდე, შენ ხომ კეთილი ხარ!

— სიკვდილი არც მიფიქრია, — დააწყნარა ხტუნიამ რკო, — ან კი რა მომკლავს, შენ ხომ ახლავე შეუდგები ჩემს მკურნალობას?..

ამ ყოფაში იყვნენ, თავს რომ მოწყალების და ლობუნა წამოადგათ. მან მაშინვე ჩანთიდან ერთი კოშტი ცვილი ამოიღო, ერთს გვერდზე დააკრა, მეორეს — გახეთქილ თავზე და შვიდი დღე და ღამე არ ჩაუმუხლავს, ისე დასტრიალებდა თავს დაჭრილებს. მერვე დღეს მეგობრები ფეხზე წამოდგნენ. ამასობაში ფრონტმა უკან გადაინაცვლა და სამივე მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

— შენ რატომ აღარ გაჰყევი თქვენებს? — ჰკითხა რკომ მოწყალების დას.

— აბა რა გული მომცემდა განსაცდელში დამეტოვებინა ჯიხვ-პარკ-პარკუნას მეგობრები? — უთხრა ლობუნამ. — თქვენ ხომ მძიმედ დაჭრილები იყავით.

— ვაშა სამჯერ და დიდება სამჯერ ჩვენს მხსნელ ლობუნას, კეთილს და გამრჯეს! — ეღარ მოითმინა და აღტაცება ლექსად გამოთქვა რკომ.

— ვერაფერი გავიგე. — თავი გააქნია ლობუნამ.

— პოეტების ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ დიდებული ქალიშვილი ხარ. შენ გადაგვარჩინე სიკვდილს.

მოწყალების დამ უხმოდ დახარა თავი.

— მომეცით რუკა, საინტერესოა .სად ვიმყოფებით, — ბრძანა რკომ.

— რა რუკა, რაებს ამბობ?

— რუკის ხმარება რომ. ისწავლო, სულ ცოტა ოთხი წელი მაინც უნდა იარო სკოლაში.

— შენ დადიოდი?

— ჰმ, მე ხომ ცნობილი...—მოჰყვა თავის ჩვეულ ბაქიობას რკო,

მაგრამ ოქროცერცვას კვნესა შემოესმა, მაშინვე სიტყვა გაუწყდა და სიმართლე თქვა: — მხოლოდ ერთი წელი დავდიოდი. რუკა კი ნამდვილად გვიშველიდა ახლა. „კარგ რუკაზე ყოველი ბუჩქია აღნიშნულიო“, — მეუბნებოდა ჩემი მასწავლებელი ყორანი.

იმის შიშით, რომ ტყუილი კიდევ არ წამომცდესო, რკო ადგა და კოჭლობით გაუყვა მინდორს. ლობუნას ხელზე დაყრდნობილი ოქროცერცვაც უკან მიჰყვა.

ჭურვის ნატეხებით მოცელილ ბალახებში დაჭრილ მხედარ-ლობიოს წააწყდნენ. თავდახრილი კალია იქვე იდგა. ჯარისკაცს გვერდში ნაძვის წიწვის ხიშტი ჰქონდა გარჭობილი. რკომ მოწყალების და ლობუნას ცვილი გამოართვა, მერე წიწვი გამოაძრო დაჭრილს გვერდიდან, ჭრილობა კარგად ამოქოლა ცვილით და აბლაბუდით მაგრად გაუკრა. საქმეს რომ მორჩა, ჯარისკაცს ჰკითხა:

— რომელი რაზმიდან ხარ?

— აბა რა ვიცი, ერთი უსწავლელი კაცი ვარ.

— მაინც რა ომია?

— ასწლიანი.

— აუჰ! ვინ და ვინ ომობს?

— კვალი კვალთან.

— ერთმანეთს ეომებით?

— ჰო, ერთმანეთს.

— რას ერჩით, ასეთი რა დააშავეთ?

— აბა რა ვიცი. ათასობით ჩვენი მხედარი უკვე შეეწირა ამ ბრძოლას. ქვეითების ჯარს ხომ ნულარ იკითხავ, იმდენი დაიხოცა. მაგრამ ომს ბოლო მაინც არ უჩანს. ალბათ, ასეთია ნება პარკოსანთა ორივე გამგებლის ჯიხვ-პარკ-პარკუნებისა.

ამ სახელის გახსენებაზე ლობიო-მხედარს შიშით გააკრჭოლა.

— ორივესი? — ვერაფერი გაიგო რკომ.

— ჰო. ქვეით ჯარსაც ჰყავს ასეთივე მეუფე.

— ყური მიგდე, მეგობარო, რას ფიქრობ, ომს მოიგებთ? — ჰკითხა დაჭრილს ოქროცერცვამ.

— არაფერსაც არ ვფიქრობ, — გაჯავრდა მხედარი. — არაფერი არ მინდა, ერთი სული მაქვს შინ დავბრუნდე და შვილები ვნახო.

— შენი მბრძანებელი სულ სხვაგვარად ფიქრობს.

— ამიტომაცაა მბრძანებელი. თქვენ ვინლა ბრძანდებით?

— ჩვენ... — რკოს უნდოდა კიდევ რაღაც წაეტრაბახა, მაგრამ ოქროცერცვას საყვედურით სავსე თვალებს წააწყდა და გადაიფიქრა, — ჩვენ შენი კეთილი მეგობრები ვართ.

— გეთაყვა, არავის უთხრათ, რასაც ახლა გეტყვით, — სთხოვა მხედარმა და დაიწყო: — ეს ძველი ამბავია. ყველა კარგად ვცხოვრობდით. ეს იყო მხოლოდ ზოგს მხედრებს ეძახდნენ, ზოგს — ქვეითებს. ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს მიწაზე საიდანღაც ორი მშვენიერი პარკი გაჩნდა: ერთი წითელი შავწინწკლება, მეორე კი — შავი წითელწინწკლება. გაჩნდნენ და მაშინვე ჩვენს მბრძანებლებად გამოაცხადეს თავი. ერთი ამბობდა, ქვეითები იქნებიან მთელი პარკოსანთა ქვეყნის მბრძანებელიო, მეორე კი — მხედრებიო. ჩვენ სულელები კი ვიბრძოდით! და აი, ასი წელია ასეთ ყოფაში ვართ. — დაჭრილი ახლოს მიხოხდა მეგობრებთან და ჩურჩულით გაანდო:

— ამბობენ, არც ერთი არ ჰგავს მხედარს და ქვეითსო.

— ვერ გამიგია, რატომ ემორჩილებით ამ უცხოელებს? — გაიკვირვა რკომ.

— ნეტავ თქვენ რაღას შეთხზით ჯიხვ-პარკ-პარკუნაზე სიმღერა? — ლაპარაკში ჩაერია ლობუნა. — ახლა ამ სიმღერას მხედრები იმღერებენ და ას წელს კიდევ იომებენ.

— აბა რა მექნა, კინაღამ ხმლით გამაფრთხობია სული, — თავის მართლება სცადა რკომ, მაგრამ ოქროცერცვამ ხელი წაჰკრა მეგობარს და თქვა:

— ჩვენს რკოს გამოგონებებისა და სამეცნიერო წოდებებისაგან თავბრუ ეხვევა და ხანდახან თვითონაც არ იცის, რას აკეთებს.

მეგობრებმა დაჭრილი ცხენზე შესვეს და გზას გაუდგნენ. ხშირ ბალახებში რომ შევიდნენ, ქვეითებმა შემოარტყეს ალყა.

— ხელები მაღლა, არ გაინძრეთ! — ბრძანა მეთაურმა.

ქვეითებმა ტყვეებს ხელები გაუკოჭეს და წინ გაიგდეს.

— ვნახოთ, ახლა რას იმღერებ!—ნიშნი მოუგო მეგობარს რკომ.

— მეცა ვნახავ, როგორ ჩამოაწიკწიკებ საკუთარი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს! — გაბრაზდა ოქროცერცვაც.

— შენ მარტო შენს ტყავზე ფიქრობ! — არ უთმობდა რკო.

— შენ კი არც შენი თავი გენანება და არც სხვას ინდობ.

— მშიშარა ხარ, მშიშარა!

— შენ კი ყოყოჩა!

— უსწავლელი და უვიცი ხარ!

— შენ ხომ ტვინი გასკდება! იმდენი წოდებები მოუგონე საკუთარ თავს, თვითონვე გერევა ერთმანეთში. თვითმარქვია ბაქია ხარ ნამდვილი!

„შენ ასეთო, შენ ისეთოო“, იმდენი უძახეს ერთმანეთს და ისე ეცნენ პირში, რომ კინაღამ ცემა-ტყეპამდე მივიდა საქმე. ქვეითები იძულებულნი გახდნენ კონდახებით დაეზავებინათ აგზნებული ტყვეები. მათი შემყურე ლობუნა სირცხვილით იწვოდა.

— თქვენ ყოველთვის ასე ჩხუბობთ? — ჰკითხა მეგობრებს.

ჩხუბისთავები ხმას არ იღებდნენ.

— ლხინში მეგობრები ხართ, ჭირში კი — მტრები? — შეარცხვინა მეგობრები ლობუნამ. — შეიკავეთ თავი, ხომ ხედავთ ტყვეობაში ვართ.

— მაპატიე, — ბოდიში მოუხადა ოქროცერცვას რკომ, — თავი მქონდა გახეთქილი, ალბათ ნიავი შემეპარა და ტვინი სულ გამომაცალა. არასდროს აღარ მოვიქცევი ასე!

— მეც ხომ მქონდა გვერდი გახეთქილი, მეც აღარ მოვიქცევი ასე! — თავი ჩაქინდრა ოქროცერცვამ.

ქვეითებმა ლობუნა თიხის ციხე-სიმაგრეში შეაგდეს, ორი მეგობარი კი დიდებული კარვისაკენ წაათრიეს. კარავი ყვითელი ტიტას გადმობრუნებული ყვავილისაგან იყო გაკეთებული. კარვის გვერდით ქვეითების მეთაური იჯდა.

დაჭრილმა მხედარმა მართალი თქვა: ეს იყო ჯიხვ-პარკ-პარკუნა, რომელსაც წითელწინწკლებიანი შავი მუნდირი ეცვა, თავზე კი მოლურჯო ყვავილის მუზარადი ეხურა. ჯიხვ-პარკ-პარკუნას ყველგან თან დასდევდა მისი ჯვრებითა და საპატიო ნიშნებით აჩონჩხლილი ორი მსახური. მარტო ამით თუ გაარჩევდით მას მხედართა მბრძანებლისაგან.

— დახვრიტეთ ჯაშუშები! — უბრძანა მან ქვეითებს.

რკომ თაყვანი სცა მბრძანებელს და მოახსენა:

— ნუ აჩქარდები, მბრძანებელო. მე მსოფლიოს კორესპონდენტი, დოქტორი და საგაზეთო საქმის ოსტატი გახლავართ, ჩემი მეგობარი კი შეუდარებელი პოეტი ოქ-რო-ცერ-ცვაა. ჩვენი სურვილია, შენი ორდენები და ჯვრები ორმა კი არა სამმა მსახურმა ზიდოს...

— მაპატიეთ, გეთაყვა, არ ვიცოდი, თქვენც თუ ზღვისმიღმელთა მოდგმისა იყავით. გთხოვთ შემობრძანდეთ კარავში.

ოქროცერცვამ რკოს უჩქმიტა და წასჩურჩულა:

— ისევ ხათაბალაში გავებით. ნუთუ ახლა თურქულ ენაზე უნდა შევუთბზა ლექსი ამ ყეყეჩს? ახლავე ვაღიარებ, თურქული ერთი სიტყვა არ ვიცი.

— შენ გგონია, თვითონ კი იცის რამე?

კარავი სულ ვარდის ფურცლების ხალიჩებით იყო მოგებული, კედლებზე იარაღი და სურათები ჩამოეკიდათ. მსახურებმა ჩიბუხები და ყავით სავსე ფინჯნები შემოიტანეს. რკო მოხერხებულად დაჯდა და სადღესასწაულო ხმით წამოიძახა:

— შახერ-მახერ-ტარარამ!

ოქროცერცვამ წაიფხუკუნა, ხელი ცხვირთან მიიტანა, აქაოდა სურდო მაქვსო და ისეთივე სადღესასწაულო ხმით უპასუხა:

— მახერ-შახერ-რატატამ!

ქვეითების მეუფემ პირი დააღო, თვალები გადმოკარკლა და კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— მე კი მშვენივრად გაგიგეთ, მაგრამ მსურს პარკოსანთა ენით ილაპარაკოთ, თორემ ჩემი ქვეშევრდომები ვერაფერს გაგიგებენ და ვაითუ დროზე ვერ შეასრულონ თქვენი სურვილები.

რკომ თვალი ჩაუკრა ოქროცერცვას და გადათარგმნა მისი სიტყვები:

— ჩემმა მეგობარმა თქვენს სადიდებლად ლექსი შეთხზა „რისხვა მტრებს“, მაგრამ თვითონ არ შეუძლია მისი წაკითხვა.

— ნებას გრთავ, შენ წაიკითხო, — უპასუხა მბრძანებელმა.

რკომ ჩაახველა და წამოიყრანტალა:

შავლოყება ჯიხვ-პარკუნას,
შუბლზე წითელწინწკლებას
მტერი ვერსად გაექცევა,
საცა წავა მისწვდება.

თუკი რამე დაუშავე,
არ მოგაკლებს წყევლა-კრულვას,
კუბოში დებს მტერს და ორგულს
ელამთვალა პარკ-პარკუნა.

— ასეთი შეურაცხყოფისათვის ახლავე ებრძანებ, ზარბაზნის ლულაში ჩაგდონ და ქარის მიმართულებით გისროლონ!

— ეს ლექსი ხომ თქვენი მტრების დასაფრთხობად დაწერა. რომ ვერხვის ფოთოლივით ითრთოლონ თქვენს წინაშე! — უმალ აუხსნა რკომ და ქვეითების მბრძანებელმაც მოიწონა სიმღერა. მან უბრძანა ჯარისკაცებს სასწრაფოდ შეესწავლათ იგი, რკოს კი უთხრა, ახლავე გადაგზავნე და მსოფლიოს ყველა გაზეთმა დაბეჭდოს ეს განცხადება:

„მე გახლავართ ერთადერთი გამგებელი ცრუთა სახელმწიფოს პარკოსანთა სამეფოსი. მე გახლავართ ყველა პარკოსანთა მეუფეთა მეუფე ჯიხვ-პარკ-პარკუნა და სხვა არავისა ვცნობ. თქმა არ უნდა, მივბეგვავ ქსელში გაბმულ ყოყლოჩინა ობობას და ტყავს გავაძრობ! მაგრამ იცოდეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია. მერე გამოვუცხადებ მთელ ქვეყნიერებას ომს. წინ, წინ, სრულ გამარჯვებამდე!“

ყველა მსახური წამოხტა, ყირა გაჭიმა, ჰაერში ფეხები აიქნია და შესძახა:

— ვაშა პარკუნას!

ასე ესალმებოდნენ ხოლმე ჯიხვ-პარკ-პარკუნას.

რკოს და ოქროცერცვას ცალკე მიუჩინეს ბინა თეთრი ტიტას კარავში. როგორც კი მეგობრები მარტო დარჩნენ, ბევრი იცინეს.

— ერთი მითხარი, — დაიწყო რკომ,—ნუთუ მეც ასე სასაცილო ვარ, როცა ვცრუობ ან ვბაქიობ ხოლმე?

— ჰო, წაისულელებ, — უთხრა ოქროცერცვამ, — თუმცა ვინც შენ გიცნობს...

— ეჰ, ძმობილო, მე და შენ ტყუილები რაში გვჭირდება, ეს ხომ სულელების საქმეა.

რკოს უნდოდა გული გადაეშალა მეგობრისათვის, მაგრამ ჯიხვ-პარკ-პარკუნამ ციხე-სიმაგრის დასათვალიერებლად წაიყვანა.

ღრმა სანგრებში უზომოდ დაღლილი ქვეითები ეყარნენ და ეძინათ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ბალახის შაშხანებითა და ზედ წამოცმული ნაძვის წიწვის ხიშტებით. საწყლები ძილშიც კი წიხლებს ისროდნენ — ესალმებოდნენ თავიანთ მეთაურს. თხრილებს მთელ გაყოლებაზე ასკილის ღობურა მისდევდა, ღობურაში აქა-იქ თავი გამოეყო ყველანაირ ყალიბრის იარაღს, რაც კი დედამიწის ზურგზე არსებობს. იარაღები ბაბუაწვერას, ღოლოსა და ანწლის ღეროებისგან იყო დამზადებული. ზურგიდან მობობღავდნენ ტანკების მთელი კოლონები — უზარმაზარი ლოკოკინები, ზედ ტანკისტი ლობუნები შემომსხდარიყვნენ.

— ამათი გადამკიდე შეტევაზე ვერ გადავდივარ: ყოველთვის იგვიანებენ ბრძოლაში! მაგრამ არა უშავს, ჩემი სამხედრო ინჟინრები და მეცნიერები ახალი იარაღის სახეობაზე მუშაობენ და მალე ზეციდან გავანადგურებთ მხედრებს.

პარკ-პარკუნამ სტუმრები თხუნელას გათხრილი გვირაბით მიწისქვეშ ჩაიყვანა. კედლები ფუტუროთი იყო მოპირკეთებული. ამ მომწვანო შუქზე უამრავი სამხედრო მეცნიერი მუშაობდა. ისინი საპნის ბუშტებს უშვებდნენ და ზედ დიდი კალათების მიბმას ცდილობდნენ, მაგრამ როგორც კი ბუშტი კალათის სახელურს მოხვდებოდა, მაშინვე სკდებოდა და მისი შხეფები ყველას წუწავდა. ამის შემყურე მეცნიერები, ისევ ნახაზებში რგავდნენ ცხვირს, გულმოდგინედ ამოწმებდნენ გამოანგარიშებებს, გაუთავებლად დაობდნენ და ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

როგორც კი ჯიხვ-პარკუნა დაინახეს, მაშინვე ხელებზე შედგნენ, ფეხებით ტლინკები აჰყარეს, საბრძოლო ყიჟინა დასცხეს და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდნენ.

— მომიტევეთ და, ერთი მითხარით, რატომ გესალმებიან ასე, ხელების მაგივრად ფეხებს რად სწევენ მაღლა? — დაინტერესდა ოქროცერცვა.

— ეს ჩემი გამოგონებაა, — გაიბერა პარკ-პარკუნა. — ჯარისკაცებს ხელები მუდამ თავისუფალი უნდა ჰქონდეს, რომ იარაღი დაიჭიროს. მაგრამ ჯერ სადა ხართ! აბა, უფრო ღრმად ჩავიდეთ. მობრძანდით.

თხუთმეტი ორმაგი კარის იქით, ასამდე ჯარისკაცი რომ იცავდა, სიბერისაგან გაყვითლებული მეცნიერები ისხდნენ და რაღაცას ხაზავდნენ. ისინი ყირაზე არ დამდგარან, მხოლოდ ფეხები ასწიეს მაღლა, ჭაღარა თავებამდე. იმიტომ, რომ პარკუნა წყალობის თვალით უყურებდა მათ. მერე ისევ ნახაზებს ჩაუჯდნენ.

— ეს სწავლული კაცები აპარატს ქმნიან, რომლის საშუალებითაც მზეს მოსწევენ დედამიწისაკენ. თუ გაგვიმართლდა, მაშინ ნახეთ რა დღეს დავაყრით ჩვენს მტრებს პარკუნებს, სწორედ რომ ჩალასავით ამოვბუგავთ.

— როგორ თუ ამობუგავთ? — აცახცახდა რკო.—მზე რომ მოსწიოთ, ხომ დაიფუფქა მთელი ქვეყანა და მასთან ერთად ჩვენც!

— მერე რა, მთავარი ისაა, რომ ჩვენი მტრები ჩვენზე ადრე დაიწვებიან. ამაში ეჭვიც არ მეპარება.

— ნუთუ არ შეიძლება მშვიდობიანად მოითათბიროთ? — ფრთხილად იკითხა ოქროცერცვამ.

— რატომაც არ შეიძლება, მაგრამ რა საჭიროა? თქვენ პოეტებს ანრაფერი გაგეგებათ. იარაღი ომისთვის მზადდება და არა სათამაშოდ. ჯარისკაცი ომში უნდა მოკვდეს. ჩემს სამეფოში მხოლოდ ქალები და ხეიბრები იხოცებიან თავიანთ ლოგინებში.

რკო ვერ ასწრებდა ყველაფრის ჩაწერას. ჯიხვ-პარკ-პარკუნა ისეთ სისულელეებს ლაპარაკობდა, ხელები უკანკალებდა. ბოლოს კალმისტარი ყურში გაირჭო და იკითხა:

— მაპატიეთ ამ კითხვისათვის, მაგრამ რად გინდათ მთელი მსოფლიოს დაპყრობა, რას გააკეთებთ მაშინ?

— ჯერ ერთი, ქვეყანა იმიტომ შეიქმნა, რომ ვინმემ დაიპყროს. მერე როცა იგი ჩემს ხელში იქნება, სხვა რაღა დამრჩენია, მთვარეს გამოვუცხადებ ომს.

— მერე, მერე რას იზამთ?

— ჩემთვის სულ ერთია ვის ვეომები. ერთი ვიცი, საომარ დიდებულ ბზოლოდ ომში მოიპოვებ. ამიტომაც ვიბრძვი.

— ერთი, გეთაყვა, მეც მინდა გკითხოთ, — თავაზიანად ჩაერია ლაპარაკში ოქროცერცვა, — ნუთუ თქვენს მეცნიერებს არ შეუძლიათ გამოიგონონ ისეთი მანქანა, თვითონ რომ მოიყვანოს პური, ანდა, ვთქვათ, მოხნას მიწა?

— რაღა თქმა უნდა, შეუძლიათ, მაგრამ არ სურთ. ეგეთი მანქანებით ვერც ორდენს მიიღებ და ვერც ფულს.

ჩაბერეს ბუკს და ისევ ატყდა ბრძოლა. ცხვრის ფარასავით დაიძრა ქვეითების მწკრივები და ეცემოდნენ მხედართა მახვილით განგმიერულნი. გრიალისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ხმელი თამბაქოთი დატენილი სხვადასხვა ყალიბრის იარაღის ხმა გვიან ღამემდე ისმოდა.

როცა ჭურვის ნამსხვრევმა ყვითელი კარავი გახვრიტა და მამაც მთავარსარდალს ჯიხვ-პარკ-პარკუნას პირიდან ჩიბუხი გამოგლიჯა, მხოლოდ მაშინ დასჭექა მბრძანებელმა არაადამიანური ხმით:

— დაიხიეთ, დაიხიეთ უკან! ჯარისკაცებმა უნდა დაისვენონ!

ახლა კი კარგად მიხვდა რკო ვისთანაც ჰქონდა საქმე. დაუოკებელი სურვილი აღეძრა ორივე მეგობარს ჯიხვ-პარკ-პარკუნასათვის ისეთი ოინი მოეწყოთ, რომ ხელი აეღებინებიათ მარტო ომისთვის კი არა, უბრალო ჩხუბისთვისაც კი.

ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა

მეორე დღესვე მეგობრებმა ოროვანდის უზარმაზარ ფოთოლქვეშ მოწყობილი საველე ჰოსპიტალი მოინახულეს. აქ ბევრი დაჭრილი პარკუნა-ქვეითი იწვა.

— იარებს რითი მკურნალობთ? — ჰკითხა ექიმს რკომ.

— იმედით. — უპასუხა ექიმმა.

— რა იმედით?

— რომ მალე მოეღება ბოლო ასწლიან ომს.

— ხმა ჩაიწყვიტე, უვიცო! — ცეცხლი მოეკიდა რკოს. — ცვილით უნდა უმკურნალო, წვენებით ანდა ცემენტის ფხვნილით.

— რაღა თქმა უნდა, სწორი ბრძანებაა, — დაეთანხმა ექიმი. — შაგას რომ თავი დავანებოთ, ახლა უბრალო ყავილის მტვერსაც კი გამოვიყენებდით, მაგრამ სად არის? ცემენტის ფხვნილს სიმაგრეების ასაგებად ხმარობენ, ცვილს — იარაღის საწმენდად, წვენებს საფანტრის წარმოებაში, სხვა ყველაფერს კი ერთი რაღაცა საიდუმლო აპარატურის ასაწყობად. მუცელი არ ვიცით რით ამოვიყოროთ, ჭრილობას ვილა დაეძებს. ერთი სიტყვით, დაჭრილებს მაშინ ვუმკურნალებთ, როცა ომს მოვიგებთ.

ერთი პარკუნა თავზე დაეყრდნო და ამოიოხრა:

— ეჰ, ძმებო, ლაყბობით ტყუილად რად იღლებით! ბაბუაჩემი ვერ მოესწრო ომის დამთავრებას და ბრძოლის ველზე მოკლეს, მაგრამ ეში იყო და, ტყვეობაში ამოხდა სული. მე კი, ვატყობ, ლაზარეთიდან ვერ გავალ.

რკომ ირგვლივ მიმოიხედა და თავბრუ დაეხვა: სადაც კი თვალი მისწვდა, ყველგან დაჭრილები იწვნენ და ომის დამთავრებას ელოდნენ, იქნებ მაშინ მაინც გვიმკურნალონო. გული მოუკვდა რკოს პარკუნების ტანჯვა-წამებას რომ უყურებდა, ხელზე მოუჭირა თავის მეგობარს და წასჩურჩულა:

— აღარ მინდა ბრძოლა.

— ხომ გეუბნებოდი? — ღრმად ამოიოხრა ოქროცერცვამ.

— ჰო, მეუბნებოდი, — დაეთანხმა რკოც. — ახლა კი რაღაც უნდა ვიღონოთ.

მთელი დღე თავს იმტვრევდა მუხის შვილი, სილაზე გეგმას ხაზავდა, ედავებოდა ოქროცერცვას და თავის თავსაც. ბოლოს გადაწყვიტა:

— ხტუნია, როგორმე ღამით უნდა გაძვრე მხედრების ლაშქარში, მოიპარო მათი მეთაურის ტანსაცმელი და ყველა ჩინი; მე კი შევეცდები ქვეითების მეთაურს გავხადო ფორმა.

— ვერაფერი გავიგე... — მხრები აიჩეჩა ოქროცერცვამ.

— რა გაგება უნდა: ორივე ჯიხვ-პარკუნა გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. ტანსაცმელებს შევუცვლით და ჯარისკაცები თვითონ მიხვდებიან როგორ მოექცნენ მტრის მეთაურს.

— რომ ვერ მიხვდნენ? — ჩოჭმანობდა ოქროცერცვა.

— შენ ჩემი აჩრდილი ხარ, აჩრდილი, რომელიც ამიერიდან ალარ მეცირდება. ჯარისკაცებო, დაღამებამდე სადმე ბნელში ჩაამწყვდიეთ! — ბრძანა რკომ.

— სიცრუეა! ღალატია! ისმინეთ ჩემი ბრძანება! — დაიღრიალა გოშმოსულმა პარკ-პარკუნამ.

მცველებმა რკოს ბრძანება შეასრულეს და თავიანთი ჭეშმარიტი მბრძანებელი მიწისქვეშ ჩაკეტეს.

მუხის შვილს ისე მოეწონა მბრძანებლობა, გადაწყვიტა თავის მეგობარ ოქროცერცვასაც გახუმრებოდა. ორდენების სიმძიმით წელში ოთხად მოკაკული თავისი კარვისაკენ გაემართა და უკმეხად შესძახა:

— ეი, შენ, მოღალატე, კარი გამიღე!

ოქროცერცვას ეგონა ჯიხვ-პარკ-პარკუნამ შეთქმულთა კვალს მიაგნო, კედლიდან ძველი რევოლვერი ჩამოიღო და ჩინ-მედლებით დაფარულ მკერდზე დაუმიზნა. საბედნიეროდ, რევოლვერი მოღრეცილლულიანი იყო და ტყვიამ თვითმარქვიას მხოლოდ მუზარადი გადააძრო თავიდან.

— ეს... ეს... შენა ხარ? — შიშისაგან ენა დაება ხტუნიას, საწყალი ფეხზე ძლივს იდგა.

— მე ვარ, მე, სხვა ვინ იქნება! — გულში ჩაიკრა მეგობარი რკომ. — ყველაფერი ისე მოეწყო, უკეთესს ვერ ინატრებ. ფეხოსანთა ჯიხვ-პარკ-პარკუნა დილეგში მყავს გამომწყვდეული!

— უჰ, რა კარგია! მაშ უბრძანე, ბუკს ჩაბერონ, ჯარს ამცნონ ომის დამთავრება და ჩვენც მათთან ერთად მხიარულად დავბრუნდეთ შინ.

— მხედრები, მხედრებზე აღარ ფიქრობ? რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა რკომ და ისევ ჩაეფლო ფიქრებში, თან რაღაცას წერდა. ამჯერად ყველაფერი ადვილად მოეწყო. მძიმე შემოქმედებითი წვის შემდეგ მან ოქროცერცვას ასეთი მოწოდება წაუკითხა:

გავფანტოთ ღრუბელი
თავზე რომ დაგვბრუნავს,
შორს ჩვენკენ ომები
და შორს პარკ-პარკუნა.

— მშვენიერია! — შესძახა ოქროცერცელმ, — მომაჯადოებელია!

მეგობრებმა გაამრავლეს ეს მოწოდება, ნიზიდეს მძიმე საქვემეხო ბატარეასთან, გაბედნეს ამ ფეოცლებით ყველაზე დიდი ეურვი და ბრძანეს, ჰაერში გაისროლეთო. ეურვები სკდებოდა და ბრძოლის ველი იფარებოდა ფურცლებით. ჯარისკაცები კითხულობდნენ მოწოდებას და სიხარულისაგან ცაში ისროდნენ ქუდებს.

ბუკის ხმა რომ გაიგეს ქვეითებმა, მაშინვე დაყარეს იარაღი და თვალის წამში ჯარისკაცების ჭაკანება არ იყო ბრძოლის ველზე. ამის შემყურე მხედრებიც ნელ-ნელა დაიფანტნენ, თან ჭოჭმანობდნენ, ეაითუ მოწინააღმდეგის ჩვეული ფანდიაო. ამ აურზაურში მხედართა ნაბრძანებელს გამოეღვიძა.

— რატომ ვიხევთ უკან? — წამოხტა ფეხზე. — სად არის ჩემი შარვალი? სადაა ხმალი? ჩემი ორდენები სადღა გაქრა?

მეთაურის მრისხანე ხმის გაგონებაზე მხედრებმა ერთი კი შემოკრეს მათრახები ბედაურებს და ფრონტი მიატოვეს.

— ფეხი არ მოიცვალოთ. ახლავე მიპოვეთ შარვალი, მხღლებო, ორომ ტყავს გაგაძრობთ! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! ცოცხლად დაგალპობთ!

დარჩენილი ჯარისკაცები იცდიდნენ, აინტერესებდათ, რა მოხდებოდა. დღე იწურებოდა, საბანში გახვეული პარკ-პარკუნა მოჩვენებასავით დაბორიალებდა ველზე და გაუთავებლად იმეორებოდა:

— ყველას დაგხვრეტავთ! ძმარს გადენთ ცხვირიდან!

რაც უფრო ცოფდებოდა მხედართა მბრძანებელი, მით უფრო არ ეპუებოდნენ ჯარისკაცები.

— სად არის შენი სამხრეები? — იკითხა ერთ-ერთმა მხედარმა.

— თქვენ თავად მითხარით, სად არის? მშიშრებო, არამზადებო, ძილისგუდებო! — ბობოქრობდა პარკ-პარკუნა.

— წყალი არ გაუვა, ჯაშუშია, — ეადაწყვიტეს ჯარისკაცებმა და კისერში სწვდნენ გაცოფებულ მეთაურს.

— მე თქვენი მბრძანებელი ვარ, თქვენი ბატონი!

— ახლავე შეგამოწმებთ, — უთხრეს ჯარისკაცებმა და ყოფილ მეუფეს უბრძანეს ცხენი შეკაზმეო.

პარკ-პარკუნამ, რაღა თქმა უნდა, არ იცოდა ცხენის შეკაზმვა. ახლა ხმალი მისცეს ხელში და გალესეო, უბრძანეს. პარკუნა ისე გამწარებული ატრიალებდა სალესს, ხმალი ხერხივით დაკბილა. მესამე დავალება აღარ მიუციათ, მოგლიჯეს საბანი და დიდებული ჯიხვ-პარკ-პარკუნას ნაცვლად ვიღაც საჯაყი შერჩათ ხელში.

— მაპატიეთ, ჩემს სიცოცხლეში ომზე აღარ ვიფიქრებ, — ემუდარებოდა იგი ჯარისკაცებს.

ჯარისკაცები ცოტა არ იყოს შეფიქრიანდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს მათ თავთან რამდენიმე ჭურვი გასკდა და ფურცლები გადმოიფანტა.

— ძირს ჩხუბისთავი! ძირს პარკუნა! — ისე შესძახეს მხედრებმა, მიწა აზანზარდა.

თვალისდახამხამებაში ჯარისკაცებმა შიშველი ჯიხვ-პარკ-პარკუნა ყველაზე დიდ ზარბაზანთან მიათრიეს, ლულაში ასი სათითე ლენცოფას დენთი ჩაყარეს, მერე შიგ ჩასვეს ყოფილი მბრძანებელიც და მთვარის მიმართულებით გაისროლეს. თავის სიცოცხლეში პირველად დაჰქუხეს ჯარისკაცებმა ასე ომახიანად სამმაგი „ვაშა!“ და ბედნიერნი სიმღერით გაუდგნენ შინისაკენ გზას.

— აბა, ქვეითებისაკენ გავეშუროთ! — დაიძახა ვიღაცამ, — ერთად დავიშალოთ, შინისაკენ!

მიწა იზნიქებოდა და გრიალებდა ცხენის ფლოქვების ქვეშ, ათასობით ჯარისკაცი მიიმღეროდა მხიარულ სიმღერას და ცეკვავდა. გაიგეს თუ არა ეს ხმა, რკო და ოქროცერცვა მათ შესახვედრად გამოეშურნენ.

— გაუმარჯოს მშვიდობას! — დაიყვირა რკომ.

— გაუმარჯოს მხედრიონს! — დასჭექა ოქროცერცვამაც.

მაგრამ მეგობრებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ ცხენოსნებმა ორივე დაიჭირეს, მიათრიეს ზარბაზანთან, რომლიდანაც ეს-ეს იყო პარკ-პარკუნა გაისროლეს.

— მეგობრებო, რისთვის, რა დავაშავეთ! — გულში ხელს იცემდა რკო.

— ძირს ნაძირალა ჩხუბისთავი! — გაჰყვიროდნენ მხედრები.

მხოლოდ ახლა მიხვდნენ მეგობრები, რატომ ექცეოდნენ ასე.

უსამართლოდ: რკო ხომ თავით ფეხამდე ჯიხვ-პარკ-პარკუნას ჩინ-მედლებში იჯდა და თავზეც მისი მოლურჯო მუზარადი ეხურა.

— დამნაშავენი არა ვართ, მხოლოდ ვიხუმრეთ. ეს მოწოდება მე და ოქროცერცვამ დავწერეთ თქვენთვის!.. — კიდევ ცდილობდა დაემტკიცებია თავის სიმართლე რკოს; მაგრამ ვინ დაუჯერა!..

ჯარისკაცებმა ამჯერად ზარბაზნის ლულაში ორასი სათითე საფანტი ჩაყარეს, შიგ ჩატენეს მეგობრებიც და პატრუქს მოუკიდეს.

— რა უსამართლობაა! — კვნესოდა რკო. — ჩვენ ხომ სიკეთე გვინდოდა მათთვის!..

საშინელმა ზათქმა შთანთქა მისი უკანასკნელი სიტყვები და ჭურვი ჰაერში ავარდა.

ლოგუნას კვალდაკვალ

საბედნიეროდ, იმ ფაციფუცში ჯარისკაცებმა ზარბაზნის ლულაში ზედმეტი დენთი ჩაყარეს. ლულამ, რა თქმა უნდა, ვერ გაუძლო ამ დატვირთვას და შუაზე გასკდა. ამიტომაც ჭურვმა მთვარემდე ვერ მიაღწია, პირველსავე ღრუბელს დაეჯახა და უკან დაბრუნდა.

— ახლა კი დადგა ჩვენი აღსასრულის წუთი! — თავში ხელი იტაცა რკომ.

ჭურვი სადღაც ჭაობში ჩავარდა, ერთიორჯერ ბურთივით შეხტა და ნაპირს დაასკდა.

მეგობრები გონს მოვიდნენ და ჭურვის გაბზარული კედლიდან გამოიჭყიტეს. ახლა კი მართლაც გამოადგათ ჯიხვ-პარკ-პარკუნას ჩინ-მედლები. ამოარჩიეს მოჭსხო, მაგარი ჯვრები და ბამბუკის ჭურვის ქვასავით მაგარი გარსის გაპობა დაიწყეს. რაც უფრო პირს აღებდა ჭურვი, მით უფრო მძვინვარებდა რკო:

— მე მაგათ ვუჩვენებ სეირს! ამას არ შევარჩენ არავის!

ორდღე-ნახევარი შრომობდნენ მეგობრები და ერთი ლუკმაც კი არ ჩაუდვიათ პირში. მუხის შვილს ქანცი გამოეცალა, ოქროცერცვა კი უხმოდ განაგრძობდა საქმეს.

— რას გაჩუმებულხარ? — ვეღარ მოითმინა რკომ.

— ჯერ პარკუნას მუხდირი არ ჩამიცვამს, რომ ტყუილუბრალოდ ვაგინო ეს ქვეყანა, — მოუჭრა ოქროცერცვამ, ზედაც არ შეხედა მეგობაროს, ისე განაგრძო თავისი საქმე.

— გამარტყი, რამდენჯერაც გინდა, გამარტყი, ოღონდ ასე ჩუმად ნუ ხარ, — არ ეშვებოდა რკო.

— ეჰ, ეგ რომ გწველოდეს!.. — ამოიოხრა მწვანელოყებამ.

როცა ხვრელი კარგა გაიჯართოეს, პირველად ოქროცერცვა გამოხტა გარეთ და ძლივს გამოათრია ჭურვიდან რკო, ჭურვიდან, რომელიც კინაღამ საბუდამო საფლავად ექცათ.

ირგვლივ მიმოიხედეს და დარწმუნდნენ: ერთ ხავსიან კოლბოხზე იდგნენ. ირგვლივ კი გაუგალი დაბაობებული ტბა ეკრათ.

— ეპა, ერთი მიბრძანე, ვის გადაუხდი ახლა სამაგიეროს? — ჰკითხა ოქროცერცვამ რკოს.

რკომ დაბაბაუვედ ჩაღუნა თავი.

— ხედავ, წყემა დაუფიქრებლობამ რა დღეში ჩაგვაგდო? — უსაყვედურა მეგობარს ოქროცერცვამ, — მოვითათბირეთ კაცურად. შენ კი ჩაიცვი ეს არა ვინ-პარკუნას ტანსაცმელი, მაშინვე თავი დაკარგე და ყველაფერი დავიწყე.

— სხვაგვარად არ შემეძლო.

ოქროცერცვამ კენკრები იპოვა და რკოს გაუწოდა:

— ჰა, ჭამე! ჭამე პარკოსანთა მბრძანებელო, იქნებ მაშინ მაინც გააჩერო ენა!

რკოს ხმა აღარ ამოუღია. ჩუმად დაიწყო გეგმების აგება. როგორ დაეღწიათ თავი ამ ჭაობში მოცურავე საშინელი კოლბოხიდან.

— აი, როგორ გადაგვიხადეს სამაგიერო სიკეთისათვის, — ისევ ამოიოხრა მან.

ოქროცერცვამ თავი ვეღარ შეიკავა და პირში ეცა:

— ენა გააჩერე! რა წითელი კოჭები ჩვენა ვართ, რა სიკეთეზე ლაპარაკობ? ლობუნამ სიკვდილს გადაგვარჩინა და რით გადავუხადეთ? ფეხოსანთა პარკუნას მეგობრები გავხდით, დიდის ამბით დავეთვალიერეთ მისი მიწისქვეშეთი. მისი კაკლებით ვტკბებოდით, ის უბედური კი ამ დროს წყვდიადში ეგდო! კიდევ ცოტა ვიწვნიეთ ამ „დახმარებისათვის“. ვერ ვაფასებთ ნამდვილ მეგობრობას!

— რკომ ველარაფერი უთხრა.

იჯდა ორი მეგობარი პატარა კოლბოხზე და ფიქრობდა. მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. გავიდა რამდენიმე დღე. შემოელიათ კენკრაცმეხის შვილი ეაუთავებლად იწერდა რვეულში რაღაცას. კოლბოხის კიდეზე ჩამომჯდარი ოქროცერცვა ფეხებს იქნევდა და წყალში იფურთხებოდა. უცებ მეგობარს მკლავში სწვდა:

— ვერაფერს ხედავ?

— ვიღაცა ბათქენობს წყალში, ეტყობა წყლის მცენარეებში გაიხლართა და თავგზაც დაკარგა.

რკომ საწერკალამი გვერდზე გადასდო, თვალისწამში მოიხადა ბერეტი და წყალში გადაეშვა, ჩაყვინთა და უბედურებაში ჩავარდნილი კარჩხანა დაინახა.

— ძმობილო, ნახე, რა ნადავლი ვიშოვნე, თევზის ხორცი არ გამოგველევა! — გასძახა რკომ მეგობარს.—გაიხადე, მომეშველე. კოლბოხზე ამოვიტანოთ.

— ეგლა მაკლია ვინმეს სიკეთე გავუკეთო, მხოლოდ იმიტომ, რომ მერე შევეჭამო, — გამოსძახა ოქროცერცვამ.

რკომ არაფერი უპასუხა, კიდევ ერთხელ ჩაყვინთა და მიეშველა კარჩხანას. თევზმა კუდი მოიქნია და ნაპირზე ამოცურდა.

— გმადლობთ! — უთხრა მეგობრებს.

— მადლობას რა თავში ვიხლით, — უთხრა ოქროცერცვამ. — ისა სჯობს დაგვეხმარე, როგორმე აქედან გაგვიყვანე.

— დიდი სიამოვნებით. — დათანხმდა კარჩხანა, — მაგრამ რა გიყოთ: თქვენ წყალქვეშ ვერ იცურებთ, მე კი — ზედაპირზე.

ისევ ჩამოყარეს ყურები მეგობრებმა. უცებ ოქროცერცვა წამოხტა და შუბლზე ხელი მიირტყა, აქაოდა ეს რა სიბრძნე მომივიდა თავშიო.

— ახლავე დაგრიხე ხავსისაგან ორი ბაწარი, — უთხრა რკოს.— შენ კი კარჩხანავ, ლელქაშის რამდენიმე ტოტი მომიტანე.

მთელი დღე ერეოდა ბაწარს რკო, ხტუნიამ კი პარკუნას ერთ მედალს თავი წაუმახა, ტარი გაუკეთა და ლელქაშის ტოტისაგან ჩინებული თხილაბურები გამოჩირკნა. მერე თოკის ერთი ბოლო კარჩხანას მისცეს, მეორე კი თვითონ დაიჭირეს.

— აბა გასწიე! — დაიყვირა რკომ, — ახლა შენც და ჩვენც ადვილად გავცურავთ.

მართლაც, მეგობრები ისე სწრაფად გაცურდნენ, წყალი ნაპირებს მიასკდა. რკოს ძალიან მოეწონა ეს მოგზაურობა და იქვე დაეწყო ახალი გეგმები.

— ყური მიგდე, ოქროცერცვავ, რა იქნება ასევე იოლად გადავლახოთ ოკეანე!

— ლობუნა? — გაახსენა ხტუნიამ და მოტივტივე ტოტისთვის რომ გვერდი აეარა, სწრაფად მოუხვია. რკომ თავი ვერ შეიკავა და წყალში მოადინა ტყაპანი. კარჩხანა მაშინვე შედგა.

— რა მოხდა? — თავი ამოყო და იკითხა თევზმა.

— არაფერი! ცოტა მელანი გამიწყალდა მხოლოდ, — გაიცინა რკომ და ისევ წვდა თოკს.

გარიჟრაჟზე კარჩხანამ ნაპირზე გაიყვანა მეგობრები.

— კეთილ მგზავრობას გისურვებთ, — დაემშვიდობა იგი მგზავრებს.

— გმადლობთ! — გასძახეს მგზავრებმაც.

— მადლობა მე უნდა გითხრათ, სიკვდილს გადამარჩინეთ! — თქვა კარჩხანამ, კუდი გაიქნია და წამში გაუჩინარდა.

დაღლილ-დაქანცულნი და ბედნიერი მეგობრები იქვე ბალახებში გაგორდნენ და მთელი ღამე მკვდრებივით ეძინათ. ალიონზე ადგნენ, პირი დაიბანეს და პარკოსანთა სამეფოს საძებნელად გაემართნენ.

— არც ისეთი ქველმოქმედები ვართ, როგორც იმას გონია, — ამოიოხრა რკომ.

— მე მეუბნები მაგას? — ჰკითხა ოქროცერცვამ.

— არა, კარჩხანაზე ვამბობ, — უპასუხა მუხის შვილმა და ფეხს აუჩქარა.

რამდენიმე დღის შემდეგ გზაზე შინ მიმავალი ქვეითებისა და მხედრების წვრილ-წვრილ რაზმებს შემოხვდნენ. თავდაპირველად მეგობრებს გაქცევა უნდოდათ, მაგრამ მალე მიხვდნენ, ამათი დარდი არავის ჰქონდა. ვეღარ მოითმინეს და ჯარისკაცებს შეეხმიანენ:

— ასე სად მიიჩქარით?

— გატყობთ, არაფერი იცით, თორემ თავს უშველიდით. ვილაცამ მიწისქვეშეთიდან მხედარი ჯიხვ-პარკ-პარკუნა გაათავისუფლა და მთვარესთან საბრძოლველად ჯარს აგროვებს. ეს პარკუნა ახლა ქვეითების მბრძანებელიცაა. უკან დაბრუნდით, თორემ ხელში ჩაუვარდებით.

მეგობრები არ დაფრთხნენ. ლტოლვილებს ორი ცხენი-კალია და იარალი სთხოვეს და ლობუნას გასანთავისუფლებლად გასწიეს. იარალი კარგად გააპრიალეს, სურსათი მოიმარაგეს და ცხენები შეკაზმეს.

— რა წაღმა-უკუღმა ატრიალებ მაგ უნაგირს, პროფესორო? — გაეცინა ოქროცერცვას.

— შენ რა იცი, საითკენ ვაპირებ წასვლას? — მოუჭრა რკომ და საქმე განაგრძო.

კალიამ იგრძნო რა გამოუცდელი მხედრის ხელში ჩავარდა და ერთი ისეთი წიხლი სდრუზა, რომ ჩვენი ყოვლისმცოდნე ბალახებში გადაკოტრიალდა.

— ოჰ, რა ტყიშვილი კაკალივით ჯიუტი ხარ! — გაეცინა ოქროცერცვას.

ეს სიტყვები ისე მწარედ მოხვდა რკოს გულზე, რომ სიბრაზისაგან სულ გაფითრდა.

— როგორ მიბედავ! მე...

— მწერლობის, ბაქიობის, კუდაბზიკობისა და მისთანების მეცნიერებათა დოქტორს ჯიუტი მიწოდო! — დაამთავრა რკოს სიტყვები ხტუნიამ. — გულს მირევს შენი ტიტულები.

— არა, მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა: როგორ ბედავ მეგობრის მასხრად აგდებას-მეთქი! — დაიყვირა რკომ.

— ეგ უკვე სხვა საქმეა, ძამია. აბა, ცხვირი ნუ ჩამოუშვი. მოდი შევრიგდეთ. — ხელი ხელს დაარტყეს და შერიგდნენ. რას იზამ: მე ერთი სოფლელი კაცი ვარ, მეცნიერებათა დოქტორებს ხშირად ვუკაზმავდი ცხენს. მიყურე და ისწავლი. აბა, გავწიოთ! — შეჰყვირა ხტუნიამ, აჩეჩილი ქოჩორიც არ გაისწორა, ისე გააქროლა თავისი ცხენი.

მგზავრები მალე მიადგნენ ერთ პატარა გორაკს. ზედ რომ ავიდნენ, უზარმაზარი კარვის ქალაქი დაინახეს. მოისმოდა დოლის გამაყ-

რუეპელი ბაგაბუვი, გუგუნებდა სასულე ორკესტრი, ათასობით ქვეითი კი საბჭედრო ნაბიჯით დაღიოდა, ფეხს თავზე მაღლა სწევდა და რკოს მიერ შეთხზულ სიმღერას გაჰკიოდა:

შავლოყება ჯიხვ-პარკუნას,
შუბლზე წითელწინწკლებას,
ნტერი ელრსად ეაეჭცევა,
სადაც წავა, მისწვდება.
თუკი რანე დაუშავე,
არ მოგაკლებს წყველა-კრულვას,
კუბოში დებს მტერს და ორეულს
ელამთვალა პარკ-პარკუნა.

— ხედავ, რა „სიკეთე“ გააკეთე! — უკბინა მეგობარს ოქროცერცვამ და მხედრებისაკენ მიაბედა, რომლებიც წნელებს ჭრიდნენ და ან შუბებით ფიტულებს ებრძოდნენ.

მათ უკან ლოკოკინები მოხოხავდნენ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. ზედ ტანკისტი-ლობუნები შემოსხდომოდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰკიოდნენ:

— მთვარისაკენ, მთვარისაკენ! გაუმარჯოს შეუდარებელ ჯიხკ-პარკ-პარკუნას — პლანეტების მბრძანებელს!

ტანკისტებს ჯერ ომში არ მიეღოთ მონაწილეობა და გულით უნდოდათ ბრძოლა.

— დღისით ნუ გამოვჩნდებით ამ კრაზანების ბუდეში, — თქვა ფრთხილმა ოქროცერცვამ.

ღამით, როცა საბჭედრო ბანაკში შეძვრნენ, მეგობრებმა დაინახეს, ათასი ჩირაღდნით განათებულ დენთის კასრზე ჯიხვ-პარკ-პარკუნა შემდგარიყო და სიტყვას ამბობდა. მკერდს ახალი ორდენები უმშვენებდა.

— ჯარისკაცებო, მალე ყველა ჯვრებსა და მედლებს მიიღებთ. სად დაიმსახურეთ ეს ჯილდოები? მხოლოდ ომში! თავი მაღლა ასწიეთ, გულადებო! მთვარეზე მე ოქროს კოშკებს გპირდებით. იქ როგორ ცუდი ცხოვრება იყოს, კარგა ხანია ჩემი სეხნია დაბრუნდებოდა. გაუმარჯოს ქვეითებისა და მხედრების გაერთიანებულ კავშირს!

საითაც გაიხედეს ან ფეხი დადგეს მეგობრებმა, ყველგან ერთი

და იგივე სურათი გადაეშალათ თვალწინ: მოხუცები მსჯელობდნენ, ტიროდნენ, ყვებოდნენ ომის საშინელებებს, ახალგაზრდები კი იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ:

— არაფერი თქვენ არ გაგეგებათ. დედის კალთას ამოფარებულებს ვინ მოგვცემს ჯვრებსა და ორდენებს! გაუმარჯოს ჯიხვ-პარკ-პარკუნას!

მხოლოდ გვიან ღამით შეწყდა ღრიანცელი და ჩირაღდნებით სირბილი. კარვის ქალაქი ცოტა ხნით მიჩუმდა. ამით ისარგებლეს მეგობრებმა და პარკუნას კარავთან მიხოხდნენ. ორმწკრივად შემოტყმოდა მცველთა რაზმი მბრძანებლის გაჩახჩახებულ კარავს. რბილ ხალიჩაზე რამდენიმე კვრინჩხუნა მორთხმულიყო და პარკ-პარკუნასთან თათბირობდა:

— რამდენჯერ უნდა გითხრათ: დოქტორიც და პოეტიც ჩემმა მამაცმა მხედრებმა ჭურვში ჩასვეს და ქარის საწინააღმდეგო ბაარეს გაისროლეს. უთხარით გირჩს, არც ერთი ცოცხალი აღარ არის-თქო.

— ოჰ, თქვენ იმათ არ იცნობთ, — უსსნიდნენ კვრინჩხუნები, — ისინი ხომ საშიში დამნაშავენი არიან. მთვარიდანაც ადვილად დაბრუნდებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე გადამალეს გასაღები, რომ მისი ბრწყინვალება დღემდე მის უდიდებულესობა ვირჩთანაა გადაბმული!

— ძალიან სამწუხაროა! — დაეთანხმა პარკუნა, — მაგრამ თქვენ სარდაფში არ მჯდარხართ და ამიტომაც არაფერი გაგეგებათ. ახლა კი კარგად იყავით.

— ეს არამზადა არაფრით არ უნდა გამოეშვათ, — წასჩურჩულა რკომ ოქროცერცვას, — იქვე უნდა ჩამკვდარიყო.

მეგობრები ჩუმად უკან გახოხდნენ. უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს: ორნი ამდენთან რას გახდებოდნენ.

ოქროცერცვამ და რკომ იმდენი იხეტიალეს, სანამ თხუნელას ძველ შესასვლელს არ მიადგნენ. აქ დღე და ღამე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა — აჯანყებისას სამხედრო სახელოსნოები სულ მთლად ჩამონგრეულიყო. რამდენიმე ჯიუტი მეცნიერი კიდევ უშვებდა საპნის ბუშტებს და ცდილობდა, მასზე კალათის მიმაგრებას, ხოლო საიდუმლო აპარატურის შემქმნელნი თითით რაღაცას ხა-

ზავდნენ სილაზე და გაუთავებლად დაობდნენ მოხარშული კარტოფილის გაფცქვნა უმანქანოდ შეიძლება თუ არაო.

ამ ბრძენებმა ამცნეს სწორედ ჩვენს მეგობრებს, რომ აჯანყების წინ პარკ-პარკუნამ ყველა ტყვე ხარკად გაგზავნა ცრუთა ქვეყნის დედაქალაქში.

რკომ და ოქროცერცვამ აირჩიეს ყველაზე ფართე, სწორი გზა, და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. მოუსვეს.

მტირალათა ქალაქი

ვარსკვლავები გაფერმკრთალდა. განთიადის ნიავი ძვალსა და რბილში ატანდა. რკოსა და ოქროცერცვას მთქნარებისაგან ყბები მოენგრათ. რკოს უზანგში გაყოფილი ფეხები დაუბუჟდა, ოქროცერცვა კი რკინასავით იყო და დაუღალავად მიაქროლებდა თავის მერანს.

— დიდი, დიდი ერთი საათი კიდევ გავძლო,—კვნესოდა რკო.— მაინც რა შეუდრეკელია ოქროცერცვა!

უცბად ხტუნიას ცხენი ერთ ადგილას სვეტივით დაერჯო. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ოქროცერცვამ ხელი აიქნია და თავდაყირა გადაეშვა ძირს. გაისმა წყლის დგაფუნი და მეგობრის სუსტი ხმა, მიშველეო. რკო ცხენიდან ჩამოხტა, შვეულ ფლატესთან მიირბინა და თვალისდახამხამებაში აქაფებულ წყალში მოადინა ტყაპანი. ამოყვინთა და აქეთ-იქით გაიხედა. ოქროცერცვა არხეინად იწვა წყალზე და არ ინძრეოდა. წყალი რკოსაც ატივტივებდა.

— მართალია, დიდი მოცურავე არა ვარ, მაგრამ ასეთ მდინარეში ტყვიაც ადვილად გაცურავდა, — ეუბნებოდა ოქროცერცვა და იპურპუყებოდა, — ფუ, ფუ, ფუ, რა მლაშეა!

— მართლაც, რა მლაშეა! — დაიღრიჯა რკო. — ამიტომაც არ ვიძირებით. ერთი ვერ გამიგია მხოლოდ, საიდან გაჩნდა აქ მარილიანი წყალი? საკვირველია სწორედ, ირგვლივ არსად ჩანს ზღვა!..

წყალში ცოტა გამოცოცხლდნენ და ნაპირზე გამოვიდნენ.

— რა ვქნათ ახლა? — იკითხა რკომ.

— გავყვეთ აღმა მდინარეს და ადრე თუ გვიან შევხვდებით ვინმეს.

მზე ამოიწვერა. რაც შორს მიდიოდნენ მგზავრები, მით უფრო შფოთავდა მდინარე, ნაპირზე ერთ ხეს ან ბუჩქს ვერ დაინახავდი. მალე ბალახიც გაქრა. მხოლოდ აქა-იქ მწარედ ტიროდნენ ეული ჯადვრები.

ცოტა ხანიც და მეგობრები უდაბნოს მიადგნენ. სადაც კი თვალი მიუწვდათ, ყველგან მარილის თეთრი ფენები ელვარებდა მზეზე. მოჩანდა გამხმარი გადათეთრებული ხეები და ბუჩქები, ბზინავდა მარილიანი ბალახიც. ფეხის ოდნავ შეხებაზე ყველაფერი ჭრიალებდა და ღრაჭუნებდა. შეშინებული მეგობრები თავისდაუნებურად შედგნენ.

— დავბრუნდეთ!.. — უკან დაიხია ოქროცერცვამ.

„...ბრუ... ნდე...ეთ!“ — გამოეხმაურა ექო.

— ვისთან დავბრუნდეთ? აქ მარილია, იქ ჯიხვ-პარკ-პარკუნა, იქით კიდევ გირჩი... ეჰ, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი, ხომ გაგიგონია? — ხელი ჩაიქნია მუხის შვილმა. — როგორ გგონია, ლობუნას არ უჭირდა? აბა, გავწითოთ!

ცოტა რომ გაიარეს, მდინარე მთისძირა მღვიმეში გაუჩინარდა. მთელი მთა მაღალ მესერში იჯდა. მეგობრებმა ცხენები მარილით მოფენილ ჭიშკართან მიაგელვეს. ჭიშკართან მტირალი დამწნილებული კიტრი შემოხვდათ.

— რა უბედურებაა, ამ ქალაქში ყველას თვალისდასანახავად ვეჯავრები, მხოლოდ იმიტომ, რომ მწვანე ვარ!

ჭიშკრის მეორე მხარეს დამუჟუჟებული პამიდორი ქვითინებდა:

— მე კი წითელი ვარ! ჭარხალივით წითელი! უ-ჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ!

— იმიტომ ტირი, რომ წითელი ხარ და ამ ქალაქში არავის არ უყვარხარ?

— პირიქით, სიხარულით ვტირი, ვტირი. რადგან ყველას ვუყვარვარ!

— ეს რა უცნაური ხალხია... — მხრები აიჩეჩა რკომ.

ამ ქალაქის მცხოვრებლები სულ უმნიშვნელო რამეზეც გულამოსკვნილი ტიროდნენ. ღამით სიზმრებს რომ ნახულობდნენ. ცრემლით ასველებდნენ ლოგინს. სხვა რა გზა იყო. ყველა სახლს ღარი ჰქონდა მიდგმული, ამ ღარით ცრემლი თხრილებში მიწანწკარებდა, თხრილები ნაკადულებს უერთდებოდა, ნაკადულები კი მდინარეში

ჩადიოდა. მდინარიდან წყალი მილებით ქალაქში იყო გაყვანილი. მთელი ქალაქი ცრემლის მდინარეებით იყო მოფენილი. მილები რომ არა, მტირალები ალბათ თავიანთივე ცრემლში ამოიხრჩობოდნენ.

— ქალაქი კი არა, ნამდვილი მლაშე წყლების ფაბრიკაა! — აღშფოთდა ოქროცერცვა.

— მე და შენ კი ცოტა ცრემლი ვღვარეთ? — თვალი ჩაუკრა მეგობარს რკომ.

— მართლაც რა იქნება კაცი თავის თავს ტირილის დროს რომ ხედავდეს! — წამოიძახა გაწითლებულმა ოქროცერცვამ, — ყველა მტირალა სარკეში უნდა ჩაახედო და მაშინვე გადაეჩვევა ტირილს. ჩემის აზრით, სარკე მტირალათათვისაა მოგონილი.

— ასეთ ხალხს მე სიმღერაც ვუძღვენი, — თქვა რკომ და მთელი ხმით შემოსძახა სიმღერა:

ნისლი გადაფარავს
ნაპირს ორთავეს,
თუ წყალში ნიანგები
ტირილს მორთავენ.

ზღვა ტალღებს ტორივით
საომრად შემართავს,
ნიანგებს თუ აჰყვა
ოჯახი ვეშაპთა.

ზღვა დაემსგავსება
ულრან ტყეს სიმწვანით
და სულ გამლაშდება
იცოდეთ, ზღვის წყალი...

ქველები ამბობენ,
ტაშაყი კი არა,
ზღვას ხდის მარილიანს
ცრემლი და იარა.

მეგობრები ისე გაერთვნენ სიმღერით, ვერც კი შენიშნეს როგორ წამოადგათ თავს ორი მუნდირში გამოწყობილი წესრიგის დამცველი — ხახვა და ნიორა.

— რა გამღერებთ ამ მტირალა ქალაქში?

— კარგ გუნებაზე ვართ და ის გვამღერებს, — უპასუხა რკომ.

— ეგ მიზეზი არ არის. ჩვენს ქალაქში გაღიმებისთვისაც ნებართვა უნდა აიღო. ჩამოდით ცხენებიდან, დაპატიმრებულები ხართ.

— სიმღერისათვის გვაპატიმრებთ? — გაუკვირდა ოქროცერცვას.

— ჩვენ ერთი სიტყვის წამღერებისთვისაც ვაპატიმრებთ ხალხს! — ამოეკრა ნიორამ.

რკომ ხელში შეათამაშა გატენილი თოფი, ცერით მოსინჯა მახვილი და წესრიგის დამცველებს მიუბრუნდა:

— ვთქვათ დაგვაპატიმრეთ, მერე?

— მერე მოგასმენინებთ ჩვენი ქალაქის გულისდამთუთქველ ამბავს.

— მეტი არაფერი? დაუპატიმრებლადაც სიამოვნებით მოგისმენთ.

— არა, ჩვენ ვალდებულნი ვართ დაგაპატიმროთ, იმიტომ, რომ არც ერთ უცხოელს არ მოუსმენია მთელი გულისყურით ეს ამბავი.

— საოცარია!.. — მეგობრებმა თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს, ეხრები აიჩეჩეს და ცხენებიდან ჩამოხტნენ.

დიდი შენობის თავზე, რომელიც ძალიან წააგავდა გადმობრუნებულ კასრს, უზარმაზარი დაფა ეკიდა. აი რა ეწერა ზედ:

ცრუთა საკელმწიფოს
ოინგაზთა გუბერნიის
მხიარულთა მაზრის მამასახლისი
ბატონი პირველი

— რაღა მხიარულთა მაზრაა, მთელი ქალაქი ცრემლებში იხრჩობა?! — ვეღარ მოითმინა ოქროცერცვამ.

— აღდგომა და ხვალეო, მალე გავიგებთ, — უპასუხა რკომ, — ცხენი იქვე გამოაბა და პირველმა გადადგა ნაბიჯი.

თავშეკავებული კარტოფილა

ნიორასა და ხახვას თანხლებით მეგობრები მიწისქვეშეთში ჩავიდნენ და მძიმე, დიდ ალაყაფის კართან გაუბედავად შედგნენ. კარზე ასეთი წარწერა ეკიდა:

წესრიგის დამცველებმა დააბრახუნეს კარზე. კარი გაიღო და მეგობრები ცხრაკლიტულში ჩააგდეს.

დიდ სარდაფში ერთი-ორი ჭრაქი ციმციმებდა. კედლებზე ძლივს გაარჩევდით სურათებს, ნახატებსა და ნახაზებს. პატარა მაგიდასთან რაღაცა საოცარი არსება იჯდა და ლუპით ათვალიერებდა შემოსულთ.

— ამ სოროში, მე მგონი, თოფებითაც ვერაფერს გავხდებით,— თქვა რკომ კარგად რომ მოათვალიერა იქაურობა. — შენ, ეი, რას დაგიჭყეტია თვალები, მოგზაურები არასდროს გინახავს?

მათ ბებერი, სულ დანაოჭებული კარტოფილა მიუახლოვდა. თუმცა სიბნელესა და ნესტში ყოფნისაგან მეჩხერ უულვაშებში ჭაღარა შერეოდა, თვალებიც ჩასცვენოდა და ღრმა ნაოჭებს გამჭკნარი ლოყები დაეღარა, თავი მაინც დარბაისლურად ეჭირა. რაღაცას ბურდღუნებდა ცხვირში, თან თავს აკანტურებდა.

— აქ რატომ გამოგამწყვდიეს? — თანაგრძნობით ჰკითხა ოქროცერცვამ.

— ბრიყვო! მე თავისუფალი მოქალაქე ვარ და აქ ჩემი სურვილით ვცხოვრობ.

— ძალიან სასიამოვნოა, — გაეცინა რკოს.—ჩვენ რატომღა შემოგვაგდეს ძალით? ერთი სიტყვით, დროზე ჩამოყაჭე რაც იცი თქვენი ქალაქის რაღაც სევდიანი ისტორიიდან და აღარ შეგაწუხებთ.

— ბოდიში, დღეს რომელ ფეხზე ადექით?

— განა ამას მნიშვნელობა აქვს?

— მეცნიერებისათვის ყველაფერსა აქვს მნიშვნელობა! ამაზეა დამოკიდებული დღისით როგორ ხასიათზე იქნებით.

— მთელი ღამე ცხენებიდან არ ჩამოვსულვართ.

— ძალიან სამწუხაროა, — წაილუღლუღა კარტოფილამ, — ქალაქში რომ შემოხვედით, გზა ხომ არავის გადაუჭრია?

— ჩვენ ცრუმორწმუნენი არა ვართ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, — მოუჭრა კარტოფილამ,—ეს ნიშნები ყოველ სულიერ არსებას იცავს უბედურებისაგან.

ოქროცერცვამ რკოს გადახედა, მერე საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო და დაატრიალა, აქაოდა ცოტა ურევსო.

— დღეს ორშაბათი ხომ არ არის ან ცამეტი რიცხვი? — განაგრძო გამოკითხვა კარტოფილამ.

— არა, დღეს პარასკევია და ოცდაექვსი.

—ძალიან კარგი! მაშ გთხოვთ ჯერ მარცხნივ გადააფურთხოთ სამჯერ, აი ასე. მერე მარჯვნივ შვიდჯერ. ესაა და ეს. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: წრეც შემოხაზეთ.

სხვა რა გზა ჰქონდათ, გაკვირვებულმა მეგობრებმა ყველაფერი შეასრულეს.

— ახლა ჯიბეები გადმოატრიალეთ და თქვით: დიდება მამალს!

— რატომ მამალს და არა დედალს?

— სულ წყალში ჩაყარეთ ყველაფერი. ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ. იცოდეთ, რომ მამალი ყოველგვარი მოჩვენებების დაუძინებელი მტერია.

ახლა კი ვეღარ მოითმინეს მეგობრებმა:

— ყური გვიგდე, კარტოფილა, თავი დაანებე ჩვენს წვალებას, თორემ იცი რას იფურთხება ეს იარაღი? — რკომ ზედ ცხვირთან მიუტანა თოფის ლულა.

— გასულ თვეს ვირთხები დამესიზმრა, მაშინვე მივხვდი სიკეთე არ მელოდა, — წაილუღლუღა კარტოფილამ.

— ახლა კი მივხვდი, რატომ მოჰყავთ აქ ძალით უცხოელები და რატომ კეტავენ კარს, — თქვა რკომ და ჭერში გაისროლა.

კარტოფილა შიშით იქვე ჩაჯდა, ყურები თითით დაიცო და მკაცრად იკითხა:

— რომელი თითი გამოჰკარით ჩახმახს?

— საჩვენებელი. ესეც რამეს ნიშნავს?

— რაღა თქმა უნდა. ცერს ბედნიერება მოაქვს, არათითს—უბედურება...

— ოქროცერცვა, ერთი თუ გიყვარდე, კარგად დაუმიზნე და ცერი გამოჰკარი. ვნახოთ, რამდენ ხანს იქნება ბედნიერი!

— საცოდავო, რატომ იკლავ თავს? — ვეღარ მოითმინა ოქროცერცვამ. — ჩქარა გვითხარი აქ რას აკეთებ, ან ჩვენგან რა გინდა?

— არაფერიც არ მინდა. აქ, მიწისქვეშეთში ჩემი ნებით ვცხოვრობ. ამით თავი ავარიდე ყოველგვარ უბედურებას, ფეხდაფეხ რომ დამყვებოდა. უკვე ოცი წელია არავინ მიჭრის გზას, არავინ მხვდება ცარიელი ვედროთი, აღარ მიყურებს სავსე მთვარე... ოცი წელია აღარ ვიცი, როდისაა ორშაბათი და ცამეტი რიცხვი. ხოლო რადგან ცუდი სიზმრების მეშინია, ეს ორი კვირაა თვალი არ მომიხუჭავს. ესაა ჩემი საბოლოო დარტყმა ყოველგვარ მარცხზე!

— როდისმე კი გაგიმარჯვნია?

— ნეტავ რაში მჭირდება? გამარჯვება და მარცხი ძმებია. ერთს რომ გაუღებ კარს, მეორე თავად შემოძვრება.

— შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა. აბა, ჩქარა დაყაჭე შენი ამბავი და წავალთ.

— ახლავე. დღეს არც ერთი თვალი არ მოგვავებიათ? ცხვირი. არც ცხვირი? ხომ არ დაგისლოკინებიათ? ზღურბლს რომ გადმოაბიჯეთ, ფეხი ხომ არ წამოგიკრავთ? ან ყვავის ჩხავილი ხომ არ გაგიგონიათ?

— ოპროცერცვავ, ესროლე!—შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა რკომ.

— კარგით, კარგით, ვიწყებ მოყოლას. აი, ამ კედელზე თქვენ ხედავთ მცინარე საზამთროს. მრავალი წლის წინათ ეს გულკეთილი მოქალაქე ჩვენი მამასახლისი იყო. მას ძალიან უყვარდა სიცილი, ოი-თი-რომ გეჩვენებინა, ისეთ ხარხარს ატეხდა, თითქოს ვინმე უხიცინებდა ფეხისგულზე. სიცილს რომ აიტეხავდა, ველარ გააჩერებდი — სამი დღე და ღამე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

ჰოდა, მამასახლისი საზამთროს სიცილი გადაედოთ ყველა პამიდორას და კიტრუნას. ამ სულელ კრეჭიებს შორის მხოლოდ ჩვენ, კარტოფილები ვიღიმებოდით თავშეკავებულად. ამ თავშეკავებისათვის აგვირჩიეს სწორედ ქალაქის მცხოვრებლებმა მამასახლისის თანაშემწედ.

ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქს ყვავმა გადაუფრინა და ერთხელაც არ დაუჩხავლია. ეს ამბავი შეეატყობინე საზამთროს და გავაფრთხილე: რაღაც უბედურება მოგველის-თქო. მაგრამ იმის მაგივრად რამე ზომები მიეღო, იმდენი იცინა, სანამ მუცელი არ გაუსკდა.

ქალაქის მცხოვრებლებსაც სიცილი წასკდათ და თავიანთი მშვენიერი უფროსი სულ სიცილ-ხარხარით მიაცილეს სამარის კარამდე. გზაზე ფეხცელი ხელით ეპირათ. სიცილისაგან ცრემლი ღაპაღუბით ჩამოსდიოდათ. მიეყარეს მიწა უფროსს და ძეგლიც დაადგეს. მაგრამ ძეგლი მოღრეცილი და სასაცილო გამოუვიდათ. ისე რომ, დასაფლავების მერეც ხალხი ვერ დაწყნარდა. რაღა ბევრი გავაგრძელო. მას შემდეგ არავის არაფერი გაუკეთებია, იდგნენ, ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ. ქალაქს საშინელი შიმშილი და დანგრევა ემუქრებოდა.

ექიმები თავს იტეხდნენ, მაგრამ ამ დაავადების წამალი ვერა და ვერ მოიგონეს. ჯერ იყო და საზამთროს ძეგლს ტილო გადააკარეს. მერე ყოველ კუთხეში ზარბაზნები დადგეს — აქაოდა შიშის ბარი დაეცემა ხალხს და გაჩუმდებიანო. დაემუქრნენ კიდეც. ვინც არ გაჩერდება, ბირს ამოუკერავთო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე. არაფერმა გაჭრა: ხალხი ისევ ხარხარებდა, ვერა და ვერ განიკურნა სიცილისაგან.

ამ დროს ჩვენს გუბერნიაზე გზად ცრუთა ქვეყნის დედოფალმა დიდმა „ჩვენმა“ გაიარა. აი ამ სურათზე თქვენ მის კარეტას ხედავთ. დედოფალი ქალაქის ჭიშკართან შეჩერდა, ვინმე შემომეგებებაო. მაგრამ, საქმეში ხარ, არავინ ჩანდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო და ყველა ჩუმად იგუდებოდა თავისთვის.

— ეს რანაირი გლოვაა? ახლავე ჩამოხსენით ეგ ჩვარი ძეგლს! — ბრძანა დედოფალმა.

ჩამოაძვრეს ტილო. მოღრეცილ კვარცხლბეკზე ცოცხალივით იდგა თიხის საზამთრო, ცრემლით სავსე თვალები მოეჭუტა, ცხვირზე ორი მეჭეჭი აჯდა და ისე თანთალებდა, გეგონებოდა სიცილს ვერ იკავებსო. ქვევით, ფეხებთან ასეთი წარწერა ჰქონდა:

იცინეთ ხმამაღლა და
იცინეთ მალმალია,
სიცილი —
უებარი წამალია.

დედოფალმა თავი ვერ შეიკავა და გადაიხარხარა. ეს რომ ხალხმა დაინახა, ისეთი ხორხოცი ატეხა, ყურთა სმენა აღარ იყო. დედოფალმა იფიქრა, მე დამცინიანო და ხალხს დაემუქრა:

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა დაცინვა!

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ბოქაულად პირშუშხა დანიშნა. პირშუშხამაც არ დააყოვნა და ყველა კუთხე-კუნჭულში თავისი მეუღლის მდოგვასა და მისი მოადგილეების — ნიორასა და ხახვას პორტრეტები ჩამოკიდა. ერთი სიტყვით, ირგვლივ ყველაფერი აქოთდა. აბა, თუ ბიჭი ხარ, სცადე და ნუ ატირდები! გინდა არ გინდა, ყველას ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. ვაი იმას, ვინც გაღიმებას დააპირებდა, ნიორა და ხახვა ისე აუწვავდნენ თვალებს, სულ კურცხალს ადენინებდნენ!

ამ ამბავს კი აი არ მოჰყვა: ხალხი თვალის დახამხამებაში გადაეჩვია სიცილს. პირშუშხა არც ამას დასჯერდა: შეყარა ქალაქის ყველა მცხოვრები და უბრძანა, მთელი გზის გაყოლებაზე დედოფლის ყვავილი ჯადვარი დაერგათ. მართლაც დარგეს და აყვავდა თუ არა, ცრემლად დაიღვარა. გზები მლაშე წყლებით მოილუმპა, გახმა ხეები, ბალახი ამოიფშუტა და თანდათან ყველაფერი გადათეთრდა, მარილით დაიფარა. პამიდორები და კიტრუნები თავისსავე ცრემლში დამწნილდნენ. აი, რა ქნა ყვავის გამოჩენამ.

— სისულელეა! ამ დავიდარაბის მოსპობას რა უნდა! — ხელი ჩაიქნია რკომ. — გააგდეთ პირშუშხა თავისი ამალით, ჯადვარიც ძირფესვიანად ამოთხარეთ, მორჩა და გათავდა.

— რას ამბობთ, ღმერთმა დაიფაროს! მაშინ ხომ ისევ ხარხარს დაიწყებენ!

— იცინონ, რამდენიც უნდათ, ნეტავ რა გენაღვლება!

— მერე ვინღამ იმუშაოს, გადასახადი ვინ გადაიხადოს?

— ტირილი მუშაობაა? — გაბრაზდა ოქროცერცვა.

— როცა ტირიან, კიდევ ეშინიათ პირშუშხასი. სიცილი რომ აუტყდებათ, ზარბაზანიც კი ვერ აშინებთ. ესეც არ იყოს, სად დამწნილებულის მორევა და სად საღისა!

— არაფერი გამეგება! — აღშფოთდა ოქროცერცვა. — მეტისმეტი არც სიცილი ვარგა და არც ტირილი. რა ქნას კაცმა, როცა ეცინება ანდა, ვთქვათ, ტკივა რამე?

— რაც მთავარია, უნდა იცოდე შენი ტირილით ან სიცილით ბოქაულს აამებ თუ არა. ჩემი მიზანია — ვიყო თავშეკავებული. აი,

უკვე ოცი წელია არც ვიცინი და არც ვტირი, ხოლო ორი კვირაა ცუდ სიზმრებსაც აღარ ვნახულობ.

— ერთი-ორი კვირა კიდევ იფხიზლე და ფეხებსაც გაფშიკავ. მაშინ არც არავინ გადაგიჭრის გზას. — დაამშვიდა რკომ კარტოფილა. — მე და ჩემი მეგობარი კი ახლა ძილს გამოვაცხობთ და ალბათ შენისთანა კარტოფილებს ვნახავთ სიზმარში. აქ კარგი სიგრილეცაა და ქინქლებიც არ დაგვკბენს.

მეგობრებმა კუთხეში თივა მიყარეს და ის იყო უნდა დაწოლილიყვნენ, რომ ცრუმორწმუნე ბებრუხანას შეშინებული ხმა მოესმათ:

— თავს კარებისაკენ ნუ იზამთ, ცუდი ნიშანია. იმაზეც იფიქრეთ, რას იტყვის პირშუშხა.

— ყური მიგდე, კარტოფილა, ეს თოფი შავი კატის კბილებითაა გატენილი. კბილები კი ერთ ბნელ ღამეს შავმა ყვავმა მოათრია. მიფრთხილდი, თორემ ახლა ჩახმახს ორათითით გავისვრი!

კარტოფილამ ხმა გაკმინდა. რაღაც წიგნში ჩაყო ცხვირი — უნდოდა აეხსნა რას ნიშნავდა რკოს სიტყვები. მეგობრებს კი ტკბილად ჩაეძინათ და ძილშიც საამო ღიმილი ეფინათ პირისახეზე.

მ რ გ ვ ა ლ გ ო ლ ო კ ა

ალიონზე მეგობრები რაღაც ღრიალმა გამოაღვიძა. მიწისქვეშეთში მუშტის ქნევით დარბოდა ღაჟღაჟლოყება ბოლოკა და დედმამის სულს უტრიალებდა კარტოფილას.

— შე ცრუმორწმუნე ტუტუცო! შე ჩენჩო და ოხერო! როგორ გაბედე და ამ ტურტლიან უცხოელებს ჩვენს წმინდათაწმინდა ქალაქში დასაძინებელი ადგილი მიუჩინე?! ეს ხომ ჩვენი ქალაქის შებილწვაა!

უცბად ბოლოკამ თვალი მოკრა მეგობრების დაჭყეტილ თვალებს, სწრაფად მიირბინა მათთან, გაუღიმა, მდაბლად თაყვანი სცა, მერე სარგადაყლაპულივით გაიჯგიმა, ისევ მიესალმა, ხელი გაუწოდა და მოუბოდიშა:

— მაპატიეთ, რაღაც გაუგებრობაა! მოგეხსენებათ, წესრიგის დამცველებმა... მათ ოღონდ ვინმე გაქაჩონ და აღარ დაეძებენ ვინ იქნება. მაგათ რომ ნება მისცე, თვით პირშუშხასაც დაიჭერენ. ერთხელ კიდევ ბოდიშს ვიხდი. ახლა კი გავიცნოთ ერთმანეთი: თქვენი თანამოკალმე, ადგილობრივი გაზეთის „ცრემლნარევი ღიმილის" კორესპონდენტი ბოლოკა.

— თუ მართალს ამბობ, გაგიმარჯოს, — უპასუხა ოქროცერცვამ, — ერთი კი იცოდე, ძალით აქ არავის შემოვუგდივართ; მოგეხსენებათ, მოგზაური პირველყოვლისა მუზეუმს ეცნობა.

— მუზეუმი, რაც მართალია, მართლაც კარგი გვაქვს, ოღონდ მისი გამგე კარტოფილა ისეთი ბოღმაა, ღმერთმა დაგიფაროს!

— რატომ? — გაიკვირვა ხტუნიამ. — ძალიან საინტერესოდ მოგვითხრო ქალაქის ისტორია და მშვენიერი სურათებიც გვიჩვენა.

— ჰო, კარტოფილას კიდევ რა უჭირს, მუზეუმი გვაქვს ისეთი, ღმერთმა დაგიფაროთ, ყოვლად უვარგისია!

რკო წამოდგა, ბოლოკას ზედაც არ შეხედა, გაიზმორა და მერე მეგობარს ბიუბრუნდა, თან ყოველ სიტყვას წონიდა:

— ეგ ყმაწვილი, ეტყობა, ჩვენს დასაჭერად მობრძანდა, უნდა გაგვაცნოს მხიარულთა მაზრის მომავალი.

ბოლოკა ცხრად მოიკეცა წელში და თავი იატაკს დაარტყა.

— ჰოც და არაც, — უპასუხა მან. — ნაბრძანები მაქვს გაგიყვანოთ ამ აშმორებული სარდაფიდან. ჩვენი ქალაქის კატების მტერი კარტოფილა რომ მუზეუმს უწოდებს!

— ვერ მოესწრებით ვერც ჩემს ატირებას და ვერც გაკინებას! — ამაყად გამოაცხადა კარტოფილამ.

კარგად დანაყრებული და დასვენებული მოგზაურები გამოვიდნენ ქალაქის დასათვალიერებლად. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა, სწორედ ზამთარი გეგონებოდათ. ქუჩების სახელწოდებები არ ჩანდა, მაგრამ ბოლოკას რა შეეშლებოდა, ზეპირად იცოდა ყოველი კუთხე-კუნჭული.

— ეს ქვითინის ქუჩაა, ეს კი დამხრჩვალთა შესახვევი, — უხსნიდა მეგობრებს ბოლოკა. — აი ძრწოლის ხეივანი, ეს კი სევდის დიდი პროსპექტია, იქით ცრემლთა სანაპირო მოჩანს...

ქალაქელები რომ შემოხვდებოდა ბოლოკას, ცხვირის ცემინება აუტყდებოდა, იჭმუხნებოდა და თვალებს ისრესდა, მაგრამ რატომღაც ცრემლი არ მოსდიოდა. იგი სხვებსავით ჩამომჭკნარი არ გახლდათ, პირიქით, ღაჟღაჟი გაჰქონდა, ისეთი მრგვალი და ლამაზი იყო, თითქოს ეს-ესაა საახალწლო ნაძვის ხიდან ჩამოხსნესო. რკომ თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა:

— ყური მიგდე, მეგობარო, შენ ისეთი წითელლოყება და ლამაზი ხარ, ალბათ ყველას ძალიან უყვარხარ. მაშ რატომღა არ ტირი?

— მართლაც, რატომ არ ტირი? — დაინტერესდა ოქროცერცვაც.

— ეჰ, ჩემო კარგო, — უპასუხა მათ ბოლოკამ, — იყო დრო ყველაზე მეტს მე ვტიროდი და გამიშრა კიდეც ცრემლი. — მერე უცებ დაიხარა და რკოს ყურში წასჩურჩულა:

— როგორც ჩემს თანამოკალმეს საიდუმლოდ გეტყვი: მე მხოლოდ მაშინ ვტირი, როცა არაფერს მაძლევენ.

— საზამთროს დროს როგორღა გქონდა საქმე? — ჰკითხა რკომ.

— მართლა, რა დღეში იყავი საზამთროს დროს? — კითხვა გაიმეორა ოქროცერცვამ.

— მაშინ ჩემს გაზეთში დავწერე, რომ პირველი დავიცალე ცრემლისგან, — უპასუხა მრგვალბოლოკამ რკოს და ახლა ოქროცერცვას წასჩურჩულა: — აბა რა აზრი აქვს სიცილს, თუ არაფერს გიხდიან?

— ახლა, ახლა როგორღა იქცევი? — ერთხმად ჰკითხეს მეგობრებმა.

— ახლა ცრემლმორეული ვიღიმები, — ასეთია ჩვენი გაზეთის პრინციპი, ე. ი. შინაარსით სევდიანი, ფორმით კი სასაცილო.

— რას იტყვი, ხტუნია, ერთი ლაზათიანად რომ ამოვუნაყოთ ცხვირ-პირი ამ მაქციას, იქნებ ჭკუა ისწავლოს მომავალში, ჰა?! — იფეთქა რკომ.

— ეს ხომ ცილისწამებაა! — აღშფოთდა ბოლოკა. — აბა სადაური მაქცია მე ვარ? ამ დაწყევლილ ქალაქში საკმარისია ქურთუკი უკუღმა ჩავიცვა, — მან ქურთუკის თეთრი სარჩული დაანახვა მეგობარს. — რომ მაშინვე გავთეთრდები. სარჩული რომ გადმოვაბრუნო,

ნახევარ საათში მოედანი ისე გაიჭედა პამიდორებით, კიტრუნებით, კარტოფილებით, თალგამებითა და ბოლოკებით, რომ ნემსს ვერ ჩააგდებდი. ყველა ქსუტუნებდა, ბოცვერივით დასწითლებოდათ თვალები, ცხვირს აცემინებდნენ და ხველებით იხრჩობოდნენ. პირშუშხასა და მისი ამალის გამოჩენისთანავე ატყდა ერთი ვაიუშველებელი. სულ ცრემლად დაიღვარნენ.

— მხიარულთა ქალაქის პატივცემულო მოქალაქენო! ორი უცხოელი ჩვენს დახმარებას ითხოვს, — დაიწყო პირშუშხამ, — თვითონ უკეთ მოგახსენებენ თავის გასაჭირს.

— მეგობრებო, ჩვენი მეგობარი ლობუნა ტყვედ ჩავარდა...

— ტყვედ ჩავარდა? ვაიმე, საწყალო, ტყვედ ჩავარდა! — ყოველი მხრიდან გაისმა ოხვრა.

ოქროცერცვამ აცალა ხალხს დაწყნარება და განაგრძო:

— მას საფრთხე ელის. იქნებ ნახეთ ვინმემ ან გაიგეთ რამე ამ საცოდავზე?

— უი-უი-უი! ის საცოდავი! — ატყდა ერთი ვიშვიში. ცრემლი ნაკადულებად მოედინებოდა, თხრილები აივსო, მდინარე ცრემლა ნაპირებს გადმოასკდა. ცხარე ცრემლისაგან ქალაქს სქელი მლაშე ნისლი დააწვა და თვალებს წვავდა.

ყველა ტიროდა და მოთქვამდა, არავინ ფიქრობდა ოქროცერცვასთვის ეთქვა, სად ეძებნა ლობუნა.

ბექობზე ახლა რკო შეხტა და დაიყვირა:

— ახლავე შეწყვიტეთ ტირილი, თორემ თვალები დაგილპებათ!

— ვაიმე, ვაიმე, დაგვილპება! — ერთხმად აღრიალდა მთელი მოედანი.

რკომ განაგრძო:

— თუ არ გინდათ ლაჩრები და მტირალები დაგერქვათ, ახლავე შეაქციეთ ზურგი პირშუშხასა და მის ამალას, რას მიშტერებიხართ და სუნთქავთ მაგათგან აქოთებულ ჰაერს. ერთი სიტყვით, კინწისკვრით გააგდეთ ამ მიწაწყლიდან, ხომ გაიგეთ?! ახლავე შეწყვიტეთ ღრიალი!

მტირალებმა დაუჯერეს რკოს და ზურგი შეაქციეს პირშუშხას. რკოს წინადადებ. მოეწონათ და ხმამაღლა ატეხეს სიცილი. ეს სიცი-

ლი მოედო ყველას — დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს და იყო ერთი ხორხოცი და ღრიანცელი.

— ხა-ხა-ხა! ორმა ერთი ლობუნა ვერ მოძებნა!

— ხი-ხი-ხი! ჩვენს ბოლოკას ჰკითხონ რჩევა!

— ოჰ-ოჰ-ოჰ! მაგათ უნდათ წიწაკა ჩავჩაროთ პირშუშხას პირში! ესეც შენი ოქროცერცვას ოინები!

რკო შეკრთა, აღარ იცოდა, რა ეღონა.

— ისე ხვიხვინებთ, თითქოს ვინმე გიღიტინებდეთ?! მე სერიოზულად გეუბნებით: ზურგი შეაქციეთ პირშუშხას, ნუ ტირიხართ. არც ადამიანის უბედურებაზე გაბედოთ სიცილი!

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების თქმა რკომ, რომ ყველა აღრიალდა და ცრემლად გაიღვარა.

— რა გატირებთ, რა გაღრიალებთ? — გაბრაზდა რკო. — ის მაინც გაიხსენეთ, რა მხიარული იყო თქვენი მამასახლისი საზამთრო!

ამის გაგონებაზე ხარხარი აუტყდა ყველას. ამასობაში პირშუშხაც მოვიდა გონს და ყვირილი მორთო:

— დაიჭირეთ ეგ წამქეზებლები და ციხეში ამოალპეთ!

— ზედ არ შეხედოთ პირშუშხას, თორემ ისევ ატირდებით! — შესძახა ხალხს რკომ.

— ყველამ მე შემომხედეთ! — ბრძანებლობდა პირშუშხა.

— კინწისკვრით გააგდეთ! — გაჰყვიროდა რკო.

ხალხი დაიბნა, აღარ იცოდა ვისთვის დაეჯერებინა და იყო ერთი ღრიანცელი. ხან ხარხარებდნენ, ხან — ტიროდნენ და ისევ ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

რკომ ვერაფერი გააწყო: საკმარისი იყო ხალხს პირი მოერიდებინა პირშუშხასათვის, რომ ისეთ ხარხარს ატეხდნენ, მუცელი ხელით ეჭირათ, მაგრამ შეხედავდნენ თუ არა პირშუშხას, ისევ ცრემლებად იღვრებოდნენ. იმდენი ატრიალეს თავი აქეთ-იქით, სანამ საბოლოოდ არ იღრძეს.

ბოლოკა კი ცდილობდა, როგორმე ერთდროულად ეცინა და ეტირა კიდეც, თან პირშუშხასავით გამწვანებულიყო სიბრაზისაგან. მეტისმეტი მონდომებისაგან სახე მოეღრიცა, ერთი თვალიდან ღვა-

წევიათ, კისრები წაუგრძელებიათ და ერთის ამბით დააბიჯებენ. ერთ-ერთანეთს არ მიმართავდნენ სახელებით, აქ არ არსებობენ მდაბიონი, ყველა უბრწყინვალესი, ყველა უგულადესი და გაბედული და მაინც არ იციან, რა მიწაზე ცხოვრობენ.

რკოს ძალიან მოშივდა. გაიხედა და მოკრძალების მოედანზე ერთ კარზე ასეთი წარწერა წაიკითხა:

ოქროს სასადილო

— ამ სასადილოს ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდება. — უთხრა ოქროცერცვამ რკოს და გზა განაგრძეს. მოწყალების მოედანზე კიდევ ერთ სასადილოა მიადგნენ. მას ბრილიანტისა ერქვა.

— არც ესაა საჩვენო, — თქვა ოქროცერცვამ.

ბევრი ეძებეს ერთი უბრალო სასადილო, მაგრამ ვერსად ნახეს. ისევ პირველთან დაბრუნდნენ და კარზე დააკაკუნეს. ვიღაცამ ზედ კართან დაიწრიპინა:

— აქ რას აკეთებთ?

— ვაკაკუნებთ.

— ტყუილად ნუ წუხდებით, — უთხრა გამრჯე ბიანკველამ. რომელიც რაღაც ნამცეცს მიათრევდა. — ამ ქალაქში ხშირხშირად უნდა დაიხედოთ ძირს.

რკომ და ოქროცერცვამ ძირს დაიხედეს: თურმე „ოქროს სასადილოში“ მუშტარი საძირკველში გამოთხრილი ხვრელით შედიოდა. მეგობრებს ბევრი არ უფიქრიათ, შეძვრნენ შიგ. მაგრამ შევიდნენ თუ არა, ისეთი სუნი ეცათ, მაშინვე ორივემ ცხვირი აიბზუა. ეტყობოდა, კარგა ხანია აქაურობისათვის ცოცხი არავის გამოუსვამს. ოდესღაც დაყრილი ძვლები თუ პურის ქერქები, დაობებული და გამხმარი, ხელუხლებლად იქვე ეყარა.

სუფრას ქალაქ „დიდებული მეს“ მცხოვრებნი შემოსხდომოდნენ და თეფშებში არც იყურებოდნენ, ბაქიობდნენ რაც შეეძლოთ.

— მე უღრმეს ზღვაში დაჭერილ გველთევზას ხორცს გეახლებით, — აუწყა ერთმა თაგუნამ მეინახეებს. — მან ამ ზღვაში ცხრაას ოთხმოცდაცხრა წელი და ცხრა დღე იცხოვრა, სანამ ჩემს სადაფის ლანგარზე გაჩნდებოდა.



— მე კი სამოთხის ჩიტის ფრთას გეახლებით, — ერთის ამბით გამოაცხადა რაღაც უცნაურმა მხეცმა, რომელიც თაგვს თუ ვირთხას წააგავდა. — ამ ჩიტის კუდი თავიდან ბოლომდე ბაჯაღლო ოქროსია და სიგრძით ცხრა იდაყვზე გრძელი.

რკომ და ოქროცერცვამ ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს: სადაფის ლანგარი ერთი უბრალო თიხის ქოთნის ნამსხვრევი იყო, სამოთხის ჩიტის ფრთას კი საეჭვოა ათასი წლის წინათაც ერთი ციცქნა ხორცი ჰქონოდა.

დახლში ერთი დაგლახაკებული სასტუმროს პატრონი თაგვა იდგა. ეტყობოდა, ფეხები თავის დღეში არ დაებანა. ისეთი ჩამოძონძილი შარვალი ეცვა, ძაღლიც არ მოკიდებდა პირს, წინსაფარიც გაზინტლული ეკეთა. მხოლოდ ჰალსტუხი და ქუდი უქათქათებდა თოვლივით.

— ერთი ლუკმაც რომ ჩავიდო პირში, მაშინვე გული ამერევა, — დაიღმიჭა ოქროცერცვა.

— მეც, — კვერი დაუკრა რკომ.

მეგობრებმა ცხვირზე ხელი მოიჭირეს და გარეთ გაცვივდნენ.

— გავიქცეთ აქედან! — შეჰყვირა ოქროცერცვამ.

ასე დაეხეტებოდნენ ქუჩაში დამშეულნი და გაოცებულნი: თურმე ამ ქალაქში ლაპარაკობენ და მოქმედებენ სულ უკუღმა.

დალამებისას გუშაგებმა შეაჩერეს.

— ვინ მოდის? — ვარსკვლავებისთვის არ მოუცილებია თვალი, ისე იკითხა უფროსმა.

მეგობრებმა არ იცოდნენ რა ეპასუხათ, თუმცა გუშაგნი არც დალოდებიან მათ პასუხს:

— თუ უცხოელები ხართ, მოგკლავთ; ქალაქში ტროტუარზე სიარულის ნება მხოლოდ ქალაქ „დიდებული მეს“ მკვიდრთა აქვთ, დანარჩენებმა კი სიკვდილით დასჯის შიშის კანკალში უნდა იარონ ქვაფენილზე.

— ჩვენ მამაცი ლომები ვართ! — ერთი ამბით გამოაცხადა რკომ.

გუშაგებმა შაშხანები მიწას დაჰკრეს და გზა მისცეს.

— ყური მიგდე, ნუთუ მეც ოდესღაც ბაქია ვიყავი? — ჰკითხა მეგობარს მუხის შვილმა.

— არ მახსოვს, — თავი დახარა ოქროცერცვამ, — მაგრამ ამ ცხვირაბზუებს მეც მოვატყუებდი.

— მე მგონი, ამ ტყუილების გუდებს სიცრუის გარეშეც ადვილად გავუსწორდებით, — მხრები აიჩეჩა რკომ.

— აბა რას ამბობ! ამ ქვეყანაში სიმართლეს ვინ დაგიჯერებს! — უპასუხა ხტუნიამ.

მეგობრებმა დიდი კამათის შემდეგ გადაწყვიტეს: როცა სიცრუეს ვიტყვით, ჯიბეში ხელი მოვიშტოთ. მაშინ ტყუილი ცოდვად არ ჩაგვეთვლებაო.

სასამართლო

მეგობრები მთელი კვირა დახეტიალობდნენ ქალაქის ეუჩებში, ასობით სახლი შემოიარეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს ლობუნაზე. ყველა იფიცებოდა, ვნახეთ და ველაპარაკეთ კიდეცო, მაგრამ მტკნარი სიცრუე იყო.

ერთი კვირის შემდეგ მეგობრები ჭკუაზე მოვიდნენ და ქალაქელების ყოველ რჩევას უკუღმა ასრულებდნენ.

არც ამან უშველა საქმეს. ერთ დღეს იმედდაკარგულნი გულუხვთა მოედანზე გავიდნენ. მოედნის შუაგულში სამახსოვრო გიგანტური ქვა აღემართათ, ზედ უზარმაზარი ბოქლომი ეკიდა. ეს ქანდაკება, ეტყობა, სიმბოლურად ქალაქ „დიდებული მეს“ მცხოვრებთა საოცარ გულუხვობაზე მეტყველებდა, რადგან ქვაზე ამოტვიფრული წარწერა იუწყებოდა:

ყველას,
ვინც ჩააგდო
და ვერ ეღირსა
ქვას,
რომელსაც საკუთარ
შუბლში გაირტყამს.

საკენ. ღმერთმა უწყის, რაც იქ ხდებოდა! ნაგვის გროვა ფანჯრებამდე აღწევდა. დაბინძურებული მოედნის შუაგულში უზარმაზარი მორი დაეგდოთ, ზედ პირალესილი ნაჯახით ხელში ერთი გაბღენძილი ვირთხა შემდგარიყო. ორი თაგვი მორისაკენ მოათრევდა საწყალ შვრიას, რომელიც გამწარებული მოთქვამდა:

— წაიღეთ, რაც გინდათ, ოღონდ ნუ მომკლავთ...

მოედანი ისე იყო „დიდებულ მეს“ მცხოვრებლებით გაჭედილი, ნესსი არ ჩავარდებოდა. ყველას უნდოდა რაღაც წვლილი შეეტანა ამ სასამართლოში.

— მოწმე ზაზუნა, ჩვენი ქალაქის დიდად ღირსეულო და სამართლიანო მოქალაქევ, გვითხარით სიმართლე! — ბრძანა მოსამართლე მაჩვუნამ.

— სანამ ვღეჭავდი, ო, სამართლიანთა შორის უდიდესო სამართლიანო მოსამართლევ, ყველაფერი უგემრიელესი მეჩვენებოდა. ო, ნომავალო ქრცვიანა, აღტაცებისაგან გული მელეოდა, ასე მეგონა, ზღვისიქითა არნახულ საჭმელს გეახლებოდით. როცა ყველაფერი შევჭამე, ეს უბადრუკი შვრია, ეს არარაობა, მეუბნება: „ფული გადაიხადე ამ გუნდაშიო“. კინაღამ გული ამერია, როცა გავიგე, რა მაჭამა. ასე მომატყუა ამ ნაძირალამ!

— ბრალდებულო შვრია, უდიდესო ცრუ ცრუთა შორის, გამოტყდი, რატომ გააკეთე ეს? — იკითხა მაჩვუნამ.

— სრულ სიმართლეს ვამბობდი. როცა ვყიდღი და მაშინაც, როცა ფულს ვითხოვდი. განა შვრიისაგან მეტი რა გამოვა? მე მხოლოდ გუნდების კეთება შემიძლია.

მოედანი შეინძრა, აყრიალდა. ყველა გაჭკიოდა, ერთხმად მოითხოვდნენ თავი მოეკვეთათ შვრიისთვის.

— მტკნარი სიცრუეა! — თქვა მოსამართლემ. — შენ შეურაცხყოფ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთ. ცრუთა სახელმწიფოს უღარიბესი მცხოვრებიც კი არ შეჭამს გუნდას. რამდენი გადაუხადე, ზაზუნა?

— ჩემი კუდის სამი ბეწვი მივეცი. ეს ხომ უდიდესი განძია. ამის წყალობით მოეფინა ნათელი აქაურობას. მან კი უარი მითხრა და აქოთებული ჯაგარი უწოდა.

ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. შვრიის საქმე წასული იყო. ამ თაღლითების ბრბოში მის მართალ სიტყვას ფასი არ ჰქონდა.

— სტყუი! — კიდევ ცდილობდა თავის დაცვას საწყალი შვრია. — აბა ნახეთ, განა სულ უბრალო ჯაგარი არ არის! — შვრიამ სასამართლოს ზაზუნას კუდიდან ამოწიწკნილი სამი ღერი ბალანი უჩვენა.

მაჩვმა გამოართვა, ხელში რამდენჯერმე შეატრიალა და თქვა:

— ანათებენ!

— ოქრო-ვერცხლზე ძვირფასია, რადგან იგი ეკუთვნის „დიდებულ მეს“ მცხოვრებს, — ერთხმად დაამოწმეს თავშეყრილმა მღრღნელებმა.

— თუგინდ ბრილიანტისა იყოს, მე რა მესაქმება. მე მხოლოდ გუნდებსა ვყიდდი, — ერთხელ კიდევ სცადა თავის გაშართლება შვრიამ.

მაჩვმა რამდენიმე ცალი გუნდა დაღეჭა. თვალები გადმოკარკლა და თქვა:

— ეს რაღაც არაჩვეულებრივი ყერძია. გემოთი თაფლს წაგავს, სუნით კი — ვარდს. თავი წააცალეთ ცრუპენტელას!

რკომ ვეღარ მოითმინა ამდენი უსამართლობა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

— შვრია მართალია! ყველაზე დიდი ცრუპენტელები თქვენა ხართ ამქვეყნად. ძირს დაიხედეთ. უბედურო ბაქიებო! რაც მამაა. ის შვილიო, ნათქვამია. თქვენი ქალაქი „დიდებული მე“ კი არა, ცხვირაბზუებისა და კუდაბზიკების ქალაქია.

მოსამართლე გიჟივით წამოხტა, სიბრაზისაგან გაშავდა და აკანკალდა.

— ვინ გაბედა ამ საშინელი სიტყვის წამოროშვა, სიტყვის რომელიც „ც“-ზე იწყება? — იგი ცაში მონავარდე ყვავს შეჰყურებდა. სხვა არაფერი დაუნახავს.

— ეს მე გახლავართ, ოქროცერცვა! — მეგობრის მაგიერ დაიძახა ხტუნიამ: — მხოლოდ უტვინო ხევრიები ტრაბახობენ ასე!

ვირთხამ აღარ დააყოვნა, შვრია დააჩოქა და ნაჯახი მოუქნია.

რკოს ბევრი არ უფიქრია, თოფი გადმოიგდო მხრიდან და არც კი დაუმიზნებია, ისე ესროლა უზარმაზარი ნაჯახის ტარს. ნაჯახი ხელიდან გაუვარდა ჯალათს, რკომ კი შიშისაგან გახევებულ მსხვერპლს დაუყვირა:

— გაიქეცი, შვრია! ძირს დახედვისა ეშინიათ და ვერაფერს ხედავენ.

შვრია მოტრიალდა და ნაგვით სავსე მოსახვევს შეაფარა თავი. დარეტიანებული მაჩვი ზარს დასწვდა და ორივე ხელით შეანჯღრია. როცა ყველა გაიტრუნა, მოსამართლემ ქალაქში ომი იწყებაო გამოაცხადა და ბრძანება წაიკითხა:

— „დიდებული ჩვენის დედოფლის ბრძანებით, დიდებული მეს ყველა მცხოვრებს: იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ქალაქში შემოიპარნენ უცხოელები, ქალაქის მკვიდრთ ვუბრძანებ დაიხედონ ძირს და დაიჭირონ ოქროცერცვა და რკო. ამ ორმა ბილწმა არამზადამ გაბედეს და თქვეს საზარელი სიტყვა, რომელიც „ც“-ზე იწყება...“

მეგობრებს ბევრი არ უფიქრიათ, სანამ მოსამართლე ბრძანების კითხვას დაამთავრებდა, მოუსვეს ქალაქის შემოსასვლელი ჭიშკრისაკენ. ქალაქის მცველთა გაძლიერებულმა რაზმმა მაინც მოასწრო გზის გადაჭრა. მეგობრები ახლა სხვა მხარეს გაიქცნენ, აქ თაგვები დახვდათ. სხვა რა გზა იყო, პირველსავე სახლში შევარდნენ და კარებთან მთელი ბარიკადები ააგეს.

— ამჯერად მართლაც გავებით, — თვალი არ მოუცილებია კარის ჭუჭრუტანისთვის. ისე ამოიხვნეშა ოქროცერცვამ.—მთელი ეზო აივსო.

— ჯერ ხელის ჩაქნევა ადრეა, — უპასუხა რკომ და ჭუჭრუტანაში რამდენჯერმე გაისროლა. — სამაგიეროდ შვრიას ვუშველეთ!

— ლობუნას, ლობუნას რაღა ეშველება?

— არც იმას დავივიწყებთ. ხედავ, ნაძირალები უკან იხევენ!

მეგობრები ვიწრო დერეფნით გამოცვივდნენ ეზოში. ისეთი კაშკაშა მზე იყო, თვალს ჭრიდა. თვალი რომ გაახილეს, დაინახეს, რომ შუაგულ ეზოში ჭაა და ზედ ლობუნაა მიჯაჭვული. საწყალი ავტომატივით შეუჩერებლად წყალს იღებდა და მარმარილოს აუზში ასხამდა.

ლობუნამ მეგობრები რომ დაინახა, გაფითრდა, ვედრო ხელიდან გაუვარდა და ჭის ძელურს მიეყრდნო. ოქროცერცვა მივარდა და შეეშველა, რომ არ დაცემულიყო.

— მე მეგონა, დამივიწყეთ, — თქვა ლობუნამ.

— არა, შენს თავს რა დაგვავიწყებდა! — ეხვეოდა რკო, მაგრამ ჩვენი თუ სხვისი საქმეებით ყელამდე ვიყავით სავსე.

ოქროცერცვა ისე ღელავდა, ხმა ვერ ამოიღო. მხოლოდ ლობუნას ხელი ჩაებღუჯა და ჩუმად ეფერებოდა. მერე ვითომ აქ არაფერიო, თქვა:

— ნახე, შენი ნამკურნალები იარა სულ შემიხორცდა. მარტო პატარა ნაჭრილობევიღა დამრჩა შუბლზე...

ლობუნას გაეღიმა და რკოს ჰკითხა:

— თქვენ ისევ ძველებურად ლექსებს წერთ და მთელი მსოფლიოს გაზეთებთან თანამშრომლობთ?

ოქროცერცვა სირცხვილისაგან დაიწვა, რკომ კი ზურგი შეაქცია და წაილუღლუღა:

— ეჰ, რა არ ხდება ქვეყანაზე... — და მაშინვე დასძინა: — აბა, ავჩქარდეთ, ვინ იცის, რა წუთში შემოგვიმტვრევენ კარს!

— მოგდევენ? — შეშფოთდა ლობუნა. — დღისით ვერსად ვერ გავიქცევით. როგორმე დაღამებამდე უნდა მოვიცადოთ. იცით, რამდენი ნაცირალა და გამცემია ამ ქალაქში!

— აქ მოცდა არ შეიძლება!

— მე დაგმალავთ. ეს სახლი, აუზი და ბაღი ქალაქის კომენდანტს ქრცვიანას ეკუთვნის და ვერავინ გაბედავს აქ თქვენს ძებნას.

ლობუნამ მეგობრები კასრქვეშ დამალა, თვითონ კი ისევ წყლის ამოხაპვა დაიწყო.

უცებ კარები თავისი ანჯამიანა ბრახუნით ძირს დაენარცხა, თაგვები გიჟებივით შემოცვივდნენ ეზოში და ლობუნას მისცვივდნენ:

— სად არიან ყაჩაღები?

— თვალი კი მოვკარი, ღობეს რომ გადაევლენ და მერე აღარ დამინახავს.

— სტყუი! შენ დამალე სადღაც!

— აბა როგორ დავმალავდი, ჭაზე ვარ მიჯაჭვული.

— რაც მართალია, მართალია, — წამსვე დაეთანხმნენ თაგვები და ერთმანეთის მიყოლებით გაძვრნენ ღობეში.

მოსაღამოვდა. ქალაქი ბინდში გაეხვია და ჩაიქუფრა: თორმეტმა განთავისუფლებულმა ციცინათელამ მთელი დღის განმავლობაში „დიდებულ მეს“ ყველა ბოძიდან ჩამოხსნეს მიბმული ციცინათელები და ისეთი კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა, თითს თვალთან ვერ მიიტანდი.

შუაღამისას ლობუნამ გამოუშვა მეგობრები კასრიდან. მერე ბორკილები დაამსხვრიეს და სამივე დაბურულ ბაღში შეიპარა.

— ვერაფერს ვერ ვხედავ,—ხელებს იქნევდა ოქროცერცვა.— სანთელი მაინც აგვანთებინა.

— რას ამბობ! — მოქაჩა ლობუნამ.—არც იფიქრო, ეზო თაგვებითაა სავსე. ჩამოდით აქეთ, მიწისქვეშ, აქ ვიღაც მთელი დღე გელოდებათ.

რკომ საფეხური მოსინჯა ფეხქვეშ და ფრთხილად დაეშვა. ოქროცერცვას სიჩქარეში ფეხი დაუცდა, დაეჯახა რკოს, გადააყირავა და ქვევით ჩაკოტრიალდა. უცებ რაღაცამ გაანათა და თვალი მოჭრა. ქვიტკირის ნიშში ციცინათელა იდგა. მას ფრთის ქვეშიდან ფარანი გამოეღო და მეგობრებს გზას უნათებდა.

— გამარჯობა, — უთხრა ოქროცერცვამ, თან ნატკენ ადგილზე ხელს ისვამდა. — აქ საიდან გაჩნდი?

— გავიგე, რომ დაგდევდნენ და ვიფიქრე, ღამით აუცილებლად დასჭირდებათ ჩემი შველა-თქო.

წუთი არ დაუკარგავთ, ლტოლვილებმა ისე განაგრძეს გზა. წინ თოფჩაბღუჯული რკო მიუძღოდათ, ოქროცერცვა კი კვანჭალით მიჰყვებოდა უკან და მძიმე ფოცხს მიათრევდა კვალის წასაშლელად.

უცბად რკო შედგა. აქ მიწისქვეშა გზა ორად იყოფოდა.

— დღისით ყველაფერი კარგად დავზვერე, — აუხსნა მათ ცი-

ცინათელამ. — მარცხენა გზა სასახლეში მიდის, მარჯვენა კი ქალაქის კედლის იქით გადის.

მეგობრებმა თათბირი გამართეს. რკოს გარდა, ყველას უნდოდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ამ საშინელ ცრუთა ქვეყნის დედაქალაქს.

— ამ შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ და მათი გეგმები გავიგოთ, — არ ისვენებდა რკო.

— იმდენს იზამ, ჩვენივე გათხრილი დანით დაგვკლავენ, — არ ეთანხმებოდა ოქროცერცვა.

— მაშ აქ დამიცადეთ, მარტო წავალ.

მაგრამ დარჩენა არავინ ისურვა და მეგობრები მარცხნივ ამავალ საფეხურებს აუყვნენ. მალე რკინის კარს მიადგნენ, შეაღეს და ქრცვიანას საძინებელ ოთახში ამოყვეს თავი. მიწისქვეშეთის გამოსასვლელი კარი ზედ კომენდანტის ფართო საწოლთან იყო.

უცებ შეამჩნიეს მეორე ოთახში მქრქალი სინათლე ციმციმებდა. ციცინათელამ ფარანი ფრთისქვეშ დამალა და გაიტრუნა. რკომ ცოტა სული მოითქვა, კართან მიჩოჩდა, ფეხის წვერებზე აიწია და გასაღების ჭუჭრუტანაში შეიხედა. უცებ ცივმა ოფლმა დაასხა: ბაგიდას შემოსხდომოდნენ ქრცვიანა, სინდიოფალა, მაჩვი და ვირთხა. რაღაცაზე გაჩუმარებული საუბრობდნენ.

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავიპიროთ ისინი, — თქვა მაჩვმა. — მარტო იმ ერთი სიტყვის თქმისთვის, რომელიც „ც“-ზე იწყება, თავის მოკვეთაც კი ცოტაა!

— სულ ცოტა. ხელ-ფეხი მაინც უნდა მოვკვეთოთ, — მხარი აუბა მაჩვს სინდიოფალამ. — აი, წაიკითხეთ გირჩის საჩივარი, პირშუშხას პატაკი, პარკოსანთა ქვეყნის საიდუმლო მრჩევლის ცნობები და, დარწმუნდით, რა საშიში დამნაშავენი და მეამბოხენიც არიან.

მაინც ვერ გამიგია, როგორ მოახერხეს ჩვენს ქალაქში შემოსვლა? — ჩაიბურტყუნა ქრცვიანამ.

— თქვენო აღმატებულებავ, როცა მცველებმა ცხვირები ძირს დასწიეს, მაშინვე შეამჩნიეს, რომ კედლის საძირკველი მთლად გამოთხრილია.

— სისულელეა! ჩვენს კედელში ვერც ვერავინ შემოძვრება და ვერც გადმოძვრება. ალბათ მტრის თვითმფრინავებმა გადმოისროლეს.

— ბრწყინვალე აზრია! — აღტაცებაში მოვიდა სინდიოფალა. — გენიალურია! თქვენ რაღას ფიქრობთ ამ ორ უცხოელზე, დიდებულო ლომო?

ქრცვიანა კარგა ხანს ფიქრობდა. ფიქრობდა ჯერ უხმოდ, მერე თავისთვის ბუტბუტებდა და ბოლოს როგორც იქნა ამოღერღა:

— ვინ არის რკო? არა მგონია ქათამი იყოს.

— მართალი ბრძანდებით! ვაშა! ჯერ ხმაც არ გქონდათ ამოღებული, რომ მაშინვე მივხვდი, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებდით, გულადო ლომო, — ფეხქვეშ ეგებოდა და ბეწვზე კუდს უცაცუნებდა ქრცვიანას.

— დასახმარებლად მაძებარი ბოლოკა და ჯაშუში თავცეცხლა დავიბარე, — თქვა მაჩვმა.

— აქ დამიძახეთ! — ბრძანა ქრცვიანამ.

ოთახში ორი აბურძგნილი არსება შემოვიდა. თავცეცხლას გვერდზე ორი ანკესი ეკიდა, ბოლოკას კი — ას ორი ბირკაო.

— საკმარისია ვინმეს მივეკარო, რომ მთელი სიცოცხლე ვერ მომიშოროს, — გამოაცხადა ბოლოკამ. — ლომის კუდსაც კი შემიძლია მივეკრა.

— მე კი ერთხელ დათვის ტყავს მივეტკიპე, — დაიწყო ბაქიობა თავცეცხლამ, — და მთელი მისი საიდუმლოება გავიგე.

— ესენი არ გამოგვადგებიან. ჩვენ ისეთი ჯაშუშები გვჭირდება, თვითონ მტრები რომ მიეკრას მათ.

— მაშ მოვიწვიოთ ჩე...

ამ დროს ოქროცერცვამ ხელი ჰკრა რკოს და კარის ჭუჭრუტანას მოაცილა, ამიტომ რკომ ვეღარ გაიგო ვის მოწვევას აპირებდა ქრცვიანა.

— მარტო შენ გინდა გაიგო ყველაფერი? — უსაყვედურა მეგობარს ოქროცერცვამ.

— ისინი ჩვენს დასაჭერად გეგმებს ადგენენ!

— ვინ ისინი?

— კომენდანტი ქრცვიანა, დაცვის უფროსი სინდიოფალა, მოსამართლე მაჩვი და ჯალათი ვირთხა.

— მაშინ, მაშინ... შენ იცი... — დაფრთხა ოქროცერცვა და შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა.

რკო ისევ კარის ჭუჭრუტანას მიეკრა, მაგრამ უკვე გვიან იყო: საიდუმლო აგენტი ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

— რას იტყვით? — ჰკითხა მაჩვმა ქრცვიანას.

— ეს უფრო ჭკუასთან ახლოა. მაგრამ ვითომ მარტო შეძლებს ამ საქმეს? ჩემის აზრით, აუცილებელია ყოველ ქუჩაზე ასეთი ფარული აგენტების დაყენება. გარდა ამისა, განცხადებაც უნდა გამოვაკრათ, ლტოლვილების დაჭერისათვის იმდენ კილოგრამ ოქროს მიიღებენ საჩუქრად, რამდენსაც თავად იწონიან. მე მგონი, რადგანაც ცხვირაბზუები არ არიან ეს წამქეზებლები და მეამბოხენი, ასე თუ ისე, ჩვენს მახეში გაებმებიან. თათბირი დამთავრებულია.

— მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, უნდა გავისროლო! — თქვა რკომ და თოფი დაუმიზნა, მაგრამ ოქროცერცვამ ხელი აუკრა:

— რა უფლება გაქვს მეგობრების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო?!

— მართალი ხარ, — დაეთანხმა რკოც და უკან გაბრუნდნენ მიწისქვეშა გასასვლელით.

ამჯერად მეგობრები კარგა ხანს თათბირობდნენ.

— ქრცვიანამ ბრძანა, გზებზე საიდუმლო აგენტები დააყენეთო, — თქვა რკომ.

— დიდი უცნაური კი ხარ! — შეეკამათა ოქროცერცვა. — აბა საიდან იციან, რა გზით წავალთ? იქნებ გზაზე სულაც არ გავდივართ და მინდვრით ვივლით?

ერთხმად დაეთანხმნენ ოქროცერცვას.

— ჩვენი თავი ძვირად კი შეაფასეს, — განაგრძობდა რკო.

— ვნახოთ, რასაც მიიღებენ! — ისევ შეეპასუხა ოქროცერცვა.

— ასე ადვილად ამ ქალაქს თავს ვერ დავაღწევთ. რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

ყველამ თავი ხელებში ჩარგო და ჩაფიქრდა.

— ვაშა, მოვიფიქრე! — უცებ წამოხტა ოქროცერცვა,—თუმცა ბარა, ასე არაფერი გამოვა. — ისევ ჩაჯდა და ჩაფიქრდა.

ცოტა ხნის შემდეგ რკო ლობუნას შეეკითხა:

— ამ ბალში ნეკერჩხალი ხომ დგას?

— ეოთის მაგიერ, ორია.

— მაშ ნურაფრის გეშინიათ! ნეკერჩხლის თესლისაგან ისეთი ცხვირის გაკეთება შეიძლება, რომ ამ ქალაქის ყველაზე დიდი ბაქიაც კი შურით გულზე გასკდება.

რკო და ლობუნა მიწისქვეშა გვირაბიდან გამოძვრნენ და ნეკერჩხალთან მივიდნენ.

— გაწარჯობა, ბიძია, — ჩურჩულით მიესალმა რკო.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — ჩახრინწული ხმით უპასუხა მოხუცმა, — ჩემგან რა გინდა?

რკო მოუყვა თავის გასაჭირს და დასძინა:

— სხვა გზა არა გვაქვს, გვიშველეთ!

— თუმცა შენი ბიძა არა ვარ, მაგრამ გაჭირვებისაგან გიხსნი— მოგცემ რამდენიმე თესლს, ოღონდ იცოდე, როცა იხმარ, მერე ნაგავში არ გადააგდო, მიწაში ჩათესე, რომ ახალი ხეები გაიზარდონ.

მუხის შვილმა ერთი მუჭა ნეკერჩხლის თესლი შეაგროვა. მადლობა გადაუხადა მოხუცს და სთხოვა:

— თუ თქვენს ტოტზე მომღერალი ჩიტი დაჯდება, ძალიან გთხოვთ, უთხარით, გადასცეს ჩემგან მოკითხვა მამაჩემს, ხოლო ჩემს მეგობარ ჭივჭავს გააგებინეთ, ძალიან მომენატრა სახლი და თუ არ გაუძნელდება, იქნებ გვიშველოს, ამ საშინელ ქვეყანას თავი დავაღწიოთ. მე ჩემთვის არ ვთხოვ არაფერს... გეფიცებით, ჩემთვის არა... მეგობრების გადარჩენა მინდა! სთხოვეთ, დაგვეხმაროს.

— კარგი, მეგობარო, კარგი,—დაიკვნესა ნეკერჩხალმა. ოღონდ არც ჩემი თხოვნა დაივიწყო.

ერთი მუჭა თესლით დაბრუნდა რკო მეგობრებთან და მაშინვე ცხვირზე მიაკრა ყველას სათითაოდ.

— როგორია? — ჰკითხა ოქროცერცვას.

— ასეთი უზარმაზარი ცხვირის წყალობით თავს ვეღარ ვიჭერ, ძირს მივარდება, — დაიწუწუნა ხტუნიამ და „ცხვირით“ კედელს მიეყრდნო.

— მეტი რა გზა გაქვს, უნდა შეეგუო, სხვა რომ არაფერი, ასეთი ცხვირები ციდან არ ცვივა, — უთხრა რკომ და წინ გაუძღვა მეგობრებს.

მიწისქვეშა გზა ქალაქის აღმოსავლეთის ჭიშკართან მთავრდებოდა. ზევით რომ ამოძვრნენ, ციცინათელას მადლობა გადაუხადეს და პირდაპირ თაგვების გუშაგებისაკენ გასწიეს.

— შესდექ! ვინ მოდის?

— მამაცი ლომები.

— ფეხები რომ არ მიგიგავთ ლომებს, შეეჭვდა ერთი გუშაგოაგანი, რომელსაც ბრძანების თანახმად თავის ზევით აწევა ვერ გაებედნა.

— ო, გულადო ქრცვიანებო, ო, მომავალო ლომებო, — ღიღინით ლაპარაკობდა რკო, — აბა ჩვენს ცხვირებს შეხედეთ, უბრალო არ გეგონოთ, მიბმულია. ეს ახალი გამოგონებაა. თუ გინდათ, გაჩუქებთ თითო წყვილ ასეთ ცხვირს.

თუმცა ნაბრძანები იყო, თავი არ აეწიათ ზევით. მაგრამ თაგვებმა ცთუნებას ვერ გაუძლეს და აიხედეს.

— ვერაფერს ვხედავთ.

— აბა. მოსინჯეთ.

თაგვებმა ხელი მოავლეს თუ არა ცხვირებს, ძალიან მოუნდათ მათი შეძენა. მეგობრებმა უმალ თითოს ორ-ორი ცხვირი მიაწებეს და გუშაგებმა ისევ ისე აიბზუეს ცხვირი, როგორც ომის გამოცხადებამდე ჰქონდათ.

ლტოლვილნი მშვიდად გამოვიდნენ ჭიშკარში და დასავლეთის კედლისაკენ გაიქცნენ. იქ, ჭალაში ადვილად მიაგნეს თავიანთ კალიებს. უმალ შეკაზმეს და გზას გაუდგნენ.

უცნაური თანამგზავრი

განთიადისას ლობუნა, ოქროცერცვა და რკო უკვე კარგა შორს იყვნენ ცხვირაბზუების ქალაქიდან და ეგონათ, სამშვიდობოს ვართ გასულიო. მზე რომ ამოვიდა, ისეთ კარგ ხასიათზე დადგნენ, სიმღე-

რაც კი შემოსძახეს. მაგრამ აი, ერთ მოსახვევთან დაინახეს, რომ ვიღაც მიწაზე გართხმულიყო და კვნესოდა.

— თავი მომჭერით, თუ აქ მახე არ იყოს დაგებული, — თქვა ოქროცერცვამ.

— არა მგონია, — შეეპასუხა რკო, ცხენიდან ჩამოხტა და ფრთხილად მიუახლოვდა.

შუა გზაზე მტვერში ამოგანგლული ცოცხალმკვდარი ოსპი გორავდა. უღმერთოდ ნაცემი და დაკბენილი იყო. ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდა.

— ვაიმე, ვკვდები! — არაადამიანური ხმით ღრიალებდა საწყალი; — ოჰ, რა უღმერთოდ მიმბეგვეს! ძმებო, მიშველეთ, მეტი აღარ შემიძლია!

რკომ აიყვანა ოსპი და გზის პირას დააწვინა. მერე მტვერი მოწმინდა, მათარას თავი მოხსნა და ერთი ყლუპი წყალი ჩაასხა პირში. ლობუნამ კი ნაცემი გვერდი მაგრად გაუკრა, მაგრამ ოსპი მაინც გაუთავებლად გაჰყვიროდა. დროდადრო ისე ხმამაღლა შეჰყვირებდა ხოლმე, რომ სხვა გზა არ იყო, მეგობრები ყურებში თითს იცობდნენ.

— გაათავე ღრიალი და გვითხარი, აქ როგორ გაჩნდი? — ჰკითხა ოქროცერცვამ.

— მოვრბოდი... თაგვები დამეწიენ... მცემეს, გამკოჭეს და შუა გზაზე დამაგდეს. თუ გინდ მომკალით, ოღონდ აქ მარტო არ დამტოვოთ!..

მეგობრები ჩაფიქრდნენ. ნუთუ თაგვებმა წინ გაუსწრეს? ან რა მოუხერხონ დაჭრილ ოსპას? მხოლოდ ორი ცხენი ჰყავდათ, ლტოლვილი კი ოთხი გახდა.

— ყური მიგდე, ოსპა, დიდი ხანია რაც თაგვები აქ იყვნენ?

— არ მახსოვს, ან კი საიდან მემახსოვრება — ტვინი მიღრძეს, ვაი, ვაი, ვაი!

— რაც იქნება, იქნება, თან წაგიყვანთ, ოღონდ იცოდე!.. — თითი დაუქნია რკომ.

მუხის შვილმა თავის ცხენზე შესვა ოსპი, თავად უზანგს მოე-

ჭიდა და სირბილით გაჰყვა. ოქროცერცვამაც მას მიბაძა და ისევე გაჰყვა ლობუნას გვერდით. ხტუნია მალე წამოეწია მეგობარს და ბანდის ნაგლეჯი დაანახვა.

— რატომ მიჩვენებ?

— შენი დაჭრილი უკვე მესამედ აგდებს ასეთ ნაკუწებს. მე მგონი, ოსპი ვილაცას კვალს უტოვებს.

ოსპმა ყური მოჰკრა მათ ლაპარაკს და უფრო მწარედ აკვნესდა.

— რა გაჩქარებთ, მიჰქრიხართ, თითქოს ქარი მიგაქროლებთ. საშინლად ვინჯღრევი!

— არ მომწონს ეს ჩვენი თანამგზავრი, — ეჭვით თქვა ოქროცერცვამ.—ერთი ყური უგდე, ისე ღრიალებს, თითქოს ვინმე ხორცს აჭრიდეს. თქმა არ უნდა, თავს იკატუნებს.

— შენის აზრით თვითონ ჩაიჩეჩქვა ცხვირ-პირი? — აღშფოთდა რკო.

— ასე თუ ისე, თვალყური უნდა ვადევნოთ, იქნებ სწორედ ესაა ის ფარული აგენტი.

— ნუ სულელობ! — გაუჯავრდა რკო. — სტკივა და ყვირის.— როგორ გეტყობა ცრუთა ქვეყანაში რომ ხარ დაბადებული, — წაეხუმრა მეგობარს, — შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, ერთმანეთშიც კი შეგვეპარება ეჭვი.

— მე მიყივლია და ახლა შენ იცი, — ამოიოხრა ოქროცერცვამ. — მოღალატენი მარტო ცრუთა ქვეყნის მკვიდრთ კი არ ასმენენ.

— რა ბოღმა ხარ, ოქროცერცვავ, — უთხრა ლობუნამ, — ვერ ხედავ, საწყალი როგორ არის დაბეგვილი!..

ოქროცერცვას ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ოსპას თვალს არ აცილებდა.

შუადღისას დამრეცილ გორაკიდან ძირს დაეშვნენ და უზარმაზარ ტბასთან აღმოჩნდნენ.

— გზა აგვებნა! — ხუმრობისგარეშე შეშინდა რკო. — აქეთ რომ მოვდიოდით, ტბა არ მინახავს.

ამ სიტყვების თქმა იყო და, გორაკზე მტვრის კორიანტელი ავარდა.

— მოგვდევენ! — წამოიძახა ოქროცერცვამ.

რკომ არც აცივა, არც აცხელა, იქვე მოძებნა წვეტიანი კენჭი, ბერეტი მოიხადა, 'მიგ თავისი საწერი მოწყობილობა ჩაყარა და წყალში შევარდა. სწრაფად მიცურდა დუმფარას ფოთოლთან, ჩაყვინთა, წვეტიანი კენჭით მოჭრა ღერო და ნაპირთან მიაცურა მზა ტივი. თხმელის ფოთლის იალქანი აღმართა, ორთაყვირი გამოთალა, დასვა ტივზე მეგობრები და ნაპირს მოწყდნენ.

ზურგის ქარი ქროდა და ის იყო ტივმა ცოტაზე გაცურა, რომ ვირთხების რაზმი ნაპირს მოასკდა.

— ქრცვიანას ბრძანებით, ახლავე შეჩერდით!

— დახრჩობის თუ არ გეშინიათ, თავად შეგვაჩერეთ. — დასცინა მათ რკომ.

— დაგვაცადეთ, თქვენ გიჩვენებთ სეირს.

— ოლონდ, გეთაყვა, ცხვირების მიბმა არ დაგავიწყდეთ! — არც ოქროცერცვა დარჩა ვალში.

თაგვებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს: ლტოლვილებს დაუშინეს ქვები, ესროდნენ ნაჯახებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — თაგვებმა ცურვა არ იცოდნენ და სიკვდილივით ეშინოდათ წყლის. ხმაურზე სოროდან წყლის ვირთხამ გამოყო თავი. იგი აქ მებორნედ მუშაობდა.

— ეს ვინაა, ძილს რომ მიფრთხობს? — იკითხა მან.

— ცრუთა ქვეყნის დედაქალაქის კომენდანტის, უგულადესი მამაცისა და თავდადებული მხედართმთავრის, მომავალი ლომთა ლომის ქრცვიანას სახელით გიბრძანებთ, დააპატიმროთ ეს ავაზაკები! — დაიყვირა ვირთხების უფროსმა.

მაგრამ სანამ იგი ქრცვიანას ტიტულებს ჩამოთვლიდა, ბებერ მებორნეს ჩათვლიმა და სანამ თაგვები გააღვიძებდნენ, ზურგის ქარმა ისე დაბერა, ტივი შუა ტბისკენ გააქანა.

წყლის ვირთხა მაინც დაეწია ლტოლვილებს და ისე მოსწია დუმფარას ფოთოლი, კინაღამ ტივი გადააყირავა.

— ერთი გამაგებინეთ, რას გაჰყვირიან და რატომ ისვრიან ქვებს? — ჰკითხა მან მეგობრებს. — ყურებში წყალი ჩამიგუბდა და აღარაფერი მესმის.

— ჩვენც ვერაფერი გავიგეთ. თვითონ მათ ჰკითხე. ამას კი მოვკარით ყური, მგონი ქრცვიანა ტბის დაშრობას აპირებს.

— რაო, მაშ მეც იმას უნდა ვემსახურო?

— რატომაც არა, ზურგს გაუხეხავ ხოლმე.

— მეტი საქმე არა მაქვს.

— გაქვს თუ არა გაქვს, გამოგკეტავენ. — სიცილი დააყარეს მეგობრებმა.

— კეტი რაღაა? — გაოგნებულმა წყლის ვირთხამ ჭაღარა ულვაშები ააცმაცუნა. ეტყობა, გადაწყვიტა, არ ღირს თაგვებთან საქმის დაჭერაო და პირი უკან იბრუნა. ლტოლვილებმაც აღარ დააყოვნეს და სწრაფად გაცურეს.

მალე ქარმა ნავი ნაპირთან მიაგდო. მეგობრები ხმელეთზე გადმოვიდნენ, ცხენები საძოვრად გაუშვეს, თვითონ კი საჭმლის საძებნელად გაემართნენ. მალე გამოარკვიეს, რომ ერთ პატარა კუნძულზე მოხვდნენ, ირგვლივ მხოლოდ ბალახი და ბუჩქები იყო. კუნძულის ერთი ნაპირი დამრეცი იყო, მეორე კი ციცაბო და კლდოვანი.

— აქ დიდხანს ვერ გავძლებთ, — თქვა ოსპამ.

— შეგიძლია უკან დაბრუნდე, ტივი ჯერ კიდევ ნაპირზე დგას, — გაბრაზდა რკო და ტირიფის კენწეროში მოექცა, მიდამო რომ დაეთვალიერებია.

ტბის ნაპირზე თაგვები ხეებს ჭრიდნენ, წყალთან მოათრევდნენ და ტივს კრავდნენ.

— რა ვქნათ? — ჰკითხა ოქროცერცვას რკომ, ძირს რომ ჩამოვიდა და ყველაფერი უამბო.

— უნდა ვიბრძოლოთ, — უპასუხა ოქროცერცვამ. — ამასობაში იქნებ ჭივჭავმაც მოგვისწროს, ან ნეკერჩხალმა რაიმე ცნობა მოგვაწოდოს. — ხტუნიამ ირგვლივ მიმოიხედა, დარწმუნდა, ლობუნა ვერაფერს გაიგებსო და დაუმატა: — ოღონდ უთხარი ჭივჭავს, რომ უბრალო ოქროცერცვა ვარ. ერთი სიტყვით, გააფრთხილე არ გადამყლაპოს.

მეგობრებმა ქვები, ტოტები და თივა შეაგროვეს და ბარიკადები აღმართეს. არც თაგვებს ეძინათ: ტივი შეკრეს, შეხტნენ ზედ და გამამხნევებელი შეძახილებით კუნძულისაკენ გაცურდნენ. მეგობრებ-

მა კაკით ცეცხლი გააჩაღეს და თივა და სმელი ტოტები დააწყვეს. კვამლმა თვალები აუწვა მოახლოებულ მტერს. ქვების სეტყვამ კი ტივის მორებზე დაანარცხა თაგვები. ამ დროს პირქარმაც დაბერა და ტივი კუნძულს მოსწყვიტა. პირველი შეტევა მოგერიებულ იქნა.

დაბინდდა. მეგობრებს მთელი ღამე არ დაუსვენიათ: ხელახლა გაამაგრეს თავშესაფარი, მოაგროვეს ქვები და ბოლოდ რიყრაკზე დასხდნენ სათათბიროდ.

— როგორმე ტივი კლდეებთან უნდა მივაყენოთო. და სანამ ანელა, ტბის გაღმა მხარეს გავიდეთო, — გადაწყვიტა რკომ.

— კი ბატონო, მაგრამ ვერა ხედავ, პირქარია და კუნძულისაკენ უბერავს, გააფრთხილა მეგობარი ოქროცერცვამ. — ესეც არ იყოს, როგორ დაფრინდება ჭივჭავი ამ მოცუცნულ ტივზე? არა, ძმაო, აქ უნდა დავიცადოთ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ რაღაც ბზუილი მოესმათ და ვიღაცა ფარნიანი ძირს დაეშვა.

— მე ისევ თქვენთან ვარ, — გაისმა ციცინათელას ხმა. — დიდ მოკითხვას გითვლით ნეკერჩხალი. მან მერცხალს სთხოვა, სასწრაფოდ აცნობე ჭივჭავს რკოს ამბავიო. ოღონდ დაიმახსოვრე პირობითი ნიშანი: ღამით სამი კოცონი დაანთეთ, დღე კი ქვების სამი გროვა დაახვავეთ.

— თავად მერცხლებს კი არ შეეძლოთ ჩვენი შველა? — ჩურჩულით იკითხა რკომ.

— რაღა თქმა უნდა, შეეძლოთ, მაგრამ შენზე არიან გაპრაზებული. ასე თქვეს, ერთხელ ბუდე ამოგვიქოლა და კინაღამ სული ამოგვხუთაო.

ციცინათელა გაფრინდა, თვალცრემლიანმა მუხის შვილმა კი გაიფიქრა: აბა რა საკადრისია რაღაც უბრალო ხუმრობაზე ამდენ ხანს გაგყვეს ბოლმა. მაგრამ რას იზამ, მე ვარ დამნაშავეო. აბა მაშინ რას იფიქრებდა, ოდესმე ასეთ ხიფათში თუ ჩავარდებოდა?

რკომ ყველა დასაძინებლად გაუშვა, თვითონ ტიკზე შეხტა, ორთაყვირს ხელი სტაცა და იქვე კლდოვან ნაპირთან პატარა ყურეში მიაბა, მერე სწრაფად აცოცდა ციცაბოზე, უკან დაბრუნდა, მიწაზე დაეგდო, სასოუმლად უნაგირი ამოიდო და მკვდარივით დაეძინა.

მზიანი ღილა გათენდა. რკოს ძილში ჩაესმა რაღაც ხმები, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოფხიზლდა. სიმღერა ძილს უფრთხობდა, დაღლილობას კი თავისი გაჰქონდა და თავი ვერ აეწია უნაგირიდან.

ეჰ, ფუტკარი ვიყო ნეტავ,
რას მიზამდა მაშინ სევდა.
ვიცხოვრებდით ერთ ჭერქვეშ და
მოვილხენდით ყველა ერთად!

ამ სიმღერას ნაზი ხმით ლობუნა მღეროდა, ოქროცერცვა კი დაბალი ხმით ბანს აძლევდა:

ქარს სისწრაფით რომ ვჯობნიდე,
ისევ უკან გავბრუნდები,
გადავკოცნი მშობელ დედას,
მოილხენდნენ ძმები, დები...

ბოლოს და ბოლოს რკომ თვალი გაახილა. მზე ნელ-ნელა მაღლა იწევდა. რკოს სინდისი ქეჯნიდა, წამოხტა და იარაღს დაუწყო ძებნა. „ოჰ, ეს ოქროცერცვა! — გაიფიქრა მუხის შვილმა. — გადამიმალა იარაღი და თვითონ ისე მღერის, თითქოს მამა აბრამის ბატკანიაო. ოჰ, ეგ ოინბაზი, ეგა...“ რკო ხტუნიასთან მივიდა:

— გეყოფა ხუმრობა, რა უყავი ჩემი იარაღი?

— ხელიც არ მიხლია, აღარც ჩემი იარაღია, ვიფიქრე, შენ გადამიმალე-მეთქი

— ოსპა... ოსპა სადაა? — წამოიძახა რკომ და საშინელმა წინათგრძნობამ გაჰკრა გულში.

მეგობრები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ოსპას კვალს ვერსად მიაგნეს. ოსპასთან ერთად გაქრა ორი თოფი, ხმლები და, რაც მთავარია, კვესი.

— ნაძირალა! რაღათი გავაჩაღოთ ახლა ცეცხლი! ოჰ, ბილწი არსება!

— ხომ გეუბნებოდი?... — წამოიწყო ოქროცერცვამ, მაგრამ გაახსენდა თვითონაც, რომ მკვდარივით ეძინა და ხმა ჩაიწყვიტა.

— ჩვენი უნაირობით ჭივჭავსაც განსაცდელში ჩავაგდებთ. ვაითუ ამაღამ მოფრინდეს? — იმედი გადაუწყდა რკოს.

— ეგ არაფერი: ჭივჭავი მოფრინდება და ჩვენ ხომ გვიხსნის და გვიხსნის, ოსპასაც შავ დღეს დააყრის, — დაამშვიდა ლობუნამ.

— არა მგონია! — ხელი ჩაიქნია ოქროცერცვამ.

ამასობაში გაღმა ნაპირზე თაგვებმა ერთი ურიამული ატეხეს: ცეკვავდნენ, ხარხარებდნენ, გაჰკიოდნენ, წინდაწინვე დღესასწაულობდნენ გამარჯვებას. კარგად დააკვირდნენ და მეგობრებმა დაინახეს ტირიფის წკნელზე გადამჯდარი ოსპა როგორ უახლოვდებოდა ნაპირს. ქრცვიანას ჯარისკაცებმა ამოათრიეს იგი წყლიდან და აღტაცებულებმა ჰაერში რამდენჯერმე აისროლეს.

რკომ თავი ჩაღუნა და ხმა არ ამოუღია. გრძნობდა, ყველაფერში ის იყო დამნაშავე: არ დაუჯერა მეგობარს, ენდო გამცემსა და მოღალატეს და ახლა, თქმა არ უნდა, თვითონაც დაიღუპება და მეგობრებსაც დაღუპავს.

თაგვებს წამი არ დაუკარგავთ, ტივზე შეხტნენ და კუნძულისაკენ გაცურეს. თუმცა მეგობრები გმირულად იცავდნენ თავს, სხვა გზა არ ჰქონდათ, მაინც დაიხიეს ციცაბო კლდეებისაკენ. აქ კი თაგვებმა ვერ გაბედეს მისვლა. მაგრამ ქვების სამი დიდი გროვა დაახვავეს და ფიჩხიც მოზიდეს სამი კოცონის ასანთებად. მერე კვლავ დაიწყეს ზეიმი.

ოსპა ყველაზე პატარა ჩანდა თაგვებში, თუმცა ისე გაჰკიოდა, ყველას აჭარბებდა.

— მაინც როგორ იბადებიან ასეთი ნაძირალები? — უკვირდა ლობუნას. — ხედავთ, როგორ გადაგვიხადა სიკეთე!

რკო ხმას არ იღებდა. იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, როგორ შეეძლო ოსპას გულიანობის, სიყვარულისა და მეგობრობის ნაცვლად, ასეთი არაადამიანური სიცრუითა და ნაძირალობით ეპასუხნა.

ავისმომასწავებლად ბინდდებოდა.

მეგობრებმა ქვის სამი გროვა კი დაახვავეს, მაგრამ კლდეებში სულ ჩაიკარგა. მალე ვარსკვლავები აციმციმდნენ. ქვევით კი სამი კაშკაშა კოცონი აბრიალდა.

— ოღონდ ახლა არ მოფრინდეს... ოღონდ ახლა არ მოფრინდეს... — ჩუმად ნატრულობდნენ მეგობრები და კლდიდან უზარმაზარ ქვებს აგორებდნენ, იქნებ როგორმე ჩავაქროთ კოცონიო. თუმცა ამაოდ.

— მირჩევნია, მოვკვდე, ოღონდ მეგობარი ხიფათში არ ჩავაგდო, — ამოიოხრა რკომ და ძლივს ჩააგორა დაბლა ქვა.

შუალამე იყო, ჯერ ფრთების ხმა რომ გაისმა და მერე ჭივჭავის ომახიანი ხმა:

ჭყივ-ჭყივ!
დავყევ ცაცხვებს,
მუხებს,
რკოვ, სადა ხარ
მიპასუხე!
ვფრენ, დაგეძებ
დღე და ღამე,
ჭყივ! ხმა გამეც,
მითხარ რამე!

მაშინვე ოსპა გამოეპასუხა. მოლალატემ რკოს ხმით შესძახა:

ჰე, ჭივჭავო,
მოგვეშველე!
ვანდ რას დაფრენ,
ჰაერში?!
ნურაფრის ნუ ეშინია
ჩქარა, ჩვენკენ
დაეშვი!

— ჭივჭავო, მახეს გიგებენ! ჩემო კარგო ჭივჭავო, ძვირფასო, გვიღალატეს! — თითქმის ტირილით გაჰკიოდნენ კლდის წვერზე შემდგარი მეგობრები. მაგრამ ფრთოსან მეგობარს არაფერი ესმოდა და ქვევით დაეშვა.

მიწაზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ თაგვები გარს შემოერტყნენ, ფრთებსა, კუდსა და ფეხებში ეცნენ. გულადი ჭივჭავი არ ნებდებოდა, რამდენიმე თაგვს თვალები დათხარა, ორი მკვდარივით მიაგდო მიწაზე, მესამეს კისერი მოუგრიხა, მაგრამ თაგვები ბევრნი იყვნენ და სძლიეს. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა ჭივჭავმა და შეჰყვირა:

ბუივ-ბუივ!
ვინ ხართ
ჩემზე მალი
და ყოჩაღი
მეომარი,
გავუსწორდი
ყველა თავზედს,
რკოვ, სადა ხარ
დამენახე!..

ტიროდა ოქროცერცკა, ტიროდნენ ლობუნა და რკო, მტრები კი ხაოობდნენ. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მეგობრები ყველაფერს ხედავდნენ, ყველაფერს ისმენდნენ, დახმარება კი არ შეეძლოთ.

უცებ მეგობრების მდუმარება რაღაც საშინელმა, განწირულმა ყვირილმა დაარღვია. ხმა ქვევიდან მოდიოდა. ეს ოსპა იყო:

— როგორ მიბედავთ?! მე დაგაჭერინეთ ჭიეჭავი, თქვენთვის მოვიპარე ამ შეამბოხეთა იარაღი, ყველას ქრცვიანასთან გიჩივლებთ!

— ამიტომაც გაგკოლეთ, რომ არ გვიჩივლო, — დასცინოდნენ თაგვები. — თუ მათ უღალატე, ჩვენ რა ხეირს დაგვაყრი? იმათ უფრო არ გაეხარ, ვიდრე ჩვენ?! — ეუბნებოდნენ თაგვები, მაგრად გაუკოჭეს ხელ-ფეხი და კოცონთან მიაგდეს.

— სადა გაქვთ ნამუსი? — კვნესოდა ოსპა, — სად არის დაპირებული ფული?

— ნუ გეშინია, გულნაკლულს არ დაგტოვებთ, — იცინოდნენ თაგვები. — ყველაზე ბოლოს შენ შეგეპარეთ.

ლტოლვილებს არ ეცოდებოდათ ოსპა, იცოდნენ, ყველა მოღალატის ბედი ასეთია: მოღალატე არ უყვარს არც მტერს და არც მოყვარეს. ცოტა გულზეც კი მოეშვათ, მოღალატეს სამართლიანი განაჩენი რომ გამოუტანეს.

მეორე დილით იმაზე იმტვრევდნენ თავს, როგორ მისულიყვნენ ტივამდე. ოქროცერცვამ და ლობუნამ გადაწყვიტეს მაგარი თოკი დაეგრიხათ ისლისგან.

— ვერ მოვასწრებთ, — თქვა რკომ. — ვერ ხედავთ, თაგვები უკვე გვიახლოვდებიან.

შეერთებული ძალით სავივემ მოარყიეს კლდის ნაპირები და თავზე გადააყარეს თაგვებს. მღრღნელებმა ბევრი მეომარი დაკარგეს, მაგრამ ნაპირიდან მტრებს სულ ახალ-ახალი ძალები ემატებოდა.

რკომ გულდასმით გამოიკვლია კლდე და უცებ გული სიხარულით აევსო: ერთ ციცაბო კლდეს როგორღაც მიწა შეერჩინა და ზედ ბაბუაწვერა გაზრდილიყო! მცენარე სულ გადათეთრებულიყო და საცაა თესლს პატარა პარაშუტებით გაგზავნიდა შორეულ მოგზაურობაში.

— ჩემო პატარა, ლამაზო, — მოეფერა მას რკო,—თითო-თითო პარაშუტი მაინც მოგვეცი.

— სიამოვნებით, — უპასუხა ბაბუაწვერამ, — ოღონდ მერე არ დაივიწყოთ თესლის ძიწაზე დაბნევა.

მეგობრები აძერწენ ყველაზე ციცაბო კლდეზე და დასაშვებად მოემზადნენ. პირველი რკო გადახტა. მან ორი პარაშუტი ერთად შეკრა და სწორად დაეშვა ზედ ტივზე. ლობუნაც მას მიჰყვა და მაშინვე რკოს გვერდით დაეშვა. ოქროცერცვა კი ბალიან მსუბუქი იყო ნიავმა ცოცხა განზე, წყალში გაიტაცა. მუხის შვილი არ დაბნეულა — ამოალაგია მეგობარი ტივზე, იალქანი აღმართა და ტივიც გასრიალდა წყალზე.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ იმავე ციცაბოზე თაგვები გაჩინდნენ. ისინიც შეეცადნენ პარაშუტით დაშვებულიყვნენ ძირს, მაგრამ საკმაოდ ბეიმენი იყვნენ და ქრცვიანას რამდენიმე თავზეხელაღებული ყარისკაცი კლდეებში ჩაიჩეხა.

გაბორიტებულმა თაგვებმა ისევ ოსპაზე იყარეს ჯავრი და უღმერთოდ მიბეგვეს.

— რატომ არ გაგვაფრთხილე? რატომ ტივი არ მოიპარე? რატომ არ ამოძირკვე ბაბუაწვერა? — გაჰკიოდნენ თაგვები და უმოწყალოდ ურტყამდნენ გამცემს.

ოსპა ყვიროდა, ტიროდა, მაგრამ ისე იყო გაკოჭილი, ვერაფეოს გახდა. ბოლოს თაგვებმა ხელებსა და ფეხებში მოჰკიდეს ხელი, გაქანქანეს და კლდეზე გადააგდეს.

ასე პირში ჩალაგაზოვლებულები დაბრუნდნენ თაგვები „დიდებულ მეში“.

მეგობრებმა კარგად დაინახეს, როგორ უსახელოდ დაიღუპა ოსპა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ. მათ მამაცი ჭივჭავი ენანებოდათ მხოლოდ.

ძუნწის ოცნება

ტბაზე რომ გავიდნენ, თითქმის მთელი დღე ველურ კალიებს დასდევდნენ მინდორში. გაუხედნავი კალიები წიხლებს ისროდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, მაგრამ ოქროცერცვამ მხედრის უმაღლესი კლასი აჩვენა მეგობრებს: შეაფრინდა ზურგზე კალიას, ხან თავდაყირა გადადიოდა, ხან მუცელქვეშ მოექცეოდა, აღვირს კი ხელს არ უშვებდა და სანამ ცხენები კარგად არ დაიმორჩილა, მანამ არ მოეშვა.

მთელი მეორე დღე მგზავრებს არ შეუსვენიათ, მხოლოდ ღამით ცხენებმა წყლის სუნი იკრეს, დაიჭიხვინეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაქანდნენ.

კამკამა წყაროს მეგობრებიც დაეწაფნენ, დაიბანეს და ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, სად გაეთიათ ღამე. იქვე ახლოს ნახევრად დანგრეული ქოხი დაინახეს. ცხენები აღვირით დაიჭირეს და სამივე ფეხით იქით გაემართა.

ოქროცერცვამ რკოს შეხედა და სიცილი წასკდა: შეუკაზმავ ცხენით დიდიხნის სრბოლას მეგობრისთვის ფეხები ისე დაებრიცა, რომ ოქროცერცვა თავისუფლად გაუძვრებოდა. ახლა რკომ შეათვალიერა თავისი მეგობარი და იმასაც ხარხარი აუტყდა: ხტუნიას უფრო მოგრეხოდა ფეხები, ისე მოგრეხოდა, რომ თივით დატვირთული ურემი გაეტეოდა. ასე სიცილ-სიცილით მიადგნენ ქოხს.

ქოხის წინ ერთ მოღრეცილ სკამზე გვერდიგვერდ ორი ჩამოშხმარი, დაძონძილი მოხუცი იჯდა. ესენი იყვნენ გზის დარაჯი აბზინდი და მისი ცოლი აბზინდა.

— ეამარჯობათ. — მიესალმნენ მგზავრები, — ამ სიბნელეში რას აკეთებთ?

— ვთბებით, — უპასუხა აბზინდიმ.

— ისეთი კაშკაშა მთვარეა, ვიფიქრეთ, ღუმელის დანთება არ ღირს-თქო, — აუხსნა მგზავრებს აბზინდამ.

მეგობრებმა უხმოდ გამოაბეს ცხენები ხეს. მოხუცების კუშტი სახეები კარგს არაფერს ეუბნებოდათ. საცოდავად კი გამოიყურებოდნენ: დაძონძილები, აბურძგნილები, ათასნაირ კონკებში გამოხვეულნი. მეგობრების გაბედულმა გამოხედვამ და ხელში შოლტების ტრიალმა, ეტყობა, იმოქმედეს მოხუცებზე და ღამის გათევაზე უარი აღარ უთხრეს. ბუზღუნ-ბუზღუნით გაუშალეს მგზავრებს ლოგინი, მაგრამ რომ ნახეს, მეგობრებმა მშვიდობიანად მიაგდეს იქვე კუთხეში შოლტები, აჩურჩულდნენ:

— ყური მიგდე, ბებერო, უბალიშოდაც იოლად გავლენ, — თქვა აბზინდიმ.

— მეც ასე ვფიქრობ,—უპასუხა აბზინდამ და ბალიშები სკივრში ჩატენა. — არც ეს ახალი საბნები უნდათ!

— საბნებიც აიღე და ზეწრებიც, — ბრძანა აბზინდიმ. — მე კი ლეიბებს დავმალავ. არც ესენი გვიხმარია არასდროს.

ყველაფერი საკუჭნაოში შემალეს და ცარიელ საწოლებს დააცქერდნენ.

— საწოლებიც ცოდვაა, — ამოიოხრა აბზინდამ.

— იატაკმა კი რა დააშავა, რაც არ უნდა იყოს, ხისაა, — დაემოწმა აბზინდი.

ბევრი აღარ უფიქრიათ, საწოლებიც საკუჭნაოში შეტენეს და იატაკიც აჰყარეს.

— ეჰ, რა უსამართლობაა, მიწა რომ ჩვენი არ არის?!

— ჯანდაბას მაგათი თავი. — შეიგინა ამის შემყურე ოქროცერცვამ. — მიწაზე დავწვეთ. კიდეკ კარგი სახურავი მაინცა გვაქვს.

— ჩუმად, არ გაიგონ, თორემ სახურავსაც ახდიან. ძონძებში გამოხვევენ და იმასაც საკუჭნაოში შეინახავენ. — გააჩუმა მეგობარი ლობუნამ.

მასპინძლებმა საკუჭნაოს თექვსმეტი ბოქლომი დაადეს. ამ სახლში ბოქლომისათვის არც ფულს იშურებდნენ და არც დროს.

მეგობრებმა ლობუნას გაუფინეს კურტაკები, თვითონ კი მიწა-

ზე მიწვნენ. თვალის დახუჭვაც ვერ მოასწრეს, რომ ბებრებმა მაგიდაზე დააწყვეს პურის ნატეხი, ერთი კვნიტი მარილი, დოქით წყალი და ვაპშმობას შეუდგნენ.

— ან შუაღამისას გაძღომა ვის გაუგია... — თქვა აბზინდიმ და პურისა და მარილის ნახევარი ნატეხი თაროზე შემოდო.

ასე ყოფდნენ შუა-შუა პურს და მარილს, ვიდრე სულ მთლად არ აკარიელდა სუფრა. ბებრებმა მხოლოდ წყალი დალიეს და კმაყოფილებით ამოისუნთქეს.

— რა ბედნიერებაა, წყალში რომ არაფერს ვიხდით. — თქვეს და გაეხვენენ თავიანთ კონკებში. თან თვალს არ აშორებდნენ მძინარეთ: ეშინოდათ, არაფერი მოეპარათ.

მეგობრებს კი მკვდრებივით ეძინათ და მზის ამოსვლაც არ გაუგიათ. როცა გაიღვიძეს, სამივემ ჭასთან მიირბინა. ხელ-პირი დაიბანა. რომ ლაპარაკობდნენ, ვერც ცხენები ნახეს და ვერც მისი აკაზმულობა.

— ჰეა, თქვენ სად წაიღეთ მოსართავები? — კედელთან მიაყენეს ბებრები.

— საკუჭნაოში დავმალე. დამენანა ასეთი ლამაზი აკაზმულობა! აბა რატომ აფუჭებთ, ფიმისოდაც კარგად გიხვალთ იოლად! — თავს იკატუნებდა ბურდი ძუნწი.

— ცხენები სადღაა?

— ისინიც საკუჭნაოშია: მეცოდებიან საწყლები, რას აწვალებთ, როცა ფეხითაც შეგიძლიათ სიარული? — თავი იმართლა აბზინდამ.

მეგობრებმა მოხუცები აიძულეს, ყველაფერი უკან დაებრუნებინათ და დაემუქრნენ:

— ახლა გვიპატიებია, მაგრამ იცოდეთ, მეტ იწილო-ბიწილოს აღარ დავიწყებთ, ძუნწო სალახანებო! რომ შეგეძლოთ, ალბათ ხალხს მზესაც კი ვოპარავდით.

— ეს ჩემი სანუკვარი ოცნებაა! — სიხარული ვერ დაფარა აბზინდიმ. — მზეს კასრში დავმალავდი, შავ შალში გავხვევდი და პატარა ბუჭრუტანიდან თითო-თითო სხივს გამოვუშვებდი: ვინც ბევრ ფულს მომცემს — ბევრს მივცემ, ვინც ცოტას — ცოტას... აბა ამდე-

ნი სინათლე ვის უნდა, ამდენი სითბო ტყუილად იკარგება! დღითიდღე მთელ ქვეყანას ეფინება.

— შენ ჭკუიდან შეშლილი ხარ! — გაბრაზდა რკო. — უყურე, სადამდე მიჰყავს ადამიანი სიძუნწეს!

— წყაროც ტყუილუბრალოდ იღვრება, — ისევ განაგრძო ოცნება როლში შესულმა აბზინდიმ. — ამდენი წყალი იკარგება! აშბობენ. ქვეყნად უამრავი მდინარე, ტბა და ზღვაა. გაფიქრებაც კი მზარავს! ყველა წყალი რომ ჩემს დოქში მოამწყვდია! ანდა ჩემს ჭაში.. მაშინ ხელსაც არ გავანძრევდი, წვეთ-წვეთობით, როგორც აფთიაქში, ისე გავყიდდი...

— რამდენი წვეთიცაა, იმდენი ფულია... ვინ დაითვლის წყლისთვის ფულს! — ბარობდა აბზინდა და ერთ აღგილზე ცმუკავდა.

— განაგრძე, განაგრძე, რას გაჩუმდი? — აღეთქვა ოკროცერცვა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ სცემოდა აბურძგნილ, ათი წლის დაუვარცხნელ ბიჭაში. თმას არ ივარცხნიდა იმის შიშით, ვაითუ საკარცხელი გამიტყდესო.

— ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს, აღექი, გარეთ გამოხვედი და სული ვერ მოითქვი. ჰაერი კი ძალიან ბევრია! მაგრამ რამდენი არაფერის მაქნისი არსებობ ტყუილუბრალოდ შთანთქავს ამ ჰაერს! ამაზე რომ დავფიქრდები ხოლმე, სიცოცხლე აღარ მინდა. ეჰ, მთელი ეს ჰაერი რომ ლორის მუცელში მომამწყვდევინა! მერე კი ნელ-ნელა, ციოთი-ციოთი ყლუპი...

— ხმა გაკმინდე! — კეღარ მოითმინა რკომ. — ხმა გაკმინდე-მეთქი, ბებერო ნაძირალა! შენ და შენი ბებრუხანასთვისაა სწორედ ჰაერი არამი! რომ შეგეძლოთ, ალბათ მთელ ქვეყანას საკუჭნაოში შეტენიდით და ჩაკეტავდით. მერე კი გაყიდდით ვარსკვლავებსაც, მიწის ნაგლეჯებსაც. ან გასაყიდად ვერც გაიმეტებდით ვერაფერს... ხმა გაკმინდე. ძუნწო, თორემ ახლავე ჭიასავით გაგსრესავ!

— წავიდეთ. — ამშვიდებდა რკოს ლობუნა. — თავი დაანებე, ისედაც მალე გაფშეკენ ფეხებს, ვერა ხედავ, ძვალი და ტყავი დარჩენილან!

მეგობრები ცხენებს მოახტნენ და ის იყო აბზინდების ქოხს გასცდნენ, რომ ქარიშხალი ამოვარდა, გაიელვა და იქვე ხეს დაეცა მეხი.

— ამ ძუნწებს მეხიც კი ვერაფერს აკლებს! — აღშფოთდა სიბრაზისაგან გაფითრებული ოქროცერცვა. — მზე კასრშიო!.. ხედავთ, რა მოიგონა!

— მეხი რა შუაშია, როცა ამ ნაძირალებს ჩვენ თავად ვაძლევთ საშუალებას იხილონ სინათლე! — თქვა რკომ, მათრახი გადაუჭირა ცხენს და პირდაპირ გუბეში შესტოპა.

რით მკურნალობენ ხარბებს

რაც უფრო შორდებოდნენ მეგობრები ცრუთა ქვეყნის დედაქალაქს, მით უფრო სასიამოვნო და თავაზიანი ხალხი ხვდებოდათ და აღარ ეშინოდათ ავი თვალისა. რკო იშვიათადღა თუ მიუჯდებოდა თავის დღიურს, ოქროცერცვა და ლობუნა კი დილიდან საღამომდე მღეროდნენ. ერთგული და მხიარული სამეული ერთ დღეს რაღაც უცნაურ, ნახევრადდანგრეულ სოფელს გადაეყარა. ამ სოფელს რატომღაც ორი სახელი ერქვა: ნანგრევების მარჯვენა მხარეს პატარა დაფაზე ეწერა „არ გაიარო“, მარცხენაზე კი — „გვერდი არ ჩაუარო“. ორივე დაფაზე რკოს, ოქროცერცვასა და ლობუნას სურათები გაეკრათ. განცხადება კი იუწყებოდა: დიდ გასამრჯელოს პირდება ქრცვიანა იმას, ვინც ამ სამ ყაჩაღს შეიპყრობსო.

ათიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარეს და დაინახეს, რომ ერთი უზარ-ბაზარი ქვის ქვეშ ვიღაც სოროს თხრიდა და მიწას აქეთ-იქით ისროდა.

— ეი, შენ, დედამიწის გახვრეტას ხომ არ აპირებ? — დაუყვირა რკომ.

ორმოდან ცირცველამ ამოყო ქაჩალი თავი და თვალებდაბუეტილმა კარგა ხანს ათვალიერა მგზავრები. მერე რაღაც დაიყვირა, დატრიალდა. ზემოთ ამოხტა და აღვირში სტაცა ცხენებს ხელი.

— გთხოვთ, შინ მესტუმროთ, — მიიწვია მგზავრები.

ქვის მეორე მხრიდან მიწაში ამოგანგლული აწოწილი ხვართქლა ამოძვრა, ცირცველას ხელი ჰკრა და დაიყვირა:

— მე მეწვიეთ, არ ინანებთ!

სანამ ისინი ჩხუბობდნენ, მათი ცოლები და შვილები მოცვიუ-დნენ.

— ჩვენ ღუმელზე მოგასვენებთ! — გაჰყვიროდა ცირცველა.

— ჩვენ კი — ბუმბულის ლეიბზე! — არ უთმობდა ხვართქლა.

— ბუზებს არ მოგაკარებთ! — ერთხმად გაჰკიოდნენ ცირცვე-ლას შვილები.

— ჩვენ კი ფეხისგულებს დაგფხანთ! — იმათზე უფრო ხმამაღ-ლა გაჰყვიროდნენ ხვართქლას შვილები.

ამ ყურისწამღებ განიასში ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან აღვი-რებს, ზედ აწყდებოდნენ და ბოლოს მუშტი-კრივიც გამართეს. ისეთი-ღრიანცელი ატყდა, რომ მეგობრებმა ყურები თითით დაიცვეს.

ბოლოს რკომ ველარ მოითმინა და შესძახა:

— გაჩუმდით, თითო-თითომ ილაპარაკეთ. ჯერ შენ ილაპარაკე, ცირცველავ!

— ძვირფასო სტუმრებო, მე მიკიტანი გახლავართ. გთხოვთ ჩემთან მოისვენოთ. სულ იაფად დიდებულად მოგემსახურებით.

— შენ რაღას იტყვი, ხვართქლა?

— მე ბევრად უკეთ მიგიღებთ. რაღაც გროშებად თქვენ გელით უბრწყინვალესი დასვენება.

— როგორ მოვიქცეთ? — კეფა მოიფხანა რკომ.—სადაა თქვენი სამიკიტნოები?

— დაგვენგრა, — ერთხმად შეჰყვირეს სტუმართმოყვარე მი-კიტნებმა.

— არა უშავს რა, თავდაბალი ხალხი ვართ, — უპასუხა რკომ;— რადგან ასეთი გულთბილნი ხართ, არც ერთს არ დაგწყვეტთ გულს, ერთ დღეს ერთს გეწვევით, მეორე დღეს — მეორეს.

— არა, მარტო ჩემთან უნდა იყოთ! — გაჯიუტდა ხვართქლა.

— არა, ჩემთან, — არ უთმობდა ცირცველა.

მთელი ორი საათი დაობდნენ მეზობლები და ბოლოს ისევ ატყ-და ერთი ვაიუშველებელი. მეგობრებს მოსწყინდათ მათი ყურება, შეახტნენ ცხენებს და ჭალისაკენ გააქანეს. ორივე ოჯახი თავპირის-მტვრევით უკან დაედევნა. კალიები ტლინკებს ისროდნენ. ჭიხვინებ-დნენ, ახლოს არ აკარებდნენ მათ მხედრებს.

ასეთ სობოლას ვეღარ გაუძლო ცირცველამ და შუა მინდორში დავარდა. მგზარამ მაინც გააკიოდა:

— ჩვენთან წამობრძანდით! ხვართქლა ქრცვიანასთან დაგასმენთ.

— არავისთანაც არ დაგასმენთ!—სულს ძლივს ითქვამდა ხვართქლა და მალე ისიც ქანცგამოლეული გაერთხა მიწას.

— ესეც შენი შემოსავალი! — შეჰყვირეს ცოლებმა და თმაში სწვდნენ ერთმანეთს.

— არც თქვენ და არც ჩვენ! — ერთი ალიაქოთი ასტეხეს ბავშვებმა.

— ეს რა უტვინოებს გადავეყარეთ! — უკვირდა ოქროცერცელას. — როგორც ვხედავ, ქვასაც არ დაუთმობენ ერთმანეთს.

— ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი!.. — ხელი ჩაიქნია ლობუნამ. — ვატყობ, დღესაც ცის ქვეშ მოგვიწევს ღამის გათევა.

ამასობაში ჭალაში შევიდნენ, ცხენები დააპალმანდეს, ცეცხლი დაანთეს და დასასვენებლად ერთი სამყურას ქვეშ მიწვნენ. რკომ თავქვეშ ამოიდო ხელები და ის იყო უნდა დაეძინა, რომ რაღაც ხმა შემოესმა:

— ყური მიგდე, მეგობარო, ცეცხლი ცოტა იქით გასწიე, თორემ სულ დამეწვება ფესვები.

რკომ მიიხედ-მოიხედა: არა, ეს ოქროცერცვას ხმა არ იყო — მეგობარს თავზე კურტაკი წაეფარებინა და ისე იწვა.

— გასწიე ცეცხლი იქით, გეთაყვა, მარტო საკუთარ თავზე ნუ ფიქრობ!

ამას სამყურა ამბობდა, ძალიან დასცხა საწყალს. ლობუნამ ბოდიში მოუხადა და კოცონი იქით გასწია.

— კეთილო კაცო, — უთხრა რკომ სამყურას. — აქაური ხარ და გეცოდინება, ვინ არიან ეს მიკიტნები ქრცვიანას დაპირებაზე დახარბებულნი, ასე რომ წაიკიდნენ ჩვენთვის?

— მიკიტნები კი არა, ხარბები არიან! — უპასუხა სამყურამ და ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი. — მაგათი გადამკიდე, სიცოცხლე მოგვბეზრდა. მგზავრი გვერდს უვლის ამ ადგილს, ჩიტები აღარ დაფრენენ აქ, ის კი არა, მბეცებიც ერიდებიან აქაურობას. ოღონდ ეს ერთი

გზაა და სად გინდა გადაუხვიო? როგორც გაიყვანეს ჯარისკაცებმა, ისევ ისეა გაწოლილი და საწყალი ასევე იქნება, სანამ ბალახით არ დაიფარება.

— ღამე დიდია, გვიამბე რამე ამ ხარბებზე, — თავი გამოყო კურტაკიდან ოქროცერცვამ.

— უხსოვარი დროიდან ამ გზის ორივე მხარეს ორი სამეკიტნო იდგა. ერთს „არ გაიარო“ ერქვა, მეორეს — „გვერდი არ ჩაუარო“. ერთის პატრონი ცირცველა იყო, მეორესი — ხვართქლა. ისინი მუდამ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ყველაფერი შურდათ ერთიმეორისა.

მათი ბაბუებიც ასეთნი იყვნენ. ერთს რომ შემთხვევით კოპი დასჯდომოდა შუბლზე, მეორე შურით სკდებოდა და ძალით იხეთქავდა თავს. შვილები კიდევ უფრო ხარბები და შურიანები დაიზარდნენ, შვილიშვილებს ხომ ნულარ იკითხავ, ბოლმისაგან დღე და ღამე ალარ სძინავთ.

ერთხელ გზაზე ხუმარა მგზავრი მიდიოდა და გადაწყვიტა ხარბები გაემასხრებია. შეიჭყიტა ცირცველას ქოხში და შესძახა:

— განძზე დგახარ და სილარიბეში კი გხდება სული. შენს მიწას ფული ასკდება! — თქვა ეს და ოქრო დაანახვა.— ეტყობა, დიდი განძია აქ ჩაფლული.

გამომშვიდობებაც ვერ მოასწრო მგზავრმა, რომ მთელი ოჯახი გარეთ გამოვარდა და მიწას დაუწყო თხრა. თხრიდნენ და თხრიდნენ, უკან არ იხედებოდნენ.

ამ დროს ხვართქლა მეზობლის კარ-მიდამოს გარს უვლიდა და ვერ გაეგო რას ეძებდა მიწაში ცირცველა. უკანმობრუნებულმა ხუმარა მგზავრმა კი იგივე უთხრა ხვართქლას. ხვართქლა შურისაგან კინაღამ გულზე ვასკდა, მაშინვე გამოვარდა ისიც გარეთ, თხუნელასავით ჩაყო მიწაში თავი და თხრა დაიწყო.

ორივე მეზობელმა სამჯერ გადათხარა მთელი ბოსტანი, ყოველ მიწის ბუნდას ხელით ფშვნიდნენ, მაგრამ აბა რაც არ იყო, რას იპოვნიდნენ!

— მეზობელო, ვერაფერი იპოვე? — ჰკითხა ერთხელ ხვართქლამ ცირცველას.

— არც არაფერს ვეძებ, უბრალოდ ბოსტანს ვბარავ, — უპასუ-ხა ხარბმა მეზობელმა.

„მატყუებს, აბა რას დაძვრება თხუნელასავით მიწაში?“ — გაი-ფიქრა ხვართქლამ და შურისაგან გაწითლებული ისევ ეცა ბოსტანს და კვლავ სამჯერ გადაატრიალა.

— ბევრი ფული დააგროვე, მეზობელო? — ახლა ცირცველა შეეკითხა ხვართქლას.

— არაფერს არ ვაგროვებ, უბრალოდ ბოსტანს ვასწორებ, — უპასუხა მან.

„ეტყობა, მთელი განძი უკვე ამოიღო“, — გაიფიქრა მეზობელ-მა და შურით სულ გამწვანდა.

მერე ორივემ ღამით ქურდულად გადათხარეს ერთმანეთის ბოს-ტნები. მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

— ალბათ ხვართქლამ განძი სახლქვეშ დამალა! — უთხრა ერ-თხელ ცოლს ცირცველამ. — აბა რატომ იქ არ თხრის მიწას?

— რაღა თქმა უნდა, ყველა სახლქვეშ ინახავს სიმდიდრეს! — ისეთი ამბით წასჩურჩულა ცოლმა ქმარს, თითქოს დიდი საიდუმლო გაანდოო.

და დაიწყო ორივე მეზობელმა ერთმანეთის სახლქვეშ საძირ-კვლის თხრა. თხარეს, თხარეს და ორივე სამიკიტნო მიწას დაანარ-ცხეს. მერე მივარდნენ ერთმანეთს, ატყდა ერთი ცემა-ტყეპა, ჩქარა დამიბრუნე სიმდიდრე ჩემი სახლის ქვეშიდან რომ გამოზიდეო. რა-ღა თქმა უნდა, ამითაც ვერაფერს გახდნენ და დაიწყეს ერთმანეთის დაბეზღება: ამან ამდენი და ამდენი ოქრო იპოვა, იმან კიდევ უფრო მეტი, იმდენი, რომ იქ ქათმებიც კი აღარ აკარებენ ოქროს პირს, ერ-თი სიტყვით, მთელი გზა ოქროთია მოპირკეთებულიო...

„დიდებულ მეს“ კი სულ უფრო და უფრო მეტი ფული სჭირ-დებოდა. მან მთელი რაზმი გაგზავნა და ბრძანა, რადაც არ უნდა და-გიჯდეთ, იპოვეთ განძიო. აქაურობა მთლად გადათხარეს, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდნენ. მაშინ კი გადაწყვიტეს, ასეთი ტყუილისათ-ვის მაგრად გაეწკეპლათ ორივე. მოგეხსენებათ, მეზობლებს შურ-დათ ყველაფერი ერთმანეთის და ცირცველას რომ ბეგვავდნენ, ხვართქლამ ველარ მოითმინა და ჩხუბი ატეხა:

— მაგას თუ ორმოცდაათჯერ დაარტყით, მე რა დავაშავე, მხოლოდ ორმოცჯერ რომ დამარტყით, რითაა ის ჩემზე კარგი?

ჯარისკაცებმა ათი წკეპლა კიდევ დაუმატეს.

— ორივეს ერთნაირად რატომ გვირტყამთ! — მოთმინება დაკარგა ხვართქლამ. — ის ხომ ტანით ბევრად პატარაა ჩემზე! ტყუილად ნუ მეტოლება მე.

ჯარისკაცებმა ამასაც ათი წკეპლა დაუმატეს. ცოცხალ-მკვდარი მეზობლები კი იხვეწებოდნენ კიდევ დაგვარტყითო. ერთი სული ჰქონდათ, ერთმანეთისთვის ეჯობნათ. ალბათ ჯარისკაცები ორივეს მიასიკვდილებდნენ, მაგრამ საწყლები ისე დაოსდნენ, თხოვნის თავიც აღარ ჰქონდათ.

ცოტა რომ მოითქვეს სული, ისევ მიწის თხრა განაგრძეს. ადგილი აღარ დარჩათ გაუთხრელი. ერთადერთი დიდი ქვის ქვეშ არ ეხლოთ ჯერ ხელი და ახლა ამაზე ატეხეს ჩხუბი.

— ასეთი ხარბები ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია! — უკვირდა ოქროცერცვას. — ხდება ხანდახან, ერთს მეორის რაღაც გენანება, მაგრამ ასე გადარევა...

— ხარბი საერთოდ არ უნდა იყო, — თქვა ლობუნამ.

— მართალია, ხარბების არაფერი არ უნდა შეგშურდეს, — გაიცინა სამყურამ.

დილა ალიონზე მეგობრები თავაზიან სამყურას გამოემშვიდობნენ, მადლობა გადაუხადეს სტუმართმოყვარეობისათვის და გზას დაადგნენ. ხარბების კარ-მიდამოს რომ ჩაუარეს, რატომღაც კაციშვილი არ გამოგებებით და არც არავინ ექაჩებოდათ კალთებზე, არა ჩემთან დარჩი და არა ჩემთანო. უჩვეულო სიჩუმე იყო უზარმაზარ ქვასთან.

— იქნებ მართლაც წააწყდნენ რამეს? — გაიცინა ოქროცერცვამ. — ეს ადგილიღა ჰქონდათ გასათხრელი.

— შენც ხომ არ შოგინდა განძი? — გაეხუმრა ლობუნა.

— აბა, კარგად დაფიქრდი, მერე არ ინანო, — მხარი აუბა ლობუნას რკომაც.

უცებ უზარმაზარი ქვა ჩაწვა და მტრის ჯარს, რაც იქ ამბავი მოხდა: ქვევიდან ნიჩბებიღა ჩანდა.

— ნუთუ ყველა შიგ ჩაიჭყლიტა? — თმები ყალყზე დაუდგა ოქროცერცვას. — რა საშინელებაა, ამხელა ქვას აწევ კი არა, ადგილიდან ვერ დაძრავ!

— ქვამ კი არა, სიხარბემ ჩაკლა ყველა, — თქვა რკომ და ცხენი გააჭენა.

მერე მთელი გზა დასცინოდა მეგობარს, ამდენ ცეცხლსა და წყალს გაუძელი და განძს ნუ მისტირიო.

— კარგი, გაათავე, — ეხვეწებოდა ოქროცერცვა.

— ჯერ მითხარი, რით მკურნალობენ სიხარბეს და მერე გავჩერდები, — არ ეშვებოდა რკო.

ოქროცერცვამ შუბლი შეიჭმუხნა, იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. მისი აზრით სიხარბისაგან განკურნვა ათასი საშუალებით შეიძლებოდა, რკო კი არ ეშვებოდა და მთავარი მითხარიო, აცივდებოდა.

— გნებდები, შენ თავად თქვი, — ვეღარ მოითმინა ოქროცერცვამ.

— სიხარბის უებარი წამალია მეგობრობა, — დაასწრო რკოს ლობუნამ.

— სწორია, ეგაა ყველაზე კარგი წამალი! — დაეთანხმა მუხის შვილი და მეგობრის გამოჯავრებასაც თავი ანება.

ოქროცერცვას გმირობა

დიდი სიფრთხილით მიდიოდნენ მეგობრები წიწაკას მამულსა და ავაზაკ წაბლას სამფლობელოში. ღღისით ისვენებდნენ, ღამით კი არ ზოგავდნენ კალიებს და უფრო სწრაფად მიაჭენებდნენ. ვარსკვლავები უნათებდნენ გზას, მაგრამ ერთ ღამეს ცა ჩამოიქუფრა და ჩამობნელდა.

— სიარული შეუძლებელია, — გადაწყვიტა რკომ, — გათენებას უნდა დაველოდოთ.

კოცონი გააჩაღეს და გასათბობად ირგვლივ შემოუსხდნენ.

— ნეტა ერთი თვალით მაინც დამანახვა, რა ხდება ამ წიწაკას

სამფლობელოში! — თქვა რკომ. — ნეტავ რადა აქვს ასეთი საშინელი სახელი გავარდნილი?

— რა ვიცი. ჩვენ სოფელშიც პატარა რაღაცაზე გვაშინებდნენ: წიწაკას მიგცემთ და მაშინ ნახავთ თქვენს სეირსო, — თქვა ოქროცერცვამ.

— ვერაფერ სიკეთეს იქ ვერ ნახავთ, — თქვა ლობუნამ, — სიბოროტისაგან წიწაკანაჭამებივით ყველა მოკრუნჩხული, გაცხარებული და მოღუშულია. საძაგლობაა: ერთ კარგ სიტყვას არ იტყვიან, სულ მყრალი ამოსდით პირიდან.

— შენ საიდანღა იცი მათი ამბავი? — არ დაუჯერა მეგობარს რკომ.

— ცრუთა ქვეყანაში ამ გზით მოგვრეკეს, — უპასუხა ლობუნამ. — მაინც არ მესმის რაში გაინტერესებს ამათი ამბავი.

— ყველაფერი მინდა ვიცოდე. — თქვა რკომ და რვეული ამოათრია. — აბა, წვრილად მომიყევი.

— ერთხელ მცველებმა ხის ტოტებისაგან შეკრულ კარავთან მიგვაგდეს. აქ ცხარე წიწაკის ოჯახი ცხოვრობდა: თავად ცხარე წიწაკა, მისი ცოლი ცხარა და შვილი მდოგვა. გავჩერდით თუ არა, ცხარე წიწაკამ მაშინვე გამოიხედა და მოგვაძახა:

„ეშმაკმაც წაგიღოთ!“

მას უკან უკბილო ბებრუცუნა გამოყვა და ჩაიჩიფჩიფა:

„ეშმაკმა დაგლახვროთ!“

მერე იმათი ერთი გოჯა ბიჭი გამოვარდა და მშობლების წახედვით ჩაიბურტყუნა:

„ეშმაკმა დაგლახვროთ!“

ამ სიტყვების თქმა იყო და იქაურობა საშინლად აქოთდა, მცველები კი ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ წიწაკუნებს და გულიანად ხარხარებდნენ. მარტო მე არ ვიცინოდი: მეცოდებოდნენ.

მცველების ხარხარი რომ გაიგო, ბებრუხანამ ისე გამოიხედა, ჭიქაში რძე ამქავდა, ბებერმა ერთი ისეთი შეჰყვირა, წითელი ჭარხალი თვალის დახამხამებაში გათეთრდა. პატარა მდოგვაც არ ჩამორჩა მათ: ისე მოიღუშა, ერთ მცველს ხელები დაეთრთვილა სიცივისაგან.

„ვინ გა!,წავლათ ასე გამოხედვა?“ — ვკითხე მე.

— „ეს რა გამოხედვაა?! ხაბუაჩემი უნდა გენახათ, ერთი შეხედვით ათას კაცს ცხვირს უყინავდა, — წაიტრაბახა პატარა მდოგვამ.— პირს დააფჩენდა, ერთ კილომეტრზე ყველაფერი აქოთდებოდა“.

— წიწაკები რომ ერთად შეიყრიდნენ თავს, — განაგრძო ლობუნამ. — სუნთქვა აღარ შეიძლებოდა, თითქოს ჰაერს ცეცხლი წაეკიდაო. ამიტომაცაა, ცალ-ცალკე რომ ცხოვრობენ და უცხოელებმაც ადვილად დაიპყრეს. ახლა მათ სახელმწიფოს ზღვისმიერი ავაზაკი თუთუნა განაგებს.

— მე რომ გაბრაზებული ვამბობ „ეშმაკმა წაგიღოს“-მეთქი, სულაც არ ამომდის მყრალი სუნი, — თქვა ოქროცერცვამ და ყოველშემთხვევისათვის ჰაერი დაყნოსა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა რკომ.

— მგონი ცოტა კი აქოთდა აქაურობა, — გამოტყდა ხტუნია.

— ჰოდა გაჩუმდი, ხელს ნუ გვიშლი! — უთხრა რკომ მეგობარს და ისევ ააწრიპინა კალამი.

— რა ცილისმწამებლები და შარიანები არიან, ხომ ნუღარ იკითხავ! — განაგრძო ლობუნამ.—სანთლით რომ ეძებო, ასეთებს ვერსად შეხვდები. მარტო დაბეზღებების ათას ფუთ ქაღალდს მოათრევდნენ ცრუთა ქვეყანაში. ჩვენ მცველებს კი იმათი ჭორიკანობისაგან მარტო თავი კი არა, ჩაფხუტებიც უსკდებოდათ. ერთი სიტყვით, ყოვლად უვარგისი არსებანი არიან. მცველებიც კი არ სჭირდებიან, თვითონ ადევნებენ გაფაციცებით ერთმანეთს თვალყურს. აბა გაბედოს და ვინმემ გაქცევა დააპიროს, ყველა ერთად სწვდება ფეხებში და ხელს არ უშვებენ, სანამ მცველები არ მოვლენ.

— ჩემის აზრით, არ ღირს ასეთი ბოროტების გაცნობა, — ხელი ჩაიქნია რკომ. — წამო, ოქროცერცვა, შეშა მოვაგროვოთ, დილამდე კარგა დიდი დროა.

როცა ორი დიდი კონა შეშით უკან დაბრუნდნენ, პირს კატა ეცათ, კოცონთან ვერც ლობუნა იპოვეს, ვერც ცხენები და ვერც რკოს ჩანაწერები.

— გაგვძარცვეს! — თქვა შეშინებულმა ოქროცერცვამ.

— ვხედავ! — გაბრაზდა რკო.

— ლობუნაც მოიტაცეს, — ამოიოხრა ოქროცერცვამ.

— მიწა ხომ არ ჩაულაპავდა, კვალს მივყვეთ და ვიპოვით, ტირილით საქმეს ვერ ვუშველით! — ხმა ჩააკმედია რკომ მეგობარს.

ინათა თუ არა, საძებრად წავიდნენ. კვალმა დაბურულ ტყეში მთის ძირას ერთ უზარმაზარ მღვიმესთან მიიყვანა. მღვიმეში ცეცხლი გუზგუზებდა და ვილაც ხმამაღლა ხარხარებდა. მდევრები ახლოს მიცოცდნენ და რაღაც უცნაური არსება დაინახეს. მას ზღარბივით ეკლიანი ლაბადა მოეგდო მხარზე, მოტვლეპილ თავზე ასევთივე ეკლიანი ქუდი ჩამოეფხატა, ქამარში ორი პისტოლეტი გაერჭო, რაღაცას ელაპარაკებოდა ლობუნას და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხარხარებდა, მუცელი კი ხელით ეჭირა. მის ხარხარზე კლდიდან ქვები ცვივოდა.

— რაო, რას ამბობ, ის მაჩვის ტაბაკები გამანთავისუფლებენო? ჰა-ჰა-ჰა! ორივეს მარცხენა ხელის ერთი თითით გადავუშვებ კლდიდან. გინდა გითხრა, ახლა რას აკეთებს ის ორი ძუძუმწოვარა? ერთი დედასთან ისე გარბის, ქუსლებს ზურგში ირტყამს. მეორე კი უკან მისდევს, ჰა-ჰა-ჰა!

— მართლა თუ ასეთი ღონიერი ხარ, რაღას შემკოკე საწყალი მგზავრი?

— თუ პატიოსან სიტყვას მომცემ, რომ არ დამკაწრავ, აგიშვებ.

ლობუნამ არაფერი უპასუხა.

— მე მეგონა, დიდ ნადავლს წავაწყდი, რა თავში ვიხლი ამ ჯაგლაგებსა და რვეულებს?! მოგზაურები! მოგზაურები თუ ხართ, ერთი კარგი ქვაბი მაინც ვერ წამოიღეთ ფაფისთვის?

— ტყვეობიდან გამოვიქეცით, — უპასუხა ლობუნამ.

— ასეთი ღარიბები გინდა ტყვეობაში ყოფილხართ და გინდა არა.

— სილარიბე მირჩევნია ქურდობას. მგზავრებს რვეულები მოპარე.

— აბა, აბა, გატყობ, სიცოცხლე მოგბეზრდა!

— აფსუს, იარაღი რომ არა გვაქვს, — დაიჩურჩულა ოქროცერცვამ. — ეს ხომ ყაჩაღი წაბლაა.

უცებ ავაზაკი გაირინდა, ყური მიუგდო, პისტოლეტები დაიძრო და ისე დაიღრიალა, მთები შეზანზარდა:

— ეი, ვინ მიფრთხობს სიმშვიდეს? აბა, თუ არ გინდათ, ზურგში ჩაგაჭედოთ ტყვია, ჩქარა გამოძვერით!

რკოს არ შეშინებია მუქარის, მას ორი მეგობარი უდგა მხარში, წაბლა კი მარტო იყო.

— გამოუშვი ლობუნა და დამიბრუნე ჩანაწერები, — უთხრა მან გაბედულად ავაზაკს.

— უბედურო მჯლაბნელო! კარგია რომ შენი ფეხით მობრძანდი. ეს-ესაა ვაპირებდი შენს საძებნელად წამოსვლას. ქვაზე დაჯექი და წერილი მისწერე ნათესავებს გამოსასყიდი გამოგიგზავნონ! — გაეცინა წაბლა რკოს და ორივე პისტოლეტი გულზე მიაბჯინა.

მაგრამ რკოს ახლა წერილის საწერად არ ეცალა. უკან მიიხედა და ოქროცერცვა ვეღარ დაინახა. იფიქრა, ამ ავაზაკთან პირისპირ მისვლა ვერ გაბედა და ალბათ ქვებს ამოეფარაო.

— შენი ქოჩორა ბურთა მეგობარი სადღაა?

— გაიქცა, — მოკლედ მოუჭრა რკომ.

— ოჰო-ჰო-ჰო! რას გეუბნებოდი! ახლა გვეყოფა: დაჯექი და დაწერე! შენი მეგობარი ქალი კი კვარს მოგინათებს.

— არაფერსაც არ დავწერ! — ცივი უარი გამოუცხადა რკომ.

— არ დაწერ და უფსკრულში გადაგჩეხავ.

— რაც გინდა ის ქენი, დაწერით კი, მაინც არ დავწერ.

— ისე დაწერ, როგორც დაგიბარებია! — წაბლამ ხელი სტაცა რკოს. უფსკრულის პირას დააყენა, თვითონ კი ცალი თვალი მოჭუტა და პისტოლეტი დაუმიზნა. — შენი სული ჩემს ხელშია, აბა!

— უიარაღო კაცთან გმირი ხარ არა? ვნახავდი, როგორ ალაპარაკდებოდი, ერთი უბრალო კეტი რომ მომცა ხელში ახლა. მხდალო! ნაძირალა! ხარბო!

— შიშით ყველა ასე გაჰყვირის, ოჰო-ჰო-ჰო! — გადაიხარხარა წაბლამ. — უკანასკნელად გეკითხები: მისწერ თუ არა?

— ოქროცერცვა! — არაადამიანური ხმით დაიყვირა რკომ და ეკვეთა ავაზაკს, მაგრამ... უკვე გვიან იყო.

კლდეს ამოფარებული ოქროცერცვა თვალს არ აცილებდა წაბლას არც ერთ მოძრაობას და როცა წაბლას ის იყო თითი უნდა გა-

მოეკრა პისტოლეტის ფეხისთვის, ყელში სწვდა და მასთან ერთად გადაეშვა უფსკრულში.

— თქვენთვის, მეგობრებო! — ამის დაყვირებაღა მოასწრო საწყალმა.

„...ო, ...ო!“—გაიმეორეს მთებმა და მერე ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, კვირა დილით რომ იცის ხოლმე.

რკომ შეხსნა თოკები ლობუნას და იქვე ჩაჯდა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ გონზე მოსვლაც კი ვერ მოასწრეს. მერე უხმოდ დაეშვნენ უფსკრულში ჩამავალ ბილიკზე, შეაგროვეს ოქროცერცვას ნაფლეთები, დაასაფლავეს და დიდი ქვის ძეგლი დაუდგეს. რკომ ცოტა ფიქრის შემდეგ აკანკალებული ხელით ასე წააწერა ქვას:

მრავალგზის ბრძოლებით დაღლილმა
ცერცვამ თვალები მილულა,
ლამაზი სიცოცხლე დასრულდა —
დევგმირი დაეცა გმირულად.

მეგობრებს ძალა აღარ შესწევდათ, დაეტოვებინათ ეს ადგილი. ნაბიჯიც ვერ გადადგეს წინ.

სანამ ასე მხრებჩამოყრილები მდუმარედ იდგნენ, კლდის თავზე ყორანი გამოჩნდა. იგი მათ დაეძებდა. ჰაერში რამდენჯერმე შემოხაზა წრე და ძირს დაეშვა. ნისკარტი ქვაზე გაიწმინდა, გადაწყვიტა, რკოს შევახურებო, მაგრამ გადაიფიქრა: რას უშველიდა ახლა ყველაზე ბრძნული სიტყვებიც კი?

ერთი სიტყვით, მუხის შვილი შინ დაბრუნდა.

საღამოს, როცა ბაყაყმა თავის ყოატრეს გასძახა, მტრედმა მოსავლის ქება დაიწყო, ხოლო შოშიამ სტუმრის საპატივცემულოდ სიმღერა შემოსძახა, რკომ ძალიან მოიწყინა და გაიფიქრა: უნდა გააკეთო რაღაც ძალიან, ძალიან კარგი ყველასთვის. მაშინ ტყის პირას ცხოვრება მხიარული იქნება.

შინაარსი

ტყის პირას ——————————— 5
რკინის სწავლა-განათლება ——————— 11
ით